

729 /  
1972 / 2

19  
ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ՅԻՇԵՆՈՒԹՅՈՒՆ



# ՀԱՅԿԵՐԱՆ ՅԻՇԵՆՈՒԹՅՈՒՆ



1972

2



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 2 (66)

მარტი-აპრილი

1887





**შ ი ნ ა რ ს ი**

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი . . . . .	3
ცხინვალის თეატრის გასტროლები . . . . .	6
გერვასი ცხადაძე — ქუთაისის ნორჩების თეატრი 25 წლისა . . . . .	7
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა . . . . .	8

**რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან**

მარგო გოგოლაშვილი — კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ შენობაში . . . . .	9
რაფიელ მამულაშვილი — გორის თეატრის ახალი სპექტაკლი . . . . .	10
ლია ჭლანტიაშვილი — „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებლები“ . . . . .	12
ელეონორა მაკაროვა — ძველი თეატრალური ქალაქი . . . . .	14
იამზე გვათუა — თბილისის თოჯინების ქართულ თეატრში . . . . .	15
ნატალია ბურმისტროვა სსრ კავშირის სახალხო არტისტი . . . . .	18
ზაქარია შერაზადიშვილი — ფოთოლცვენა ქარში . . . . .	18

**სახალხო თეატრები**

ნუნუ გომართელი — ონის თეატრალური წარსული . . . . .	19
ია აბულაძე-ნუცუბიძე — „გამოკეტილი ჭიშკარი“ . . . . .	22

**კომე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის**

კუკური გოგიაშვილი — „ურიელ აკოსტა“ . . . . .	24
კონკურსი . . . . .	25
ოთარ ფირალიშვილი — პირობითობის საკითხისათვის სახეით ხელოვნებაში . . . . .	26
გივი ჭაოშვილი — უურნალი „იმედი“ თეატრის შესახებ . . . . .	29
სიმონ ნაციაშვილი — სამხატვრო აკადემიის დარბაზებს სილამაზე უბრუნდება . . . . .	32

**ჩვენი იუბილარები**

ნინო ქიქოძე — ჭიჭიკო აბაკელია . . . . .	34
თამაზ ანთაძე — ხელოვნების სიყვარულით . . . . .	35
გიორგი ქავთარაძე — მხატვარი მუხა . . . . .	37

**ჩვენი კუბლიკაცია**

ალექსანდრე ჩავლეიშვილი — შალვა დადიანის ეპისტოლარული შემკვიდრებებიდან . . . . .	33
ნინო შვანგირაძე — ნინო დავითაშვილის „მცირე მოგონება“ . . . . .	39
გიორგი ჭავჭავაძე — ნიკო შიუქაშვილის არქივიდან . . . . .	42

**ძრონიკა**

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში . . . . .	44
მიხეილ სარაულის ხსოვნის საღამო სოფელ მეჯვრისხევში . . . . .	44
თეატრალური წიგნის თართ . . . . .	45
გულახდილი რეჟისორი (იუმორი) . . . . .	46

**რედაქტორი — ვერვიკა ქარელიშვილი**  
**პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი**

<b>სარედაქციო</b>	დ. ანთაძე, ვ. გომიაშვილი, ო. ებაძე, ნ. გურაბანიძე,
<b>კოლეგია:</b>	დ. მგაფლიძე, ბ. ჟღერტიყანი, ნ. შვანგირაძე, ვ. ციციშვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.



## საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგებობის კლანუმი

17 აპრილს „მსახიობის სახლში“ ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენუმი, რომელიც მიედგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დოდო ანთაძემ.

ვრცელი და საინტერესო მოხსენება წაიკითხა თეატრმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ეთერ გუგუშვილმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ კონკრეტული ამოცანების შესახებ, რომლებიც ჩვენი თეატრალური კრიტიკის წინაშე ისახება ამ ისტორიული დადგენილების შუქზე. (მოხსენება ცალკე დაიბეჭდება).

კამათში პირველი გამოდის კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დოდო ალექსიძე.

— კრიტიკოსს — ამბობს იგი — უნდა უყვარდეს თეატრი, თეატრალური კრიტიკოსი ისეთივე შემოქმედია, როგორც რეჟისორი, მსახიობი. იგი უნდა ფლობდეს შემოქმედების მთავარ საიდუმლოს, თავის ნათელ მოქალაქეობრივ პოზიციას უნდა უხამებდეს გულწრფელ მომთხოვნელობას. შემდეგ იგი ეხება თეატრალურ კრიტიკოსთა კადრების აღზრდას და განაგრძობს — მე ვფიქრობ, — თეატრალური ინსტიტუტი უფრო ღრმა და საფუძვლიან ცოდნას უნდა აძლივდეს თეატრმცოდნეს, მასაც უნდა ვასწავლიდეთ მსახიობის ოსტატობასა და რეჟისორის ხელოვნებას. ამ სპეციალობათა შესწავლის გარეშე თეატრალური კრიტიკოსის ნამდვილ პროფესიულობაზე ძნელია ლაპარაკი.

სიტყვას იღებს გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძე.

— უკანასკნელ ხანში ჩვენში გამოვლინდა ძალიან ბევრი ჩინებული თეატრმცოდნე და თეატრალური კრიტიკოსი. ამათ კი თავიანთი სამოქმედო არე სჭირდებათ, ჩვენი სახელოვნო პრესა უფრო

ფართოდ უნდა გამოიყენოს. ცენტრალურ პრესას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია, მაგრამ მას ვერ მოვთხოვთ სპექტაკლების ყოველმხრივ, ღრმა და ფართო ანალიზს. მცირე ფორმის რეცენზიები კი მის ფურცლებზე სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს, რათა სპექტაკლებს დროული რეკლამა გაუკეთდეს.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქართული პიესა საკავშირო არენაზე გავიდა. ეს ფაქტია. დღეს ჩვენს დრამატურგიას დიდი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ როგორ ეხმარება კრიტიკა დრამატურგიის წინსვლას? რომელმა კრიტიკოსმა დაუჭირა მხარი ამ პიესებს, რომელმა გაუგო თავიდანვე მათ, იწინასწარმეტყველა მათი ესოდენი აღიარება? ასეთი რამ არ ყოფილა.

შემდეგ გ. ლორთქიფანიძე ვრცლად ლაპარაკობს კ. მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასების საკითხებზე.

პროფესორი შალვა მაჭავარიანი ამბობს:

— მე მომიხდა დაწვრილებით შემეხსენებოდა ოციანი წლების პრესა. ყოველი გაზეთი მაშინ აუცილებლად აჩვენებდა წერილებს თეატრის ახალ სპექტაკლზე. ასე რომ, მაშინ ერთ სპექტაკლზე სამი, ოთხი და ზოგჯერ მეტი რევიენიაჲ კი იბეჭდებოდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს. იქნება ამ გულგრილობაში თეატრმცოდნეებსაც მიუძღოდეს ზრალი? დოდო ალექსიძემ აქ სამართლიანად გაამხვილა ყურადღება თეატრმცოდნეების აღზრდის საკითხზე. ჩემი აზრით, გადასახედიან სასწავლო პროგრამა. თეატრმცოდნეობის განყოფილებამ გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მეტყველების, რეჟისურის, მსახიობის ოსტატობის, ფსიქოლოგიის და სხვა საჭირო დისციპლინების შესწავლას.

მომხსენებელმა გააკრიტიკა „თეატრალური მოამბეში“ დაბეჭდილი ჩემი ერთი რეცენზია, რომელშიც განვიხილე ჟან ანუის „მედეა“ დადგმა რუსთაველის



თეატრში. მე მიმაჩნია, რომ „მედეა“ ყველაზე მეტად ეგზისტენციალისტური პიესაა ანუის შემოქმედებაში. ანუიმ ევრიპიდეს პიესას გამოაცალა სოციალური ქდერადობა და ყოფაცხოვრებით ნაწარმოებამდე დაიყვანა იგი. „მოამბემ“ ჩემი რეცენზია კამათის წესით დაბეჭდა. მაშასადამე, რედაქციას სურდა ამ საკითხზე აზრი გამოეთქვა სხვა კრიტიკოსებსაც. მაგრამ რატომღაც კამათი არ შედგა.

— დღეს ჩვენს პლენუმს რატომღაც არ ესწრებიან ქართველი მწერლები, — ამბობს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც იმავე დროს ჩვენი პლენუმის წევრებიც არიან. ხშირად ლაპარაკობენ მწერლობისა და თეატრის ურთიერთობაზე, მაგრამ გულგრილობა მინც გადაულახავ ჯებირად რჩება. ეს გარემოება ერთიორად ართულებს კრიტიკოსის მდგომარეობას. თუ ჩვენი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის გულგრილობით არა, მაშ რით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ შეუფასებელი და განუხილავი რჩება რესპუბლიკის თეატრებში დადგმული პიესები. „ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“, „ცისკარი“ ძალიან იშვიათად ეხმაურებიან თეატრალური ხელოვნების პრობლემებს. განა ახალგაზრდული ყურნალისთვის საინტერესო არ უნდა იყოს თემურ ჩხეიძის ჩინებული შემოქმედებითი დებიუტი?

შემდეგ ვ. კიკნაძე ამბობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევიჭრა აქტუალურ საკითხებში, გაბედულად დაგაყენოთ და გადაეჭრათ მტკივნეული პრობლემები, მოვაგვაროთ თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობა, კანონზომიერად დაგვეგმოთ რეპერტუარი, თავიდან ავიცილოთ სტიქიურობა და შეცდომები.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, პროფესორი ოთარ ქინქლაძე ამბობს:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილების შემდეგ თეატრალურ კრიტიკას ჯერ კიდევ არ მიუღია ქმედითი ზომები. დადგენილების გამოსვლიდან 3 თვე გავიდა, მაგრამ ჯერ არ ჩანს მნიშვნელოვანი წერილები სპექტაკლებზე. დრო კი მიდის, სცენიდან ჩამოდიან სპექტაკლები: რას ვუტოვებთ შთამომავლობას? ჩვენ ხომ ვალდებული

ვართ, რომ მომავალს შემოვუნახოთ ზუსტი დახასიათება დღევანდელი თეატრალური ცხოვრებისა?

შემდეგ ო. ქინქლაძე აღნიშნავს, რომ საჭირო იყო პლენუმის უკეთესი მომზადება, რათა მის მუშაობაში და საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიეღო თეატრის მოღვაწეთა ფართო აქტივს.

დღევანდელმა პლენუმმა — ამბობს თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე — ვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ საჭიროა დისპუტები, დისკუსიები სხვადასხვა საკითხებზე. ჩვენ უნდა გავააქტიუროთ მუშაობა, მაშინ მომიჯნავე დარგების მოღვაწენიც უფრო მეტად დაინტერესდებიან. განა ჩვენ ვეკეთებ ყველაფერს იმისათვის, რომ ხალხი მივიზიდოთ? ახლახან მარჯანიშვილის თეატრმა აღადგინა „ურიელ აკოსტა“, რამაც მაყურებელში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რუსთაველის თეატრი გვპირდება „ბახტრიონისა“ და „ოიდიპოს მეფის“ აღდგენას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ამაზე კარგა ხანს ლაპარაკობდა კრიტიკა, მაგრამ მის ხმას არ გაუწიეს ანგარიში. შემდეგ ორატორი მომხსენებელს უსაყვედურებს, რომ დაწვრილებით არ ილაპარაკა დრამატურგიაზე, განსაკუთრებით კი პერიფერიის თეატრებზე. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ბევრი თეატრმცოდნე თავს არიდებს პერიფერიის თეატრებზე წერას.

თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე ამბობს:

— დღევანდელი პლენუმი ცოტა უცნაურად წარიმართა — დღემდე კრიტიკოსები მსჯელობდნენ და კამათობდნენ სპექტაკლებზე. მე მეგონა, რომ დღეს თეატრის მუშაკნი — რეჟისორები და მსახიობები ილაპარაკებდნენ თეატრმცოდნეების მუშაობაზე. აქ უნდა გამოსულიყვნენ ისინი და ელაპარაკნათ იმაზე, თუ როგორ აფასებენ თეატრმცოდნეთა ნამოღვაწარს. მე ისეთი შთაბეჭდილება მჩრება, რომ მათი ინტერესების სფეროში მეტა არაფერი შედის, რაც მათზე იწერება.

დღეს ხშირად ამბობენ, რომ არ ხდება მიმდინარე თეატრალური პროცესების მთლიანი შეფასება. ამას აქვს მიზეზი. მე არ შემიძლია დაწვერო ყველა სპექტაკლზე, ვწერ მხოლოდ იმაზე, რომელიც რაღაც სათქმელს აღმიძრავს.

შემდეგ იგი ლაპარაკობს იმაზე თუ როგორ უნდა იქნას შეფასებული აღ. ახმეტელის შემოქმედება.



ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გიორგი ხარატიშვილი ეკამათება ე. გუგუშვილს მოხსენების იმ ნაწილის გამო, რომელშიც განხილული იყო გ. ხარატიშვილის წერილი. იგი მიიჩნევს, რომ მისაწერილის ბევრი დებულება ტენდენციურად იქნა განხილული.

ფოთის თეატრის რეჟისორი ამირან ჟვანია ლაპარაკობს პერიფერიის თეატრებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე. იგი მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს პერიფერიის თეატრებისათვის კადრების შერჩევას.

ტრიბუნაზე საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ ჟღენტვი, იგი ამბობს:

— კრიტიკის ჩამორჩენას კიდევ შეურიგდებოდა ადამიანი, რომ ასეთივე მდგომარეობა არ გვექონდეს თეატრშიც. დღევანდელი ქართული თეატრი ვერ პასუხობს თანამედროვეობის წინაშე დასმულ პრობლემებს. ერთ მაგალითს მოვიშველიებ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი წლის საუკეთესო რეჟისურაზე, მამაკაცისა და ქალის როლების შემსრულებელზე და სპექტაკლის საუკეთესო მხატვრულ გაფორმებაზე. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთმა — რუსთაველის სახელობის თეატრმა წარმოადგინა საკონკურსოდ მამაკაცის როლის შემსრულებელი. სხვა თეატრებმა კი ვერაფერი წარმოადგინეს, ალბათ იმიტომ, რომ თვითონვე გრძნობენ, საკონკურსო არაფერი შეუქმნიათ.

დღეს საყოველთაოდ ლაპარაკობენ ქართული დრამატურგიის აღიარებაზე. მე ვიცნობ ამ პიესებს. ისინი საერთო საკავშირო დონეზე დგანან, მაგრამ საინტერესოა, თუ ამდენი კარგი პიესა გვაქვს რატომ არ შეჰქმნეს ქართულმა თეატრებმა მათი ზადალი სპექტაკლები თანამედროვეობაზე? თეატრს უჭირს, სცენაზე ვერ ვხედავთ ჩვენი დროის ადამიანს.

აქ ბრალი მიუძღვის კრიტიკასაც. კრიტიკოსი, თუ იგი პროფესიონალია, ყველაფერზე უნდა სწორედეს, ყველა თეატრის სპექტაკლზე და ყველა სპექტაკლზე. არ შეიძლება კრიტიკოსი შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რაც მას მოსწონს, მან უნდა გაარჩიოს და თავისი აზრი დაასაბუთოს იმ სპექტაკლის შესახებაც, რომელიც არ მოსწონს.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე აკაკი დვალიშვილი.

— თანამედროვე ქართული თეატრი, — ამბობს იგი, — არც ისე კარგ მდგომარეობაშია. ამაზე ხშირად ლაპარაკობენ. მაგრამ საჭიროა პრაქტიკულად მივუღებთ საქმეს. დღეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში ყველაზე დაბალია თეატრში დასწრების მაჩვენებელი. სად ვეძიოთ ამის მიზეზი? ან თეატრში ან მაყურებელში. ამ საკითხზე კარგად უნდა დავფიქრდეთ, თეატრისა და მაყურებლის შორთიერთობის შესწავლით უნდა ამოიხსნას ის პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. ამას წინათ თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა ახალი მეცნიერული ჯგუფი. ამ ჯგუფმა უნდა ითავოს დიდი საქმე. სწორედ მან უნდა შეისწავლოს თეატრისა და მაყურებლის შორთიერთობის პრობლემა. თეატრალურმა ინსტიტუტმა უფრო მიზანსწრაფულად უხდა იმუშაოს თეატრმცოდნეების აღზრდის საქმეზე. ახალგაზრდები თეატრმცოდნეობის ფაკულტეტს ამთავრებენ, მაგრამ არ იციათ აქტიური ხელოვნების ანაბანა. ცხადია ასე კარგი ცვლა ვერ აღიზრდება.

პლენუმზე განცხადებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე, მან პლენუმს განუცხადა, რომ მოკლე ხანში პასუხს გასცემს იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რომელიც მისი მისამართით ყურ. „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე გამოითქვა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა დოდო ანთაძემ, მან ხაზი გაუსვა თეატრალური კრიტიკის უახლოეს კონკრეტულ ამოცანებს და აღნიშნა ისიც, რომ სისტემატურად უნდა ვაწყობდეთ ახალი დადგმების საჯარო განხილვებს და ამ განხილვებში ფართოდ ვიზიდავდეთ მაყურებელთა აქტივს.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემოქმედებით ინტელიგენციას ფრთებს ასხამს და ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის დიდ სტიმულს აძლევს, ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი გამოიწვევს შემოქმედებითი კრიტიკული აზრის აღმავლობას, ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ატმოსფეროს შემდგომ გაუმჯობესებას.



## სხინვალის თეატრის გასკოლები

1972 წლის 4 აპრილიდან 12 აპრილამდე თბილისის საგასტროლოდ ეწვია ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრი. თბილისელმა მაყურებელმა ნახა სპექტაკლები ოსური დასისა: „სარმათი და მისი შვილები“, „ამირანი“, „ზედნიერება, სადა ხარ?“, „ხიდი“ და „თქმულება დედაზე“; ქართული დასისა: „ფიროსმანი“, „სანათი“ და „ბერმუხას ჩრდილში“.

13 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის სამინისტროსთან ერთად, მოაწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. დისპუტი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრკ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ: ოსური დასის საგასტროლო სპექტაკლებზე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე. ამავე დასის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. ცერაძე; ქართული დასის საგასტროლო სპექტაკლებზე — რეჟისორი მ. გიჟიმურელი, ხოლო ამ სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ფ. ლაპიაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შ. ხუციშვილი.

მომხსენებლებმა დაწვრილებით ილაპარაკეს საგასტროლო სპექტაკლების ღირსება-ნაკლოვანებებზე, რეჟისორთა, მხატვართა და მსახიობთა შემოქმედებით წარმატებებსა და ცალკეულ ხარვეზებზე. მათ აღნიშნეს, რომ ორივე დასის სპექტაკლების იდეური და მხატვრული დონე ერთგვარად გაიზარდა, შეიმჩნევა საინტერესო ძიებები, რასაც ხელისშეწყობა და დახმარება ესაჭიროება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრკ სახალხო არტისტიმ არ. ჩხარტიშვილმა, დრამატურგებმა ალ. ჩხაიძემ, გ. ბათიაშვილმა, ცხინვალის თეატრის ოსური დასის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. კაიროვმა, ქართული დასის მთავარმა რეჟისორმა ვ. მოდებაძემ და ამავე თეატრის ქართული დასის მსახიობმა ზ. გასიევამ.

არ. ჩხარტიშვილმა, რომელიც მივლინებული იყო ცხინვალის თეატრში საგასტროლო რეპერტუარის შერჩევის კონსულტანტად, ისაუბრა ცხინვალის თეატრში რეჟისორების ხშირ ცვლაზე და აღნიშნა, რომ ამან ცუდი გავლენა იქონია როგორც თეატრის მხატვრულ დონეზე, ასევე ამ თეატრში არსებული ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდაზე. მან ახალგაზრდა მსახიობთა შორის დაასახელა ჯ. გოჩაშვილი და აღნიშნა მის მიერ ოსტატობით განსახიერებული ფიროსმანის როლი სპექტაკლში „ფიროსმანი“ (რეჟ. ვ. მოდებაძე).

არ. ჩხარტიშვილმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად თეატრში მოვიდა ახალი რეჟისურა, რომელსაც სწორი კურსი აქვს აღებული. ამის განსამტკიცებლად საჭიროა ოსური და ქართული დასის რეჟისორთა შემოქმედრებული კოლექტიური მუშაობა. ორატორმა ბოლოს დასძინა, რომ ცხინვალის ორივე დასი თავისი შემოქმედებითი წარმატებებით ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღებას იმსახურებს.

მსახიობმა ზ. გასიევამ ისაუბრა ცხინვალის თეატრის ქართულ დასის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ რეჟისორთა ხშირმა ცვლამ დასს მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ თეატრალური ინსტიტუტის სპეციალურად ცხინვალისათვის მომზადებული მსახიობებიდან დღეს თეატრში მხოლოდ ოთხი მსახიობილა მუშაობს. მხატვრულ ხელმძღვანელობას დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნისათვის.

ოსური და ქართული დასის მთავარმა რეჟისორებმა ვ. კაიროვმა და ვ. მოდებაძემ მადლობა გადაუხადეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას ყურადღებისა და დახმარებისათვის, რამაც საშუალება მისცა ცხინვალის სახელმწიფო თეატრის კარგად ჩაეტარებინა გასკოლები.



# ქუთაისის ნოკრჩხაბის თეატრი 25 წლისაა

გერვანი ცხადაძე

**ქუთაისის** თოჯინების სახელმწიფო თეატრი დაარსდა 1946 წელს.

თეატრის პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია ქართული საბჭოთა თეატრის ღვაწლმოსილი მუშაკის, სსრკ სახალხო არტისტის დოდო ანთაძის სახელთან. იმ დროს დოდო ანთაძე ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების სამმართველომ მასვე დაავალა ახლად დაარსებული ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის საერთო ხელმძღვანელობა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად კი დაინიშნა რეჟისორი სერგო ცაგარეიშვილი.

პირველი პრემიერა დაინიშნა 1946 წლის 31 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნა აკ. ბელიაშვილის „თეთრი ფინია“. სპექტაკლი დადგა ს. ცაგარეიშვილმა. მხატვრულად გააფორმა ვლ. კეკელიძემ, მუსიკა დაწერა გიორგი კემულარიამ. თეატრის პირველ სპექტაკლში მონაწილეობდნენ: შურა ჭავჭავაძე, რაფიელ თოდუა, მერი სანიკიძე, რუთი თავდიდიშვილი, ეთერი თოდუა. ლევან შენგელია და ქეთო მესხი. პირველი სპექტაკლის მონაწილენი — ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შურა ჭავჭავაძე, რაფიელ თოდუა, მერი სანიკიძე, მსახიობები — ეთერ თოდუა და რუთი თავდიდიშვილი დღესაც განაგრძობენ თეატრში თავიანთ საყვარელ საქმიანობას, უანგაროდ ემსახურებიან ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

წლიდან წლამდე იზრდება და ძლიერდება თეატრის შემოქმედებითი პოტენციალი, თოჯინური ხელოვნების კულტურა.

პირველ ხანებში თეატრში სულ 14 მუშაკი ითვლებოდა. ახლა კი 53 მუშაკია, მათ შორის 18 მსახიობი, 3 რეჟისორი, 2 მხატვარი, 2 აკომპანიატორი და სხვ.

თეატრი წელიწადში ამზადებს შვიდ ახალ დადგმას და წარმოადგენს 700-მდე სპექტაკლს. მაყურებელთა რაოდენობა 135 000 აღწევს.

ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის კოლექტივი მომსახურებას უწყევს არა მარტო ქუთაისელ, არამედ ქუთაისის მეზობელი რაიონების სკოლების მოსწავლეებსაც. ეწყობა გასვლითი სპექტაკლები მაიაკოვსკის, წყალტუბოს, ტყიბულის და ზესტაფონის რაიონებში.

თეატრის მსახიობთა უფროსი თაობის გვერდით სასახელოდ შრომობს საშუალო და უმცროსი თაობა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი აკ. ყურაშვილი, მსახიობები: შ. ბარჭია, პ. ვაბუნია, ო. კობიძე, ნ. კემულარია, ნ. ქაჯაია, თ. ჭელიძე, ლ. ხინგავა, ლ. გიორხელიძე, შ. ფხაკაძე, ა. ყურაშვილი, ა. ფანცხავა და სხვ.

თეატრის შემოქმედებითი წინსვლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით რეჟისორებს: სერგო ცაგარეიშვილს, ლევან შენგელიას (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), რომელიც თითქმის ორი ათეული წელი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, ვახტანგ ქუთათელაძეს, სიმონ ვაჩნაძეს (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), თეიმურაზ ლორთქიფანიძეს და თამაზ მესხს. მათ მიერ ნიჭიერად დადგმულ სპექტაკლებს ალტაცებაში მოუყვანია ნორჩი მაყურებელი. ასევე სპექტაკლების მხატვრულ და მუსიკალურ გაფორმებაში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი მხატვრებს: ვლ. კეკელიძეს, ვ. მიზანდარს, ლ. თაყაიშვილს და გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკოსებს: გ. კემულარიას, გ. ჩირაძეს, რ. ფურცელაძეს და სხვ. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ცეკვების დამდგმელის, ქორეოგრაფ ანზორ სირბილაძის ღვაწლი.

რამდენიმე წელია თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სიმონ ვაჩნაძე, დამდგმელი რეჟისორებია მურმან ფურცხვანიძე და ილია მაცხოვნაშვილი.

თეატრის მთავარი მხატვარია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გიორგი ბერეჩიკიძე, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია მოღვაწეობს თეატრში, მას ასამდე სპექტაკლი აქვს მხატვრულად გაფორმებული.

25 წლის მანძილზე დაიდგა 115 ახალი სპექტაკლი, კაპიტალურად აღდგენილია 36. თეატრის სცენაზე ხორციელდება პიესები, რომლებიც ეხმიანება ბავშვთა სულიერ სამყაროს, მათი აღზრდის ინტერესებს.

სპექტაკლების ღირსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თოჯინას, მის იერსახეს. იგი უნდა იყოს, რაც შეიძლება ცოცხალი და მეტყველი, მიმზიდველი — შესატყვისი ბავშვის ფანტაზიისათვის. თოჯინების შექმნაში მხატვარ გიორგი ბერეჩიკიძესთან ერთად ენერგიულად შრომობენ მხატვარი მექანიზატორი მიხეილ ჩიქვილაძე,



თოჯინების მკერავი თამარ ბეალავა და ბუტაფო-  
რი მარიამ გალდავა.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელობა — რეჟისორება,  
მხატვრები არასოდეს არ იფიქრებენ სპექტაკლის  
ფორმის ძიებისას პედაგოგიურ-აღმზრდელით  
თვალსაზრისს.

ჩვენი თეატრი სააღმზრდელი მხატვრული და-  
წესებულებაა. ყველა ჟანრის თეატრისათვის  
მთავარია რეპერტუარის საკითხი და მათ შორის  
თოჯინების თეატრისთვისაც.

თეატრის ხელმძღვანელობას ახლო შემოქმე-  
დებითი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ ავტო-  
რებთან. თეატრის დაარსებიდან განხორციე-  
ლებულია 14 ადგილობრივი ავტორის ნაწარმოები.  
მათ შორის: დ. კვიციანიძის, გ. სამხარაძის, ლ.  
სანიკიძის, რ. ბერძინის, ზ. კუხიანიძის, ლ. ნუ-  
ცუბიძის, დ. ხუროძის, ე. ჟორჯიანიძის, ჯ. ვა-  
ბუნიას, ს. ჭეიშვილის, ო. დარსაველიძის და  
სხვათა პიესები.

მაყურებელთა შორის მოწონებას იმსახურე-  
ბენ და წლების განმავლობაში სცენიდან არ ჩა-  
მოდინან სპექტაკლები: დ. კლიაშვილის „სამა-  
ნიშვილის დედინაცვალი“ (ინსცენირება რ. თო-  
დუასი), ლ. ჯალაღანიას „ფისუნია“, კ. მაჭარა-  
ძის „დათუნას სამართალი“ და „ხერხი სჯო-  
ბია ღონესა“, ზ. კუხიანიძის „ვინ დახატავს“,

დ. ხუროძის „მიაი“, კ. გოგიაშვილის „ბაქია“  
და სხვ.

გვაქვს სკოლის ცხოვრების ამსახველი სპექ-  
ტაკლები, პედაგოგიურ-დიდაქტიკური ხასიათისა,  
მაგრამ ჯერ კიდევ ცოტაა პიონერულ თემებზე  
დაწერილი.

მინდა მორიდებული საყვედური გამოვთქვა  
ცნობილი ქართველი მწერლებისა და დრამა-  
ტურგების — ქართული სიტყვის ოსტატების მი-  
მართ, რომლებიც დროს ვერ პოულობენ ჩვენი  
მომავალი თაობის — ნორჩი მსაყურებლებისა-  
თვის, რომ შექმნან მაღალხარისხიანი საბავ-  
შეო პიესები.

ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი  
ახლა ემზადება ორი დიდი ისტორიული თარ-  
ღის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკე-  
ბის კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და ლე-  
ნინის ორდენისანი ვ. ი. ლენინის სახელობის  
პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავის ღირ-  
სეულად შესახვედრად.

ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის  
შრომისმოყვარე კოლექტივი მომავალშიც არ  
დაზოგავს ენერჯის იმისათვის, რომ აამღლოს  
თეატრის შემოქმედებითი დონე და ახალი მა-  
ღალმხატვრული სპექტაკლებით სიხარული მოუ-  
ტანოს ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს იმედს —  
მოზარდებს, ჩვენი თეატრის ნორჩ მსაყურებელთ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით  
დაჯილდოების შესახებ

**თბატრალური** ხელოვნების განვითარებაში  
დამსახურებისათვის და ქ. თბილისში ვასტრო-  
ლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირე-  
ბით ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის

დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა-  
პატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძმუნდიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამაძე**  
თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

## დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-  
ზიდიუმის** 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულე-  
ბით თეატრალური ხელოვნების დარგში ხან-  
გრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ცხინ-  
ვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწი-  
ფო დრამატული თეატრის მსახიობებს მიენიჭათ  
საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის —  
**ტაუგაზოვს** გაბრიელ დანელიძის-ძეს, **ცხოვრე-  
ბოვს** ბორის ალექსანდრეს-ძეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტი-  
სტისა — **გასანოვას** თამარ გასანის ასულს, **გასიე-  
ვას** რაისა ზაქარიას ასულს, **გუგაევას** ეველინა  
ლენტოს ასულს, **თარალაშვილს** ელისაბედ ვა-  
სილის ასულს, **თედევს** ალიხან ვასილის-ძეს,  
**პლიევას (გრიგორიანს)** რაისა გრიგორის ასულს,  
**ჩაბიევს** რუსლან მიხეილის-ძეს, **ჩოჩიევს** კაძან-  
მატ ნიკოლოზის-ძეს, **ძაგოევს** რუსლან გიორ-  
ვის-ძეს, **ჯიჯაევს** ივანე გრიგორის-ძეს.

# ინფორმაცია

## თეატრალური აქტიურობები

### კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ შენობაში მარგო გოგოლაშვილი

**ჩვენს** ქვეყანაში ახალმოსახლეობას მარტო ცალკეული ოჯახები და ადამიანები როდი ზეიმობენ!

ამგერად ახალმოსახლეობის სიხარული შემოქმედ კოლექტივმაც ილდესასწაულა.

შენობის კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ მუშაობა განაახლა შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის კოლექტივმა.

მართალია, თეატრის ფასადი თითქმის იგივე დარჩა, მაგრამ ინტერიერი სრულიად გამოიცვალა; ახალი, თანამედროვე სტილის მაყურებელთა დარბაზი, კარგი აკუსტიკით, დაკიდული ქერი, ტექნიკურად აღჭურვილი და მექანიზებული, დიდი გაშლილი სცენა, ჩინებული ელექტროგაყვანილობა, კარგად მოწყობილი მსახიობთა საკაზმულები, ცალკეული საამქროები. სარეპეტიციო დარბაზები, ხმაურის შთანთქმისთვის ფინანსებით მოფენილი იატაკი, რადიოფიცირებული მაყურებელთა დარბაზი, რის წყალობითაც სინქრონულად შეიძლება სპექტაკლის მოსმენა სხვა ენაზედაც, განახლებული და დამშვენებული ფოიე, ახალი გათბობის ქსელი. თეატრი უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, გაუმჯობესდა შენობის ვენტილაცია, — ერთი სიტყვით, ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ თეატრის კოლექტივმა ნორმალურად გაშალოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა.

აი, ამ ახალ, მეტად სასიამოვნო განწყობილების მომგვრელ შენობაში შაუმიანელები ახალი სპექტაკლით შეუდგნენ თავის მოვალეობის შესრულებას. თეატრმა მაყურებელს უჩვენა ნაირი ზარიანის მითოლოგიური ტრაგედია „მშვენიერი არა“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა მ. გრიგორიანმა, მხატვარმა — საქართველოსა და სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ნალბანდიანმა, მუსიკალურად გააფორმა — ა. ასატრიანმა, ქორეოგრაფია — მ. ოვანესიანი.

ნ. ზარიანის „მშვენიერი არა“ მაღალი ლიტერატურული ღირსების, პოეტური ოსტატობით დაწერილი ნაწარმოებია და ამდენად ამ პიესის სცენური ხორცშესხმა არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ მეტად რთული ამოცანის წინაშე

იდგნენ როგორც დამდგმელი ჯგუფი (რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი), ასევე სპექტაკლის მონაწილენი, რომელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამოცანა ძირითადად დაძლეულია.

აქვე ორიოდე შენიშვნა გვინდა გამოვთქვათ. სპექტაკლი გადაწყვეტილია რეალისტურად, მოძებნილია ერთგვარი პლასტიკა, რომელიც მთლიან სტილშია და აადვილებს სპექტაკლის აღქმას. მასობრივი სცენები გამომსახველია, ხოლო სომხეთში, არას სასახლის წინ გამართული ხალხური დღესასწაული, ზეიმის ზეაწეულ განწყობილებას ქმნის.

ამ ახალ სპექტაკლში ყურადღება მიიქცია ასურეთის დედოფალი შამირამის სახის შემსრულებელმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ყარაჯიანმა. მსახიობმა ამ როლის შესრულებით დაგვანახა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა, შინაგანი ძალა და მარაგი. დედოფალ შამირამის სახეს სამი ძირითადი ამოსავალი წერტილი აქვს — დედოფალი, მხედართმთავარი, ავხორცა, უძღები მიჯნური. ამდენად მსახიობი დაუზოგავად ხარჯავს შინაგან ძალას, რითაც ჩვენის ფიქრით, განაპირობებს სახის ერთბაშად ანაზღაურებას. არ იქნებოდა ურიგო გვენახა შამირამის ის მხარეც, რომლითაც ხიბლავს საქმად მტკიცე ნებისყოფის არას.

შედარებით პასიურია და, როგორც იტყვიან, ცისფერი დაპკრავს სომხეთის დედოფალ ნუარდის სახეს, რომელსაც ანსახიერებს საქართველოსა და სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ს. შეკოიანი, იგი სპექტაკლის პირველ ნახევარში ხაზს უსვამს დედოფლის სკულპტურულ მხარეს. ამაში მსახიობს არ ვედავებით, მაგრამ შემდეგ, როდესაც დედოფალი ბრძოლის ველზეა, მას აკლია ემოციური დატვირთვა.

სპექტაკლი „მშვენიერი არა“, რომლის პირველი ჩვენება დაემთხვა თეატრის საერთაშორისო დღეს, კარგი საჩუქარია არა მარტო თბილისის მკვიდრთათვის, არამედ რესპუბლიკის სხვა სომეხ მაყურებლისთვისაც, რომელთა მხატვრული მომსახურებაც თეატრის კეთილშობილურ მოვალეობას შეადგენს.



## ბორის თაგის ახალი საეკაკლი რაზიელ მამულაშვილი

**აღიღვ** დენერის „დები ერარ“ წმინდა წყლის მელოდრამა (პიესისა და წარმოდგენის სახელწოდებაზე ქვემოთ შევჩერდებით).

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ, პარიზში ჩამოვიდა ორი ობოლი გოგონა. ერთი თვალხილული, მეორე უსინათლო. შიშშილის, მათხოვრობისა და ფლიდობის ქალაქში ადვილად ებმებიან ზნედაცემულ, გაიძვერა ადამიანთა ქსელში: ჰენრიეტას იტაცებენ, ლუიზა რჩება მათხოვარი ფროშარის ხელში. დები ერთმანეთს პოულობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი, ჰენრიეტა კაცისმკვლელი ხდება. ჰენრიეტას ასამართლებენ...

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა ა. დენერის ეს პიესა ორიგინალურად, თავისებურად ამოიკითხა, წარმოადგინა და თვალსაჩინო შემოქმედებითს წარმატებას მიაღწია. მე ორიგინალობაში არ ვგულისხმობ იმას, რომ წარმოდგენა მიდის ორ ნაწილად, ორ საღამოს, რაც თავისთავად საინტერესო ცდაა, მთავარი ის არის, რომ დამდგმელმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი აბრამაშვილმა ამ ძველ პიესას ახლებური, თანამედროვე ელერადობა მისცა, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური პრობლემები დასვა და წარმოდგენა გამართული პათოსით დამუხტა.

საილუსტრაციოდ ისევ ვავისენოთ პიესის შინაარსი. მაშ ასე: პარიზში ჩამოდის ორი ობოლი გოგონა. ერთი თვალხილული, მეორე—უსინათლო. დიდი ქალაქი მგლის კანონებით ცხოვრობს. აი, ამ ცხოვრების პირისპირ დადგნენ ეს გულუბრყვილო გოგონები და ცხადი ხდება, — ფაქტიურად, ორივე უსინათლო, უმწეო ყოფილა. წარმოდგენის მსვლელობისას, თანდათანობით, ორივეს „უბრუნდება მხედველობა“, თანდათანობით ხედავენ სასტიკ და ავადმყოფ სინამდვილეს და უკვე სასამართლოს სცენაში, თუმცა ჭერ ისევ სუსტ, მაგრამ მაინც პროტესტანტებად გვევლინებიან.

მთავარი მოქმედი გმირების ხასიათთა ასეთ განვითარებაში ვხედავთ წარმოდგენის თანამედროვე მაჯისცემას.

შემდეგ: პარიზში ჩასვლისთანავე დებს ერთმანეთს ამორებენ. ლუიზა ხდება მათხოვრობისა და გარეწრების საზოგადოებაში, ჰენრიეტა— პარიზის უმაღლესი ფენის, უფლებიან და მდიდარ ადამიანთა წრეში. თეატრის დამდგმელი კოლექტივი აქაც სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ გარეგნული განსხვავება საზოგადოების ამ

ორ ფენას შორის მხოლოდ მოჩვენებითია: მათ აერთიანებს საერთო ნიშნები: ფლიდობა, გაიძვერობა, ვერაგობა და გაუტანლობა. ამით თეატრმა გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიული სამყარო ერთი მთლიანი ბუდეა ბოროტებისა და მორალური გახრწნილებისა.

სწორედ გაუტანლობის ეს ბასტიონი აიძულეს ჰენრიეტას, სიკეთითა და სათნოებით სავსე ქალიშვილს, დანა აილოს ხელში და დაიცვას თავისი ადამიანური უფლებები, ხოლო როდესაც მას ასამართლებენ, როგორც კაცისმკვლელს, მაყურებელი ხედავს, რომ საბრალდებულო სკამზე სინამდვილეში ბურჟუაზიული საზოგადოება ზის.

ამაში ვხედავთ თეატრის კოლექტივის გამარჯვების მიზეზებს.

წარმოდგენაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბასტილის შტურმსა და ფეოდალური საფრანგეთის დამხობას. ბასტილის აღების ბატალური სცენა საინტერესოდ არის გადაწყვეტილი და წარმოდგენის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია. მთავარი კი ის არის, რომ დამდგმელმა კოლექტივმა გვაჩვენა, — ამ რევოლუციით მშრომელი ხალხისათვის არაფერი შეცვლილა. ძალმომრეობის ერთი ფორმა მეორემ შეცვალა, რომელიც უფრო გაიძვერა და შენიღბულია.

აი, აქ უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი. რევოლუციამდე საფრანგეთში განუხსჯელად ფარფაშებდა პოლიციის აგენტი პიკარი. მრავალ დანაშაულს გარდა, ორი ობოლი გოგონას ცხოვრების ბედუკუღმართად წარმართვაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ბასტილის დამხობის შემდეგ ის ნიღბით დადის. ეს სიმბოლურად მიგვანიშნებს: ახალი მთავრობაც ასევე ნიღბაკრულია. სწორედ ამიტომ სასამართლოს სცენაში პიერი პიკარს ჩამოგლეჯს ნიღბს და უსამართლო კანონის დამცველთ მიმართავს, — დრო მოვა, ხალხი ნიღბს თქვენც ჩამოგხსნიო.

მასსადამე, ა. დენერის მელოდრამიდან მივიღეთ თანამედროვე სექტაკლი, ამაღლებელი და მოქალაქეობრივი გზებით გამსჭვალული, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

დიდი შრომა და მუყაითობა გაუწევია დამდგმელ კოლექტივსა და რეჟისორს. ყველა მსახიობი კეთილსინდისიერად და თანმიმდევრულად ემსახურება წარმოდგენის მთავარ მიზანს. ყველა როლი, მთავარი თუ ეპიზოდური, ნამდვილი ხელოვნების მაღლით არის გახსნილი და გაშუქებული. როგორ შეიძლება მაყურებელს დავიწყდეს რესპუბლიკის დამსახურებული არ-







ბასტილიაში, გრაფის სასახლეში (ჰენრიეტას სცენა) და სხვა.

და ბოლოს, პიესისა და წარმოდგენის სახელწოდების შესახებ. „ღები ჟერარ“ ქართულად არ ელერს. უნდა იყოს: „ღები ჟერარები“. მაგრამ სარეცენზიო სპექტაკლს არც ეს მოუხდება. პიესას მეორე სახელწოდებაც აქვს: „ორი ობოლი“. წარმოდგენის დედააზრს უფრო შეესიტყვება, თუ მას დავარქმევთ „ობლებს“. „ობლე-

ბი“ — ეს ღები ჟერარებიც არიან და ადამიანებიც, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებას გერად მიაჩნია.

არაეინ იფიქროს, რომ წარმოდგენა უნაკლოა. გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრის ამ უკანასკნელმა ნამუშევარმა დამარწმუნა თეატრის კოლექტივის დიდ შესაძლებლობებში და ამით გამოწვეულმა სიხარულმა განაპირობა რეცენზიის ეს ამაღლებული ტონი.

## „ბილერმანი და სხვების ნაჰილდები“ ლია ჯლანბიაშვილი

**მამს** ფრიში დაიბადა 1911 წელს ქ. ციურხ-ში, არქიტექტორის ოჯახში. განათლებით ფილოლოგი და არქიტექტორია. ერთი ხანობა მწერლობას არქიტექტორობას უთავსებდა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მხოლოდ მწერლობას ეწევა.

მისი პიესა „ბილერმანი და ცეცხლის წამკიდებლები“ პირველად 1958 წელს წარმოდგინეს. მას შემდეგ წარმატებით იდგმება მსოფლიო თეატრების სცენაზე. პიესა ყურადღებას თავისი აქტუალობით იქცევს.

დიდი ხანი არ არის, რაც მსოფლიომ ომის ჭრილობები მოიწუშა და კვლავ არის საშიშროება მისი ხელახლა გაჩაღებისა. მაქს ფრიში მთელი სერიოზულობით სვამს კითხვას, ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან „ცეცხლის წამკიდებლები“. მართალია, ამ კითხვას ავტორი პირდაპირ არ უპასუხებს, მაგრამ პიესის მთელი ქვეტექსტი და პათოსი ნათლად მიგვანიშნებს, რომ ესენია უპასუხისმგებლო ადამიანები, საზოგადოებრივი გულგრილობით დაკავებულნი, საკუთარი ეზო-გარემოს სიყვარულში საერთოს მიმართ წაყრუებულნი.

პიესის მთავარი გმირი ბილერმანი — ფაბრიკანტი, გაქნილი საქმოსანი — პირწავარდნილი ობიექტელია. მშვიდი ცხოვრების მოყვარული, მშოშარა. ნებისმიერ დამობოზზე რომ მიდის, რათა შეინარჩუნოს სიმშვიდე. მისი საზოგადოებრივი გულგრილობა ხელს უწყობს ცეცხლის წამკიდებლებს და თვითონვე ამ გულგრილობის მსხვერპლი ხდება.

ამ როლის შესრულება რეჟისორმა ვია ანთაძემ შეუცდომლად მიანდო საბჭოთა კავშირამ სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს აკაკი ვასაძეს.

ფაბრიკანტი ბილერმანი ყოფილ მოჭიდავეს და ასევე ყოფილ კელნერს შმიცს და აიზენრინგს საცხოვრებლად დაუთმობს თავისი სახლის სხვენს, რომელსაც ეს უკანასკნელი ბენზინით სავსე კასრებით აავსებენ, რომ შემდეგ ცეცხლში გაახვიონ ბილერმანის სახლი.

პიესაში მოქმედება ანტიკური ტრაგედიების, განსაკუთრებით სოფოკლეს ტრაგედიებისათვის დამახასიათებელი ქოროსი თანხლებითა და კომენტარებით ვითარდება.

ქოროსი მიზანია მაყურებელი გაარკვიოს სცენაზე მიმდინარე მოქმედებაში და დამრიგებლური გამოხატუებებით, ძალდაუტანებლად წარმართოს მაყურებლის გონება პიესის ზეამოცანისკენ.

ბილერმანისთანა ვითომ კეთილი კომერსანტები, რომლებიც არაფერს არ დაინდობენ თუ გზაზე ვინმე გადაეღობა, ამავე დროს მოჩვენებითი მორალის მქადაგებლებიც არიან და საკმაოდ მშოშრებიც. ამიტომაც ხდება, რომ ისინი ნებაყოფლობით უგდებენ ხელში ძალაუფლებას სხვადასხვა ჯურის „ცეცხლის წამკიდებლებს“, წარსულში თუ ფაშისტებს, დღეს — ნეოფაშისტებს.

ასეთი კომერსანტების წარმომადგენლის ტიპური სახის წარმოდგენა არც თუ იოლი საქმეა, რადგან წარმოსასახავი პერსონაჟის ხასიათის მრავალფეროვნება აქტივობის ოსტატობის სრულყოფას მოითხოვს და, ამასთან ერთად, მსახიობი თანამედროვე უნდა იყოს მთელი თავისი არსებით, რომ მკვეთრად გამოაჩინოს განსასახიერებელი პერსონაჟის საზოგადოებრივი მავნებლობა.

აკაკი ვასაძის ბილერმანი ამაზრზენი, საოცრად საშიში პიროვნებაა. პირველი — ეს არის დრამატურგის ჩანაფიქრის ერთგულება. მსახიობი დრამატურგიული ტექსტის საუკეთესო კომენტატორია. ხოლო „ბილერმანსა და ცეცხლის წამკიდებლებში“ აუცილებელი პირობაა მსახიობისაგან მოვითხოვოთ თანავეტორობა. მაქს ფრიში უკეთეს თანავეტორს ვერ ისურვებდა!

ბილერმანის სახის გახსნის დროს რეჟისორ ვია ანთაძეს აქვს ცდა ბრეტის „განსხვების“ გამოყენებისა, მაგრამ ეს მაინც შევიწროებული ჩარჩოებია დიდოსტატისათვის.

აკაკი ვასაძე ერთგული რჩება იმ პრინცი-



ბისა, რომ ვანცდა და გონება ერთმანეთს არ უნდა დააცილო, არც იმის ზუსტად განსაზღვრა-გამოყოფაა საჭირო, როდის ხდება მათი ურთი-ერთმონაცვლეობა.

ბიდერმანის როლში ა. ვასაძემ დაგვარწმუნა თუ როგორ გვაეციწყდება ყოველგვარი თეორია კემპარიტი ტლანტის შემოქმედების ხილვისას.

აკაკი ვასაძემ შესანიშნავად გაიგო ობივატე-ლობის საზოგადოებრივი განკიცხვის ავტორისე-ული იდეა და თავისი შემოქმედების „რუსთავე-ლი“ პერიოდის დიდი გამარჯვება მოიპოვა.

როცა სპექტაკლში ასეთი ღირსშესანიშნავი სახე იქმნება, მაშინ მის გვერდით უფრო ნაკლე-ბი დანიშნულებას როლები განსაკუთრებული წამგებნიანობის საშიშროების წინაშე აღმოჩნდე-ბიან ხოლმე.

იოზეფ შმიცი უნიადავო ადამიანის ტიპს წარ-მოადგენს. არასოდეს საკუთარი აზრი მოვლენებ-ზე არ ჰქონია. ის ყოველთვის ვილაცის გავლე-ნით არსებობს. უზრდელია, თავაშვებულობაც ახასიათებს და მთლიანობაში გამოუსწორებელი ადამიანის თვისებების შემკრებლობითი ტიპია. მაქს ფრიშ შმიცი პიესაში შედარებით სქემა-ტურად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე ბიდერმანი. ამ მხრივ შმიცის როლის შემსრულებელი, ვარ-და იმისა, რომ მას აკაკი ვასაძის პარტნიორობა უხდება, დრამატურგიულ მხარდაჭერასაც არის მოკლებული. კარვად გამოზომილი თამაშით რთულ წინააღმდეგობათა გადალახვით გვი ბე-რიაკაშვილი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს.

ამ სპექტაკლმა ახალი კუთხით გამოაჩინა ნი-ჭიერი მსახიობის შესაძლებლობები და დამსახუ-რებული გამარჯვება მოუტანა.

აიზენრინგი, ყოფილი კელნერი, ეს შენიღბუ-ლი სიმახინჯე საზოგადოებისა, გაცილებით სა-შიშია, ვიდრე შმიცი. მისი ერთადერთი სიამოე-ნებაა „ცეცხლის წამკიდებლები“, ის სამყაროს კატასტროფას მოითხოვს. ის უფრო საშიშია იმიტომ, რომ გარეგნულად ძალიან შენიღბულია, თავი ისე უჭირავს თითქმის კულტურული და ჰუმანური ადამიანისა.

ლეო ანთაძის აიზენრინგი ეგზალტირებული ტიპია, ფანატიზმით აღსავსე, იგი არ დაერიდება არაფერს საბოლოო მიზნის მიღწევის დროს. მას მკვეთრად ჩამოყალიბებული საკუთარი ფილო-სოფიაც გააჩნია — ყველა ადამიანი დამნაშავეა, ყველა უნდა დაისჯოს.

აკაკი ვასაძე, ლეო ანთაძე, გვი ბერიაკაშვილი საუცხოო ტრიოს ქმნიან; მათი თამაში რეჟისორ-მა მტკიცედ დაუმორჩილა სპექტაკლის ინტერე-

სებს, მის ამოცანას — საზოგადოებაში გულ-გრილ ადამიანს ცხოვრება უნდა უჭირდეს.

თითქმის დამხმარე, პიესის განვითარებისთვის საჭირო ფუნქცია დააკისრა დრამატურგმა ქალ-ბატონ ბაბეტას, მაგრამ ბაბეტა ხომ ბიდერმანის მეუღლეა და ის ზუსტად უნდა იყოს დახასია-თებელი. ლეილა შოთაძის ბაბეტა ღვთისნიერი ქალია, გემოვნებიანი, ქმრის ხასიათის დამყოლი. ეტყობა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნო-ბებს გულში იკლავდა, რამაც გულჩათხრობილ ადამიანად აქცია, აუხდენელი ოცნებების სიმ-რავლემ და ობივატელის ცოლის მძიმე ხვედრმა ნერვიული აშლილობა დამართა.

ლეილა შოთაძეს ჩვენამდე შინაგანი სიმარ-თლით მოაქვს გმირის ბიოგრაფია, მისი წარსუ-ლის ნიუანსებითაც კი. ლეილა შოთაძის ბაბეტა გარეგნული და შინაგანი მთლიანობით აკაკი ვა-საძის ბიდერმანთან, გვი ბერიაკაშვილის შმაც-თან, ლეო ანთაძის აიზენრინგთან ერთად ხელს უწყობს სპექტაკლის მხატვრული დონის ამაღ-ლებას.

ელისო გუდაშვილის ანა — მოახლე გოგონა ბიდერმანის ოჯახში, წესიერების განსახიერებაა. ახალგაზრდა მსახიობმა, რომელმაც ახლანან და-ამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, ღირსეული პარტნიორობა გაუწია გამოცდილ ოსტატებს და როლს პროფესიული დონე შეუწარმოა.

ქორო, რომლის კორიფეს გიზო სიხარულიკე ანსახიერებს, რეჟისორულად ორიგინალურად არის მოფიქრებული. ეს არის ძალზე მსუბუქად გაკეთებული პაროდია დაკანონებულ, ერთფე-როვან და „ტრაგიაშით“ აღსავსე ქოროებზე. ასეთი რეჟისორული მიგნება ხელს უწყობს ქო-როში დაკავებულ მსახიობებს საინტერესოდ მიიტანონ ტექსტი, უფრო მისაწვდომი გახადონ მისი ალეგორიული ხასიათი. ქოროს ოსტატე-რად, ტემპერამენტითა და მსუბუქი იუმორით წარმართავს კორიფე — გიზო სიხარულიკე.

მხატვარმა მ. მალაზონიამ ძუნწი დეტალებით შემოსა ბიდერმანის ოთახი. ა. მამაკაშვილის მუ-სიკალური გაფორმება რეჟისორს საინტერესოდ აქვს გამოყენებული სიტუაციების ცვლის ხაზ-გასმის დროს. ის ორგანულად ერწყმის მოქმედე-ბას, ხან მიგვანიშნებს ყურადღების გამახვილე-ბაზე, ხან კი ქოროს ეხმარება რიტმულობის დაცვაში.

მაღალ შეფასებას იმსახურებს აგრეთვე მხა-ტვარ-გრიმიორის ვიორგი ფესვიანიძის ნამუშე-ვარიც.

რუსთავეის თეატრის „ბიდერმანი და ცეცხლის-წამკიდებლები“ კულტურული სპექტაკლია.



## ქველი თეატრული ქალაქი

### ელეონორა მაკაროვა

„პატარა ქალაქ მახარაძეში მე ვნახე „მეთერთმეტე მცნება“. სპექტაკლში იგრძნობოდა მდიდარი ფანტაზია, ბერნარ ბიუფეს სტილით შექმნილი დეკორაციები მეტყველებდნენ სპექტაკლის ავტორის მომხოვანელობაზე, მუსიკის ტაქტს შერწყმული მოძრაობა — წარმოსახვის სტილზე. ხოლო წარმოდგენის ყოველი მონაწილის თამაშში იგრძნობოდა მათი უთუო ნიჭიერება“ (პ. მოლნარი. „ტეატრ“, 1971, № 9).

მახარაძე საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის — გურიის ცენტრია. გურულები სახელგანთქმულნი არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით. ეს საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მახარაძე, რომელშიც 30 ათასზე ნაკლები მცხოვრებია, ძველი თეატრალური ქალაქია. ას ველზე მეტია, რაც მახარაძეში (რევოლუციამდე მას ოზურგეთი ერქვა) თეატრი არსებობს. აქ მოღვაწეობდნენ ქართული სცენის ცნობილი წარმომადგენლები, — ალექსანდრე წუწუნავა (ახლა სწორედ მის სახელს ატარებს თეატრი), ცეცილია წუწუნავა, ვასო ურუშაძე, სანდრო ყორყოლოანი. ამ თეატრის შენობა თუ ყველაზე დიდი არა, ყველაზე მდიდრული შესახედაობისაა მახარაძეში.

ცხადია, მახარაძის თეატრის მუშაობის პირობები განსაკუთრებით რთულია. წარმოუდგენელია მუდამ ქალაქში ითამაშო სპექტაკლები — ძალიან უნიშვნელოა მაყურებლის კონტიგენტი, ამიტომაცაა, რომ მახარაძელები ასე ხშირად ატარებენ გასვლით და სავასტროლო სპექტაკლებს მეზობელ რაიონებში. მის დასში ირიცხება ოცდახუთი მსახიობი. და მიუხედავად ესოდენ გახშირებული გასვლითი წარმოდგენებისა, თეატრმა წელიწადში ათი სპექტაკლი უნდა წარმოადგინოს. იმის გამო, რომ სპექტაკლი რამდენიმე ხანს მაინც შეინარჩუნო რეპერტუარში, განსაკუთრებით უნდა იზრუნო მის მხატვრულ ღირსებებზე. ამ თეატრში ხარისხისათვის ბრძოლა მაყურებლისათვის ბრძოლას უდრის.

უნგრული დრამატურგიის ფესტივალის დროს ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ, ცნობილი თეატრების წარმოდგენებთან ერთად გამოიჩინა პატარა ქალაქის, მახარაძის თეატრის სპექტაკლიც — ლ. მეშტერხაზის „მეთერთმეტე მცნება“. ამ სპექტაკლით (რეჟისორი — ნ. იონათამიშვილი, მხატვრები თ. სუმბათაშვილი და მ. თუთიაშვილი) მახარაძე უცებ მიიქცია თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება. მახარაძეში ჩამოვიდნენ არა მარტო თბილისიდან, არამედ მოსკოვიდან და თვით უნგრეთიდანაც კი.

თვითღამუშეობისა და სულერი გაყინვის წი-

ნაღმდეგ მიმართული ლ. მეშტერხაზის ეს პიესა ნ. იონათამიშვილს მკაცრი ლაქონური მანერით გადაუწყვეტია. ეს სპექტაკლი მეტად დაძაბული და ტემპერამენტია.

სპექტაკლის ცენტრშია ა. ქაღიშივილის მწერალი. ცხოვრების განვლილ წლებზე რომ ფიქრობს, იგი თითქმის ხელახლა გაივლის თავისი სიცოცხლის გზას. მთელი სპექტაკლის განმავლობაში ჩვენს წინაშე გარეგნულად თითქმის ერთი და იგივე პიროვნებაა: მალალ-მალალი, გამხდარი, მოკლედ შეკრებილი შეჭლარაგებული თმით, თავშეკავებული, აუჩქარებელი და ჩაფიქრებული. მაგრამ გმირის შინაგანი სამყარო ნაჩვენებია განვითარებაში, მისი ევოლუცია მაყურებლის თვალწინ ხდება და ჩვენც გვამდიდრებს ადამიანური ხასიათის ღრმა ცოდნით, მისი გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთკავშირით.

სრულიად სხვა, მაგრამ თავისი მხატვრული პარტიტურით არანაკლებ რთულია სპექტაკლი „სურათები საოჯახო ალბომიდან“. თ. ჭილაძის ეს პიესა გურამ აბესაძე დადგა. „სურათები საოჯახო ალბომიდან“ თავისი ხასიათით ყოფითია, არსით კი — პუბლიცისტური. მასში ორი პოლუსია, ორი ადამიანი, რომლებიც სრულიად სხვადასხვა შეხედულებებს ატარებენ. ერთია გიორგი სიხარულიძე, ოჯახის უფროსი. სწორედ ამ ოჯახში იშლება მოქმედება. გიორგი სიხარულიძე სწავლულია, გამოჩენილი მეცნიერი. მისი საპირისპიროა გაიოზი. კაცმა არ იცის რა საქმიანობას ეწევა იგი. არავინ იცის სად და რა თანამდებობაზე მუშაობს. უბრალოდ, ეს არის კაცი, რომელსაც „ყველაფერი შეუძლია“. სწავლული სიხარულიძე და მისი ოჯახის წევრები გამუდმებით აწყლებიან სირთულეებსა და წინაღმდეგობებს, რომელთა დაძლევაც ყოველთვის როდი ძალუძთ. გაიოზისათვის კი არ არსებობს წინააღმდეგობანი. სიხარულიძეს არ შეუძლია იშოვოს დეფიციტური წამალი, გაიოზი კი — შოულობს, მეცნიერის ქალიშვილსა და მის ქმარს დიდი ხანი ცალკე ბინის პრობლემა აწუხებთ, გაიოზი კი მათ ორდერს მოუტანს, გიორგის შვილი მილიციაში მოხვდა — გაიოზი გამოიხსნის.

გაიოზი ამ ოჯახში შემოდის როგორც მხსენი. იგი რამდენადმე სიმბოლური პერსონაჟია, რომელიც გაშინებთ კიდევ თავისი ცინიკური ყოვლისშემძლეობით, მისი პრინციპია — „ყველაფრის ყიდვა შეიძლება“.

გ. ახმეტელი მეცნიერ სიხარულიძეს — დიდი პატიოსნების მატარებელ ადამიანს თამაშობს, გაიოზის მომხმარებლობით ფილოსოფიას იგი



უპირისპირებს პრინციპებს, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების ღრმა რწმენაზე, მის მორალურ სიწმინდეზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. ქაღვიშვილი, რომელმაც „მეთერთმეტე მცენებაში“ მწერლის მკაცრი და ღრმა ხასიათი შექმნა, ამ პიესაში უაღრესად სახასიათო როლს თამაშობს. ოჯახის შორეული ნათესავი აბესალომი თავისებური განსახიერებაა ხალხური ხასიათის, რომელშიც თავს იყრის მომხიბვლელობა, იუმორი და ნაღველი.

ამ ქალაქიდან გამომგზავრების წინ ვესაუბრეთ თეატრის მთავარ რეჟისორს გ. აბესაძეს, რომელიც უკვე ექვსი წელია ამ თეატრში მუშაობს. „ჩვენი თეატრი გამონაკლისი როდია, — ამბობს გ. აბესაძე, — მას აწუხებს იგივე საზღვრები, იგივე ფიქრი, რაც სარაიონო და საქალაქო თეატრების უმეტესობას. რეჟისორებსა და მსახიობების გამუდმებული ცვლა, ახალგაზრდობის მწვავე უკმაობისა.“

თავად განსაჯეთ — ათ წელწადში თეატრმა ექვსი მთავარი \* და თერთმეტი რიგითი რეჟისორი გამოიცვალა. ყოველ მათგანს ხომ თავთავიანი ინდივიდუალობა, მუშაობის საკუთარი მეთოდი გააჩნდა, მსახიობები მიჩვევასაც კი ვერ ასწრებდნენ.

მთავარი, რაც ჩვენს თეატრს აწუხებს, ეს არის ახალგაზრდობის პრობლემა. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს ყოველწლიურად ამთავრებს 25-30 ახალგაზრდა მსახიობი. ყოველი მათგანი დიდი ქალაქის თეატრში ხვდება, რაიონულმა

თეატრებმა რაღა ჰქნან, საიდან მოიყვანონ აქტიორული ცვლა?

სწორედ ამ მიზნით შარშან თეატრალურმა ინსტიტუტმა მახარაძის თეატრისათვის მიიღო მთელი ჯგუფი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხუთწელიწადში ჩვენი კოლექტივი შეივსება ახალგაზრდა პროფესიონალური მსახიობებით და შესძლებს სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება წარმართოს, არ წავიდეს რაიმე შემოქმედებით კომპრომისზე.

რეჟისორის რწმენა ხვალისდელ დღეში იმედს გვაძლევს, რომ ძველი თეატრალური ქალაქი მახარაძე მალე ერთ-ერთ ახალგაზრდულ თეატრალურ ქალაქად გადაიქცევა.

და ბოლოს ცოტა არითმეტიკაც!

მახარაძეში 30 000-ზე ნაკლები მცხოვრებია. გავიხსენოთ, რომ მოსახლეობის რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტია პოტენციური მაცურებელი. აქედან გამომდინარე, მახარაძეში ყოველი სპექტაკლი შეიძლება ეთამაშონ ხუთჯერ ან ექვსჯერ. ამ ანგარიშით ნათელია, რომ აქ, ქალაქში თეატრი ვერ იმუშავებს. მაგრამ მახარაძის თეატრი უკუაგდებს ყოველ გაბატონებულ კანონს და მაინც მუშაობს. ასეთი რამ მხოლოდ ნამდვილ თეატრალურ ქალაქში ხდება. ასეთი რამ ხდება მხოლოდ მაშინ, როცა თეატრში იკრიბება ენთუზიასტების ჯგუფი, ადამიანები, რომლებიც ღრმად ერთგულნი არიან ხელოვნების, გულწრფელად უყვართ თავისი საქმე და მთელ ძალ-ღონეს ახმარენ მას.

ჟურნალი „ტეატრი“, № 2, 1972 წ.

## თბილისის თოჯინების ქართულ თეატრში იამაზა გვათუა

თბილისის თოჯინების თეატრში მოხვედრასას თქვენს ყურადღებას, უთუოდ მიიპყრობს ფოიეში გამოფენილი ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები. აქ ჩანს ნორჩი ავტორების თვალთ დანახული სამყარო. მაცურებლები ნახატებთან ჩერდებიან. ზოგი მოსწონთ, ზოგი გულგრილად ჩაუვლიან. ასეთსავე აქტიურ დამოკიდებულებას იჩენენ სპექტაკლის მსვლელობის დროსაც... შესვენების დროს სასწრაფოდ გარბიან ბუფეტისაკენ, სულმოუთქმელად შეეცქვიან და თან თოჯინებს ბაძავენ, რომლებსაც, სულ რაღაც ხუთიოდე წუთის წინათ სულგანაბრებული შესცქეროდნენ. ასე იქცევიან, როცა სცენური მოქმედება მათ ყურადღებას იპყრობს. მაგრამ სრულიად სხვა რეაქციას ვხვდებით, როდესაც სცენაზე მოქმედება უინტერესოდ, უსიცოცხლოდ მიმდინარეობს, მაშინ ერთგვარად უხერხული ატმოსფერო იქმნება მაცურებელთა დარბაზში: მაცურებელს მოუსვენრობა ეუფლებ-

ბა, ხმაური მატულობს, ან ადგილზევე ერთმანეთს ეთამაშებიან.

სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო სპექტაკლები „სინათლის ჩიტი“ და „ბაჭიტას ოინები“. ვ. გოგოლაშვილის „სინათლის ჩიტი“ (დამდგმელი ა. ჩხიკვაძე, მხატვარი ი. მღებრიშვილი, კომპოზიტორი თ. ხატიაშვილი) მაცურებელს მოუთხოვს იმაზე, თუ როგორ გამოასწორა გულადმა და მოხერხებულმა კახა ბიჭმა მეფის უზნეო ასული თინა, ორივემ კი, შეერთებულ ძალით, დაამარცხეს დევები და ხალხს სინათლის ჩიტი, მფრინავი ხალიჩა და ჯადოსნური სუფრა დაუბრუნეს.

სპექტაკლის შინაარსი სავესებით უბასუხებს ბავშვთა მორალურ-ესთეტიკური აღზრდის ამოცანას, რომელსაც თოჯინების თეატრი ემსახურება. ბავშვები ცოცხლად, სახიერად აღიქვამენ სიკეთესა და სიამეს, თანაუგრძნობენ კეთილს,



მართალსა და პატიოსან პერსონაჟებს, დასცი-  
ნიან ცრუსა და გონებაშეზღუდულებს.

„სინათლის ჩიტის“ მსვლელობის დროს მა-  
ყურებელთა თვალებში დროდადრო ამოიკით-  
ხავდით მოქმედებისადმი ინტერესს ან ნაკლებ  
ხალისს, ზოგჯერ სცენიდან სრულ გამოთიშვასაც  
და ყველაფერი ეს ხდებოდა იმის მიხედვით, თუ  
რამდენად გასაგები და საინტერესო იყო მათ-  
თვის ესა თუ ის სცენა.

პირველი მოქმედება იწყება დევების გამოჩე-  
ნით. ისინი ქვევრთან დაბაჯბაჯებენ და თან ბო-  
ხი ხმით ლილინებენ, მერე ცოტა ხნით ქრებიან  
სცენიდან. სოფლის ორღობეში გამოჩნდება დამ-  
წუხრებული პაპა მიხო. იგი ამცნობს კახა ბიჭს  
სოფლის გასაჭირს (მსახიობი ი. შახელი ოსტა-  
ტობით აცოცხლებს ბრძენი და კეთილი პაპა მი-  
ხოს სახეს). კახა ბიჭი გადასწყვეტს იხსნას ქვე-  
ყანა დევებისაგან. მას მოველინება კეთილი ფე-  
რია, რომელიც მისცემს სინათლის ჩიტის ფრთას  
და თან დასძენს: ფრთა მიგიყვანს სასახლეში,  
იქ იციან დევების ადგილ-სამყოფელიო. კახა ბი-  
ჭი მიჰყვება ვერცხლისფრად მოციმიციმე ფრთას.  
სურათი მთავრდება. მაყურებლები დაინტე-  
რესდნენ ამბით, მოემზადებიან კახა ბიჭის მო-  
მავალი სავაჭრო თავგადასავლის საცქერად.

შემდეგი სურათი მეფის სასახლეში სწარმო-  
ებს. მტირალა მეფის ასული თეონა აიძულებს  
მეფეს, ვეზირს, სარდალსა და მსახარას გაართონ  
იგი. მაყურებლები ამ სცენის დასაწყისში ვერ  
არკვევენ ვინ არიან ეს პერსონაჟები, რა კავში-  
რი აქვთ წინა სურათში მომხდარ ამბავთან. სცე-  
ნაზე მიდის მოზრდილი დიალოგი და მაყურებ-  
ლებს კიდევაც ავიწყდებათ კახა ბიჭის არსებობა:  
დიალოგი კი მოკლებულია ქმედებას, საქციე-  
ლების საშუალებით ნაკლებად ვლინდება თი-  
თოეული პერსონაჟის ხასიათი, მაშინ როდესაც  
ყოველი მათგანი წარმოადგენს გარკვეულ ტიპს,  
გარკვეული ხასიათი აქვთ. აქედან გამომდინარე  
სხვადასხვა დამოკიდებულება ერთმანეთთან,  
მოვლენებთანაც. დიალოგი, როგორც აღვნიშ-  
ნეთ, მოკლებულია ქმედებას და მაყურებელს  
სწყინდება მისი მოსმენა, რის გამოც აზრს ვე-  
ლარ იგებს, ვერ ერკვევა პერსონაჟთა ხასიათებ-  
ში. მხატვარმაც ვერ უშველა საქმეს. ამ პერსო-  
ნაჟთა თოჯინები, თუ არ ჩავთვლით კოსტუმებს,  
სახით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთ-  
საგან. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას  
ცდილობენ მსახიობები თოჯინის მოძრაობისა  
და მეტყველების საშუალებით. განსაკუთრებით  
ცდილობენ მეტი დამახასიათებლობა მიანიჭონ  
მეტყველებას, რის გამოც ზედმეტად აწვალავენ  
ხმას: ახშობენ ან ძაბავენ, ამავე დროს, სიტყვე-  
ბიც აღარ ისმის ხოლმე.

ამ მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ მაყურე-  
ბელი კარგა ხანს ეთიშება სპექტაკლს. ასე

გრძელდება სცენამდე, როცა მეფის, სარდლის,  
ვეზირისა და მსახარას ზურგზე შესკუპებულ  
თეონას სიმღერითა და მარშით შემოატარებენ.  
აქ მაყურებელი ცოცხლდება და ტაშით აპყვება  
ხალისიანი სიმღერის რიტმს. ეს მხიარულებაც  
თეონას ტირილით მთავრდება. ამ დროს მოდის  
სასახლეში კახა ბიჭი. იგი სინათლის ჩიტის  
ფრთის წყალობით გამოასწორებს თეონას და,  
როდესაც მას მოსვლის მიზეზს გაუმხელს,  
გადასწყვეტენ ორივე ერთად გაეშურონ დე-  
ვებთან საბრძოლველად.

მეორე მოქმედებაში ინტერესი სპექტაკლისად-  
მი პირვანდელ ძალას აღწევს, თუმცა დასაწყის-  
ში დევების პაექრობა ერთმანეთთან თუ ვის  
ეკუთვნის ნადავლი — ცოტა გაჭიანურებულია.  
მაგრამ კახა ბიჭისა და თეონას გამოჩენის შემ-  
დეგ სანახაობა ხალისიანი ხდება.

ბავშვის ხასიათის ცოდნით, არტიტიზმით  
გამოირჩევა პატარა დევი ქ. ძაძაძია. იგი ბავ-  
შვთა სიმპატიით სარგებლობს. საერთოდ კი  
„გამოცანების“ სცენაში თოჯინების ქცევის  
მთელი რიგი დეტალები ძალზე მახლობელია  
მაყურებლისათვის და გულდია სიცილს, სიხა-  
რულს იწვევს.

მოწონებას იმსახურებს მხატვრის მიერ შექ-  
მნილი ერთთავიანი, ორთავიანი და სამთავიანი  
დევების თოჯინები, რომლებსაც არა აქვთ შემ-  
ზარავი და ძალზე საშიში სახეები, რაც ზედ-  
მეტ, აუცილებლობას მოკლებულ ემოციურ და-  
ძაბვას გამოიწვევდა მაყურებელში.

გამოცანების შემდეგ ხარბ და გონებაჩლუნგ  
დევებს კახა ბიჭი და თეონა შორს გატყორცნი-  
ლი ისრის მოსატანად აგზავნიან, თვით კი სინათ-  
ლის ჩიტითა და ჯადოსნური სუფრით, მფრინა-  
ვი ხალიჩით — სოფლისაკენ მიემშურებიან ჰაერ-  
ში ატაცებულნი.

სპექტაკლმა გარკვეული სიამოვნება მიანიჭა  
მაყურებელს, მაგრამ პეისის ნაწილობრივმა ხარ-  
ვეზებმა, რეჟისორის მიერ სპექტაკლის ფრაგ-  
მენტულად წარმოსახვამ, ერთი სცენიდან მეორე-  
ში გადასვლის შეუშნადებლობამ ზოგიერთ სცე-  
ნაში იგი გამოთიშა სპექტაკლიდან და განწყო-  
ბა გაუნელა.

ნორჩ მაყურებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს  
„ბაჭიტას ოინები“ (ინსცენირება შექმნილია  
მ. მხეიძისა და ი. ავალიანის მიერ ა. მილნის  
„ვინი პუჭისა და მისი მეგობრების თავგადასა-  
ვალის“ მიხედვით. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა  
გ. სარჩიმელიძემ, მხატვარია რ. კიკნაძე, კომ-  
პოზიტორი ლ. იაშვილი).

რაზე მოგვიტხოვრობს ეს სპექტაკლი და რამ  
მოხიბლა პატარა მაყურებელი?

ბაჭიტა მკვებარა, მატყუარა და მშობარა კურ-  
დღელია, თავი ღრუნჩხუ და ზღარბზე ჭკვიანად  
მოაქვს, აშინებს მათ — ვეფხვი მოვა და ყვე-



ლას შეგვიპოთ, თუმცა ვეფხვი თვითონ თვალითაც არ უნახავს. ბაჭიტა სულ იმის ცდაშია ვის რა ოინი უყოს, ვინ რით შეაშინოს და შემდეგ დაიტრაბახოს — ტყიდან ვეფხვი გავავდეთ. ბოლოს ბაჭიტა თავისსავე მახეში გაება. მისი ამხანაგები ვეფხვს დაუმეგობრდნენ, მიუხვდნენ ბაჭიტას ოინს და მკეუხარას ყველამ ზურგი შეაქცია. მარტოდ დარჩენილი ბაჭიტა ნანობს თავის საქციელს. პატიებას ითხოვს და ყველასთან ერთად მხიარულობს იო-იოს დაბადების დღეზე.

ასე ვითარდება „ბაჭიტას ოინების“ სიუჟეტი. ამბავი ძალიან მარტივია, მაგრამ შინაარსიანი, ჭკუის სასწავლებელი — ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მხოლოდ კარგი მეგობარია ამხანაგების დახმარებისა და სიყვარულის ღირსი — აი მთელი აზრი სპექტაკლისა.

შეიძლება მ. მხეიძისა და ი. ავალიანის ინსცენირება იდეალურ ნიმუშად არ ჩაითვალოს თოჯინების თეატრის დრამატურგიისათვის, მაგრამ მასში არის თოჯინების რამდენადმე განზოგადებული სახეები. მოქმედების საშუალებით გამოხატული კონფლიქტი პერსონაჟებს შორის, რაც საშუალებას აძლევს რეჟისორს, მსახიობსა და მხატვარს თავიანთ ენაზე საინტერესო სპექტაკლი წარმოადგინონ.

„ბაჭიტას ოინების“ დამდგმელ კოლექტივზე საუბარი გვინდა მხატვარ რ. კენაძით დავიწყეთ, რადგან მხატვარი თოჯინების თეატრში, პიესისათვის საჭირო გარემოს გარდა, ქმნიტ პერსონაჟის თოჯინას. იმაზე კი, თუ რამდენად სწორად არის ნაპოვნი თოჯინის გარეგნული სახეობა, დიდადაა დამოკიდებული მსახიობის ხელოვნებაც.

მხატვარ რ. კენაძის ნამუშევარი გამოირჩევა სისადავითა და პირობითობის ზომიერი შეგრძნებით. იგი ცისა და ბუჩქების ფონზე ფულუროიანი ხისა თუ იო-იოს სადგომის მინიშნებით, ხან ბაჭიტას სახლს წარსადგვენს, ხან იო-იოსას, სცენიდან მათი გაწარისას კი რჩება ტყე თავისი მობინადრებით. მიუხედავად პირობითობისა, ბავშვები ადვილად ერკვევიან თუ სად მიმდინარეობს მოქმედება. ამავე დროს სცენა არ არის გადატვირთული დეკორაციებით, არ ზღუდავს თოჯინებს. პირიქით, თოჯინები მკვეთრად ჩანან ტყის ფონზე და მათი მოძრაობის ნიუანსიც კი ადვილად შესამჩნევია. თოჯინებიც ასევე ზომიერი განზოგადებით არის შექმნილი. ყოველ მათგანში ხასიათის მთავარი შტრიხი ჩანს.

ნაწარმოებმა და მხატვრის მშვენიერმა ნამუშევარმა მსახიობებს თავი თავის სტიქიაში აგრძობინეს და მათ შექმნეს საინტერესო თოჯინური სახეები: ბაჭიტასი — ც. თოდრიამ, დრუნჩასი — მ. ვაგნიძემ, ზღარბასი — ნ. ზაკალაშვილმა და ა. შ. ყოველ მსახიობში იგრძნობა თავისი გმირის ცხოვრებით გატაცება, რწმენა

და გულისყური. განსაკუთრებით შევჩერდებით მთავარი როლის — ბაჭიტას შემსრულებელ მსახიობზე ც. თოდრიანზე.

პირველი, რაც გხიბლავთ ც. თოდრიას ბაჭიტაში, — ეს არის თოჯინის ბუნებრივი, დამახასიათებელი მოქმედება-მოძრაობა. აქ მკლავნდება მსახიობის დაკვირვებულობის უნარიც. მისთვის თოჯინის მოძრაობა სახის შექმნის საშუალებაა და არა თვითმიზანი, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება თოჯინების თეატრის სამსახიობო ხელოვნებაში. მსახიობი კარგად ამჟღავნებს პარტიოროს თოჯინასთან ურთიერთქმედების უნარს. ც. თოდრიას მტყფვლება, ხმა, ინტონაცია შესატყვისია ბაჭიტას მხატვრული სახისა, მასში იგრძნობა მსახიობის რწმენა თავისი გმირისადმი. სიყვარული და ამიტომაც იგი დამაჯერებელია.


სარეცენზიო სპექტაკლებში უფროსო თაობის გამოცდილი ოსტატების გვერდით რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი დგას.

ახალგაზრდების ჩამოყალიბებაში, მათს შემოქმედებით ზრდაში, საქმისადმი დიდი სიყვარულის გარდა, დიდი მნიშვნელობა შექმნის რეჟისორის ხელს. ამჟამად თეატრის მთავარი რეჟისორია გ. სარჩიმელიძე, იგი რამდენიმე წელია, რაც დრამატული თეატრიდან მოვიდა. აქ, მაგრამ მის ნამუშევრებში უკვე იგრძნობა თოჯინების თეატრის სპეციფიკის დაუფლება, ახალი გამომსახველობითი: საშუალებების ძიება და ინტერესი. ამას მოწმობენ „ბაჭიტას ოინები“, „ნაცარქექია“, „ჯადოსნური თავშალი“ და სხვ. რა თქმა უნდა, ისინი ერთნაირი მხატვრული დონის არ არიან. მაგრამ ყველაში ერთნაირად იგრძნობა შემოქმედის ნიჭიერება. რეჟისორი გ. სარჩიმელიძე გამოირჩევა მსახიობებზე ზრუნვით, იგი ცდილობს მკაფიოდ გამოავლინოს თითოეულის შემოქმედებით შესაძლებლობა. ეს ყველაზე ძლიერად „ბაჭიტას ოინებში“ გამოიჩინა. აქ ყოველი მიზანსცენა მსახიობებისათვის არსებობს. რეჟისორი ფიზიკური გადაადგილებით მსახიობს აძლევს საქციელის ჩვენების საშუალებას, ე. ი. ხასიათის გახსნის საშუალებას. „ბაჭიტას ოინების“ ერთიანი რიტმი, მხატვრული გაფორმების, მუსიკის, დრამატული მსახიობისა და მსახიობის ქმედების ჰარმონიული შეხამება და შეკრული სპექტაკლის შექმნა სწორედ რეჟისორის დამსახურებაა.

თოჯინების თეატრს გულწრფელი და ყველაზე გულუბრყვილო მყურებელი ჰყავს. აქ იწყება მისი თეატრალური ხელოვნების პირველი აღქმა, თეატრალური გემოვნების გამომუშავება, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თოჯინების თეატრს.

ამ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თბილისის თოჯინების თეატრი თავის ყოველდღიურ დაძაბულ შრომაში.

1188





# ფოთოღცვენა ქარში

ზაპარია შერაზადიშვილი

ქართული ცეკვის ჩადოქარ ქალებს

თითქოს კედლებს დაშლი,  
მოედები  
სცენას  
და ვერ ითმენს ტაში —  
ქარში ფოთოლცვენა.

დენთი,  
თითქოს აჩენ ალსო,  
გულმართალი ღმერთი  
გაპოვნინებს  
ცალსო!

ჩამოქროლილ  
მოყმეს  
ასხლეტილი გასცდი,  
ვითლა, რითლა მოგყვეს  
ნამსხვრევეები განცდის...  
ცეცხლი ხარ და

დარბაზს აშლი,  
როცა მოედები სცენას  
და არ წყდება  
ტაში —  
ქარში ფოთოლცვენა...

## ნატალია ბუკმისტროვა —

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობს ნატალია მიხეილის ასულ ბუკმისტროვას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ნატალია ბუკმისტროვა პოპულარული, თბილისელი მახურებლის საყვარელი მსახიობია. მან თავიდანვე ყურადღება მიიქცია ხალასი ნიჭით, მაღალი სცენური კულტურით, სახის გააზრების სიღრმითა და წარმოსახვის იშვიათი უშუალოებით. ფსიქოლოგიური გულწრფელობა, განცდის სიმართლე და პალიტრის ფერთა სიმდიდრე მის სცენურ სახეს ყოველთვის შთამბეჭდავსა და დასამახსოვრებელს ხდის.

ნატალია ბუკმისტროვა დაიბადა 1918 წელს, მსახიობთა ოჯახში. აღრიდანვე გაიტაცა იგი თეატრალურმა ხელოვნებამ, სრულიად ახალგაზრდამ შედგა ფეხი სცენაზე, მშობლებთან ერთად ხშირად უხდებოდა სავასტროლო მოგზაურობა, რაც დიდად უწყობდა ხელს მის უშუალო შთაბეჭდილებათა გამდიდრებას.

ნატალია ბუკმისტროვამ საშუალო სკოლა დაამთავრა 1936 წელს და მუშაობა დაიწყო ტომსკის დრამატულ თეატრში, შემდეგ მას მუშაობა მოუხდა შორეული აღმოსავლეთის მოძრავ თეატრში, ყაზახეთისა და მოსკოვის საოლქო დრამატულ თეატრებში. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი საფრონტო თეატრის მსახიობი იყო. ომის შემდგომ წლებში ერთხანად გორკის საოლქო დრამატულ თეატრში მუშაობდა. 1948 წლიდან კი იგი მუშაობს თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ნატალია ბუკმისტროვას ამ თეატრში წამყვანი ადგილი უჭირავს და უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, შექმნილი აქვს არაერთი ოსტატობით აღბეჭდილი მაღალმხატვრული სცენური სახე.

„თეატრალური მოამბის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს მსახიობს ამ მაღალი წოდების მინიჭებას და ახალ შემოქმედებითის წარმატებებს უსურვებს.





## ონის თეატრული ნაკული ნუნუ გომართელი

ონი ცადაწვილ მთებს შორის გაშენებული ბატარა ქალაქია. იგი მდიდარი თეატრალური წარსულის მქონეა. აქ ადგილობრივ ძალებს ხშირად ხელმძღვანელობდნენ და გვერდს უმშვენებდნენ საქართველოს სახელოვანი რეჟისორები და მსახიობები.

1892 წლის 9 თებერვალს ალ. და დ. გოციორიძეების თაოსნობით სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ პირველი და მეოთხე მოქმედება პეისისა „თამარ ბატონიშვილი“. მეორე განყოფილებაში შეუსრულებიათ ძველი რაჭული ხალხური სიმღერები.

1897 წელს სცენისმოყვარეების არჩილ, სპირიდონ და გიორგი ჯაფარიძეების ინიციატივით სამაზრო სასწავლებლის შენობაში დადგმულა ვალერიან გუნიას ცნობილი პიესა „და-ძმა“.

სკოლა, რომელიც „სამაზრო სასწავლებლად“ იწოდებოდა, ერთადერთი იყო იმ დროს ონში და მთელ ზემო რაჭაში. ის მოთავსებული იყო ორსართულიან ქვიტკირის შენობაში, რომელიც ყველაზე უფრო შესამჩნევი იყო ქალაქში და სასახლეს მოგავონებდათ. საკლასო ოთახები ამ შენობაში იმდენად მოზრდილი იყო, რომ სავსებით აკმაყოფილებდა სათეატრო დარბაზის მაშინდელ უპრეტენზიო მოთხოვნილებას.

ამ პერიოდში წარმოდგენების დადგმას უფრო შემთხვევითი ხასიათი ქონდა. არ მოიპოვებოდა ბაზა, არ იყვნენ საქმარისი სცენისმოყვარეები, განსაკუთრებით ჰირდა სცენაზე ქალის როლის შემსრულებელი. მაგალითად „და-ძმაში“ მარინეს როლს ვაჟი ასრულებდა.

1903 წლის 29 ივნისს სცენისმოყვარეებს წარ-

მოუდგენიათ ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ამის შემდეგ ქართული გიმნაზიის მოწადის გრიგოლ დვალის ინიციატივით, გრიგოლ წერეთლის სახლის შენობაში, სადაც ფარდად და დეკორაციებად გამოუყენებიათ ზეწრები, დადგმულა აწყურელის ვოდევილი „საციოლე ერთი საათით“. მთავარი როლი შეუსრულებია თვითონ გრ. დვალს.

1906 წელს ონის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა მუდმივი დასი. დასს სათავეში ჩაუდგა მიხეილ ჯაფარიძე.

აი რას იგონებს დამსახურებული პედაგოგი, ლადო ჯაფარიძე:

„მიშა ჯაფარიძე მეტად ინიციატივიანი და საქმის მოყვარული ახალგაზრდა იყო, მან გაგვიცხადა, რომ აპირებს წარმოდგენების დადგმას და სჭირდება ჩვენი დახმარება. მართლაც, ონში კარგა ხანი იყო არ ჩატარებულიყო ასეთი რამ და საზოგადოება მოწყურებული იყო კულტურულ სანახაობას, სცენიდან ლამაზი ქართულის მოსმენას.

მიშამ ჩვეული ენერგიით დაატრიალა საქმიანობის ჩარხი და მოსახლეობამაც გაიგო, რომ სულ მალე მათთან წარმოდგენები დაიდგმებოდა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების სურვილი ბევრს გაუჩნდა და მიშაც უარით არავის ისტუმრებდა, ყველას აძლევდა რალაც დავალებას, რითაც საქმესაც შევლოდა და სცენის გარშემო აქტივსაც იკრებდა. ასე რომ ჩოხა-ახალუხი, თუ ქამარ-ხანჯალი ან ქალის ტანსაცმელი თუ სამკაულები, ერთი სიტყვით ყოველგვანი თი და ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო



პიესის დასადგმელად, სიხარულით მოჰქონდათ ამ ენთუზიასტებს. მიშა არა მარტო დასის ხელმძღვანელი, არამედ კარგი მსახიობი და ჩინებული რეჟისორიც იყო“.

დასმა პირველი წარმოდგენა უჩვენა 1906 წლის ზაფხულში, — ა.ე. წერეთლის „პატარა კახი“.

სპექტაკლი ნაჩვენები იქნა დათა ბერუჩაშვილის სახლის შენობაში, სადაც ერთ დროს სამაზრო სასამართლო იყო მოთავსებული, მაგრამ სპექტაკლის ნახვის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მსყურებელს ვერ იტევდა. ამიტომ დასის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აეშენებინათ თეატრის შენობა. მართლაც, ერთ ზაფხულს ქალაქის ბაღში აშენდა ხის მოზრდილი ნაგებობა, გრძელი ფიკრული სკამებით, მსყურებელთა დარბაზით, მოზრდილი სცენით და კულისებით. ასეთივე ტიპის შენობა აშენდა უწერაშიც, სადაც დამსვენებლებისათვის იმართებოდა საღამო-წარმოდგენები.

იმავე ზაფხულს ახლად აშენებულ თეატრში ნაჩვენები იქნა ალ. ყაზბეგის „არსენა“. არსენას როლს გრიგოლ დვალი თამაშობდა.

დასმა გადაწყვიტა გასულიყო ქვემო რაჭალი, კერძოდ ამბროლაურის ახლოს, სოფ. ხიდიკარში, იქ, სადაც ოდესღაც რაჭის ერისთავის კოშკები იდგა რიონის ორივე მხარეს.

დაიწყო რეპეტიციები. დასს შეემატნენ ქუთაისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოწაფეები დები ლუბა და კატო გოციონიძეები თავისი უმცროსი ძმით აკაკით, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა (შემდეგში ცნობილი ნერვოპათოლოგი, პროფესორი), მიემატა აგრეთვე ვარლამ (ვალოდია) ერისთავი.

რეპეტიციების შემდეგ „არტისტები“ ვალოდისათან მიდიოდნენ სოფ. ბარაკონში, სადაც მწვანე და ხეხილით სავსე უზარმაზარ ეზოში იდგა ძველებური დიდი ოდა-სასახლე, გრძელი აივნით.

მიშა ჯაფარიძემ ვარლამ ერისთავის დახმარებით მალე იშოვა ფიცრები და ხელოსნებმა რამდენიმე დღეში მშვენიერი ამადლებული სცენა გააკეთეს თავისი კულისებით, მსყურებელთა დარბაზით.

წარმოდგენების დადგმის ამბავი უცხად მოედო მახლობელ სოფლებს და სპექტაკლებს ესწრებოდნენ ისეთი შორეული სოფლებიდანაც, როგორც იყო ნიკორწმინდა, წკადისი, ბუგეული და სხვა. სხვადასხვა სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად, მხიარული სიმღერებით მოდიოდნენ ახალგაზრდები სპექტაკლებზე დასასწრებად, როგორც დღესასწაულზე.

დასმა თითქმის ორ კვირაზე მეტი დაჰყო ქვემო რაჭაში, სადაც ნაჩვენებ იქნა: „არსენა“,

„პატარა კახი“, „ძუნწი“, „ქართლის დედა“ და სხვ.

ვასელითი წარმოდგენები ჩატარდა აგრეთვე ამბროლაურში და უწერაში. ამ პერიოდში, სცენისმოყვარეებს მძიმე პირობებში უხდებოდათ საქმიანობა. ყოველი მათგანი უყოყმანოდ ასრულებდა გრიმიორის, დეკორატორის, რეკვიზიტორის მოვალეობას, ხშირად, ძალიან ხშირად საკუთარი სახსრებითაც კი ეხმარებოდნენ თეატრს. მსცოვანი სცენისმოყვარე გუგული ლობჯანიძე იგონებს:

„სცენაზე მუშაობის გარდა მიხდებოდა სცენის მოწყობის და გაფორმებაზე ზრუნვაც. ჩემი ზურგით ვზიდავდი ფიცრებს. სცენისათვის სახლიდან მომქონდა ავეჯი. მოსახლეობასაც ვაწუხებდი შესაფერისი ტანსაცმლის თხოვნით. ვინ გვაღირსებდა მზა სცენაზე შესვლას და როლის შესრულებას“.

რეპეტიციებსა და წარმოდგენებს მართავდნენ ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო. საინტერესოა გავიხსენოთ ქართული კულტურის დიდი მოამაგის, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის სიტყვები ონის სცენისმოყვარეების მუშაობაზე. იგი 1908 წ. მოსკოვიდან რაჭას ეწვია ხალხური სიმღერების შესაგროვებლად. შემოიარა ზემო რაჭის რამდენიმე სოფელი და იმ კუთხის კულტურასაც გაეცნო. წარმოდგენებსაც დაესწრო, როცა მოსკოვში დაბრუნდა და ქართულ საზოგადოებაში მოხსენება გააკეთა თავის მოგზაურობის შესახებ, თქვა: „ჩვენი ჯაფარიძეები დაუღალავ კულტურულ მუშაობას ეწევიან რაჭაში, ორლობებშიც კი დგამენ წარმოდგენებსო“.

ონელები განებივრებული არ იყვნენ რომელიმე პროფესიული თეატრის გასტროლებით. შეიძლება იმიტომაც, რომ ერთადერთი საბორბლო გზა, რომელიც ონში მიდიოდა ქუთაისიდან, იმდენად მოუწყობელი იყო, რომ გამოცდილი და ყოველ უგზოობას ამტან რაჭველებსაც კი უჭირდათ მათზე სიარული. ადგილობრივი მსყურებელი თავიანთი სცენისმოყვარეთა სპექტაკლებით კმაყოფილდებოდნენ, იცოდნენ რა, რომ თეატრი სახალხო ტრიბუნაა, კარგად ესმოდათ ილიას სიტყვები: „ხელოვნება იზადება ცხოვრებისაგან და არსებობს ცხოვრებისათვის. ის წინ მიდის ცხოვრების მეოხებით და მერე თან მიჰყავს ცხოვრება. სცენა არის ის ადგილი. სადაც შესაძლებელია ის ცეცხლი დაანთო, რომელიც გრძნობას გამოაცოცხლებს, გონებას გამოაფხიზლებს. ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას“.

და მართლაც ონელ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებმა გარკვეული როლი შეასრულეს მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეში. თეატრში იკვეთებოდა ახალი სიტყვა, მგზნებარე



სიტყვა, რომელიც ათასობით ადამიანს მოუწოდებდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

ონის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტი ახალგაზრდობა. განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როცა არდადეგების დროს უბრუნდებოდნენ მშობლიურ მხარეს. მაგალითად, 1908 წელს, 13 აგვისტოს გაიმართა ილია ჭავჭავაძის საღამო, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი უნდა გადაეღებულყო მისი სახელობის ფონდის გასაძლიერებლად. უმთავრესი მიზანი ამ საღამოს მოწყობისა ის იყო, რომ დაემსწრე საზოგადოება ვასცნობოდა ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ილიას შემოქმედება საზოგადოებას გააცნო სტუდენტმა ნ. კვიციანი, შემდეგ სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს შ. დადიანის მიერ გადმოკეთებული დრამა „ბატონი და ყმა“, ილიას დიდი სურათი ყვავილებში იღვა შუა ადგილას. მომღერალ ქალთა გუნდმა მაქსიმე ელიავას ლოტბარობით შეასრულა სიმღერები: „მკრთალი ნათელი“, „ნანა“. „ტყეპ მოიხსნა ჭოთოლი“ და სხვ. ამას გარდა ახალგაზრდა სცენისმოყვარე ლ. კვიციანიშვილმა მშვენივრად წაიკითხა ილიას ლექსი „ქართლის დედა“, „ნანა“ და „მუშა“.

საღამომ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

1909 წელს მ. ჯაფარიძის ინიციატივით წარმოადგინეს ა. ცაგარელის პიესა „ბაიუშვი“.

1909 წ. 21 დეკემბერი ღირსშესანიშნავი დღე იყო რაჭველებისათვის. ამ დღეს ონში აკაკის იუბილე გადაიხადეს.

1910 წ. 25 ივლისს მ. ჯაფარიძის თაოსნობით დაიდგა 4 მოქმედებიანი დრამა „მეზობლები“.

აი რას წერს „სახალხო გაზეთი“ (1910 წ. № 82) სპექტაკლის შესახებ: „პიესამ კარგად ჩაიარა, სცენისმოყვარენი კეთილსინდისიერად მოჰკიდებოდნენ საქმეს. სასურველია ხშირად გაიმართოს ხოლმე ასეთი წარმოდგენები. ხალხი უფრო მეტად დაინტერესდება და სცენისმოყვარენიც გააუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.“

ჯერ-ჯერობით, როგორც ეტყობა, შემოსავალი ხარჯს ვერ ჰფარავს, მაგრამ სცენისმოყვარენი გულს არ იტეხავენ. „მეზობლები“, როგორც ვთქვი, კარგად ჩატარეს. კარგი იყო მ. ჯაფარიძე — ეს სული და გული ონის სცენისა. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ. იაშვილი, ვ. გრძელიძე, ქ. გელოვანი, მ. მრეველოვი, ნ. ლობჯანიძე, აგრეთვე ბახტაძე და გ. ლობჯანიძე.

ონის საზოგადოება მეტად მაღლობელია როგორც მიზა ჯაფარიძის, აგრეთვე იმის ამხანაგ სცენისმოყვარეთა. ხშირად წარმოდგენებიდან შემოსულ ფულს ბედკრულ ონის სამკითხველს სწირავენ.“

ეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც მეტად პოპულარული იყო ონში, დააარსა ნიკოლოზ ეგნატეს ძე მრეველიშვილმა, რომელიც ონში მოღვაწეობდა 80-იან წლებში (თვითონ იყალთოდან იყო). მას მდიდარი წიგნადი ფონდი ჰქონდა. ეს წიგნები მთლიანად შესწირა ბიბლიოთეკას იმ პირობით, რომ საამისოდ დაედგათ ორთოახიანი პატარა შენობა დაბის ცენტრალურ ადგილზე. შენობა მართლაც დაიდგა და ბიბლიოთეკამ თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდობას.

1912 წლის ზაფხულში, ონისა და მთელი რაჭის ყურადღება მიპყრობილი იყო დიდი მგოსნის — აკაკი წერეთლის ღირსეულად შეხვედრისაკენ.

ხშირად იმართებოდა ასეთი კულტურული ღონისძიებანი. 1916 წ. 10 მაისს პედაგოგ ს. იაშვილის ინიციატივით გაიმართა შიო მღვიმელის პატივსაცემად უფასო საბავშვო საღამო. საღამო შინაარსიანი გამოდგა და ყველა კმაყოფილი დარჩა.

ათიანი წლების მეორე ნახევარში დასმა მუშაობა შეანელა და წარმოდგენებიც იშვიათად იმართებოდა. მხოლოდ 1921 წლიდან გაჩაღდა მუშაობა. სცენისმოყვარეებს: გ. ლობჯანიძეს, ნ. ბურდილაძეს, კ. და ა. ჯაფარიძეებს, მ. გოციორიძეს, გ. ბერიაშვილს, ა. მურუსიძეს. ლ. საგანელიძეს და გ. იაშვილს სათავეში ჩაუდგა სამაზრო კომიტეტის ავტორიზაციული ფუნქციის გამგე ვ. მესხი, რომელმაც თვითონ დადგა პიესა „სამშობლო“.

1922 წლის სექტემბერში ქ. ქუთაისიდან დრამატული წრის ხელმძღვანელად მიწვეულ იქნა ახალგაზრდა მსახიობი შ. ბოჭორიშვილი. ის ონში თავის მეუღლესთან და ძმასთან ერთად მოვიდა, რომელნიც აგრეთვე სცენის გამოცდილი მოღვაწეები იყვნენ.

შალვა ბოჭორიშვილის რეჟისორობით დაიდგა ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ია ეკალაძის „№ 21 ჯვრით“, ანდრეევის, დენი ჩვენი ცხოვრებისა“, ცაგარლის „ხანუშა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, შ. დადიანის „გუშინდელი“.

ამ პიესებში წამყვან როლებს შ. ბოჭორიშვილი ასრულებდა, რომელსაც იშვიათი მეტყველება და სცენური გარეგნობა ჰქონდა.

სამწუხაროდ შ. ბოჭორიშვილი დაავადდა, მუშაობა ვეღარ შეძლო და ონი დატოვა. მის შემდეგ 1923 წლიდან დასის ხელმძღვანელობა ითავა ნიკო ბურდილაძემ. ის იმ დროს კლუბის გამგეთაც დანიშნეს. მან პირველ რიგში ახალი სათეატრო შენობისათვის დაიწყო ზრუნვა. გადაწყდა გამართულიყო რამდენიმე წარმოდგენა და შემოსავლით თეატრალური შენობა მოეწყობო. ერთ-ერთ ასეთ საღამოს შემთხვევით დაესწრნენ: სერგო ორჯონიკიძე, ათარბეგოვი და



მიასნიკოვი, რომლებიც მაზრას ათვალეირებდნენ, გაიგეს რა საღამოს მოწყობის მიზანი, ორჯონიკიძემ 200 მანეთი მისცა კლუბს, რაც მაშინ დიდი თანხა იყო და ბევრი საქმეც გაკეთდა. მოეწყო კარგი კლუბი დიდი სცენით და მაყურებელთა მოზრდილი დარბაზით.

აქედან იწყება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მჩქეფარე სასცენო მუშაობა.

1922 წლიდან 1939 წლამდე (სახელმწიფო თეატრის დაარსებამდე) ბევრი საინტერესო პიესა დაიდგა. დასის რეპერტუარში შედიოდა: ერისთავის „სამშობლო“, შიუქაშვილის „სულელი“, ნინოშვილის „ქრისტიანე“. ცაგარლის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“, დადიანის „შენი ჭირი“, კირშონის „პური“, რემონაძის „სტუმარ-მასპინძლობა“, კაკაბაძის „უვარყვარე თუთაბერი“ და სხვ.

ამ პერიოდში სრულიად ახალგაზრდა მხატვარი, რაჭის მკვიდრი უჩა ჯაფარიძე ახლოს იყო თეატრთან და სპექტაკლებს მხატვრულად აფორმებდა.

ნიკო ბურდილაძე იგონებს: „1927 წელს, როცა ჯერ კიდევ უჩა მოსწავლე იყო, ზაფხულში დასასვენებლად მოვიდა ონში. მაშინ ჩვენი დრამწერე დგამდა პიესას „ბურჟუები ჯოჯოხეთში“. საჭირო იყო დეკორაციები. ამის შესახებ მას ვთხოვეთ. ის იმ დღესვე მოვიდა ჩვენთან, მასალები მივეცით და დახატა დეკორაციები, მაგრამ რა დახატა, როდესაც დეკორაციები სცენაზე დაეყენეთ, გავანათედ, ფარდა აიხადა, და დარბაზიდან შიშის შეძახილი ისმოდა, ხოლო როცა სცენის იატაკიდან ქექა-ქუხილთან ერთად ცეცხლის ალი ამოვარდა და თან მეფისტოფელი ამოჰყვა, დარბაზში რამდენიმე ქალის კვილი გაისმა. ასე დიდი ოსტატობით დახატა ჯერ კიდევ დამწყებმა მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ „ჯოჯოხეთის“ დეკორაციები.

ონის თეატრალური ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდი როლი ითამაშა თბილისის და ქუთაისის თეატრების მსახიობთა გასტროლებმა. გასტროლებზე ჩამოსული მსახიობები არა მარტო თავიანთი ძალებით ატარებდნენ სპექტაკლებს, არამედ სცენისმოყვარეებსაც იყენებდნენ დადგმულ პიესებში, ასწავლიდნენ, ესაუბრებოდნენ...

ონის კლუბში და შემდეგ კულტურის სახლში ხშირი სტუმრები იყვნენ ქუთაისის თეატრის მსახიობები შალვა ხონელი, ვარლამ ჩხიკვაძე, ანდრო მურუსიძე, გრიგოლ კოსტავა, ივანე ბარ-

ველი, ნინო წინამძღვარი, ვიქტორ მატარაძე, ახალგაზრდა მსახიობი ქალი ცუცა მექმარიაშვილი და სხვები.

1927 წელს, ონში საგასტროლოდ მიწვეული იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ცნობილი მომღერლები: ვენახე, ინაშვილ-, მაშინ ახალგაზრდა მომღერლები: გერმესაშვილი, ხამაშურიძე, ნ. ცომაია, პ. ამირანაშვილი და პიანისტი ქალი ხაბურზანია.

დასამახსოვრებელი და წარუშლელი იყო სცენის სიამაყის ელისაბედ ჩერქეზიშვილის გასტროლები, რომელიც 1927 წლის ზაფხულში შედგა. აქ ლიზამ რამდენიმე წარმოდგენა ჩაატარა, რომლებშიც ძირითადად ონელი სცენისმოყვარეები თამაშობდნენ. მაყურებელი მოხიბლული იყო ლიზას თამაშით, მისი ოსტატობით და უშუალოდ.

ღირსშესანიშნავი იყო ონში 1931 წ. შალვა დადიანის გასტროლები. მას ახლდნენ ცნობილი რეჟისორი შოთა აღსაბაძე და მხატვარი ირაკლი გამრეკელი, მსახიობებიდან: გ. ფრონისპირელი, დ. მუჯავა, ნ. გვარაძე და სხვ. ისინი თითქმის ორ თვეს დარჩნენ ონში და უჩვენეს: რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, კირშონის „პური“, დადიანის — „საქარის ქელი“ და „გეგეჭკორი“. პიესებში თამაშობდნენ შ. დადიანა, შ. აღსაბაძე, მისი მეუღლე ვარია და ონელი სცენისმოყვარეები. ონის ვარდა წარმოდგენები გამართეს მეზობელი რაიონის სოფლებში, სადაც შალვას და მის მეგობრებს გულთბილად და სიყვარულით ხვდებოდნენ.

გასტროლების დროს შალვამ ინახულა ახლანდელი ამბროლაურის რაიონის სოფლები ქელიაღელე და ნიკორწმინდა, სადაც წარმოდგენებიც გაიმართა. ნიკორწმინდის ტაძარმა შალვაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1939 წ. აპრილში, უკვე მომწიფდა ნიადაგი იმისათვის, რომ ონში სახელმწიფო თეატრი დაარსებულიყო. და მართლაც, იმავე წელს მაისის თვეში შეიქმნა რაიონული საკოლმეურნეო სახელმწიფო თეატრი, სადაც რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი რეჟისორი მიხეილ იარალი.

თუმცა ხანმოკლე იყო სახელმწიფო თეატრის არსებობა, მაგრამ მან გარკვეული როლი ითამაშა ონის კულტურულ ცხოვრებაში. ონის სახალხო თეატრი გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დღეს რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივად ითვლება.

## „გამოკეცილი ჭიქიარი“ ი ა ა ზ უ ლ ა ი ა - ნ უ ც უ ზ ი ა ი

თვითმოქმედება ზოგიერთის აზრით ხელოვნებით უბრალო გატაცება, ვართობაა. მაგრამ ეს

ასე არ არის. არაპროფესიულ ხელოვნებას თავისი სპეციფიკა აქვს და მას თავისებურადაც



უნდა მივუღდეთ, გავითვალისწინოთ ის სიძნე-  
ლეები და დაბრკოლებანი, რომელთა გადალახ-  
ვა უხდებათ მის მესვეურთ, რასაკვირველია იმ  
პრეტენზიებს ვერ წაუყუენებთ, რასაც მოვით-  
ხოვთ ხოლმე პროფესიული ხელოვნებისაგან,  
მაგრამ თვითმოქმედი ხელოვნებაც თანამედროვე  
კულტურის გარკვეულ სიმაღლეზე უნდა იდგეს.

სახალხო თეატრს, რომლის ახალ წარმოდგენა-  
ზე გვინდა ვილაპარაკოთ, დიდი თეატრალური  
ტრადიციები აქვს. 75 წელია თბილისის ლენინის  
რაიონის პლენანოვის სახელობის კულტურის  
სახლში სახალხო თეატრი არსებობს, რომელიც  
წლების მანძილზე იდეურად და მხატვრულად  
საინტერესო სპექტაკლებს სთავაზობს მაყურებ-  
ელს. მრავალი მოღვაწე გადავიდა აქედან პრო-  
ფესიულ სცენაზე და ბევრი მათგანი შემდგომ-  
ში ქართული სცენის ვარსკვლავიც გახდა.

არც ამჯერად ვაგვაწბილა დასმა. დრამატურგ  
ა. ლევინის პიესაზე. „გამოკეტილი ჭიშკარი“,  
გულმოდგინე მუშაობით საინტერესო სპექტაკლი  
წარმოგვიდგინა.

ქართული სოფლის კარ-მიდამოს ფონზე იმ-  
ლება დრამის სიუჟეტი. პიესა არ არის რთული  
პლანის, მაგრამ მახვილ სიუჟეტზეა აგებული.  
იგი ჩვენს თანამედროვე სინამდვილეს ასახავს.  
თვით სახელწოდება მიგვანიშნებს პიესის პრობ-  
ლემაზე. დრამატურგმა და რეჟისორმა წინა  
პლანზე წამოსწიეს ერთი მტივიანული საკითხი,  
მრავალი მიტოვებული, გამოკეტილი ჭიშკარია  
სოფლად დღეს. ახალგაზრდობა ტოვებს მშობ-  
ლიურ ადგილებს და ქალაქში საცხოვრებლად  
ისწრაფვის. წარმოდგენის უმთავრესი ღირსება  
და მისი წარმატების საფუძველი იმაში მდგომარე-  
ობს, რომ მოაგონოს ახალგაზრდებს თავიანთი  
მოვალეობა, მოვალეობის გრძობა.

ეს პრობლემა ახალი არ არის და მასზე ბევრი  
დაწერილა, მაგრამ ვერაინ ვერ იტყვის, რომ  
დღეს იგი განსაკუთრებით მტივიანული არ იყოს.

ჩვენი სახალხო თეატრების წინაშე დიდი ხანია  
დასახულია მრავალი ახალი ამოცანა. ერთ-ერთი  
ყველაზე საჭირო მათ შორის არის თანამედრო-  
ვეობის საჭირობოტო საკითხების ასახვა. ბუნებ-  
რივია მოთხოვნილება, რომელსაც სახალხო თე-  
ატრებს მაყურებელი ამ მხრივ უყენებს.

პიესის მახვილი მიმართულია იმათ წინააღ-  
მდეგ, ვინც დღეს სოფლად ცხოვრებას  
უგულუბელებოფს. სახალხო თეატრმა სწორად  
გაიგო პიესის აზრი და შეძლო გამოენახა შესა-  
ფერისი საშუალებები მისი განსახიერებისათვის.

წარმოდგენა დადგა და მუსიკალურად გაა-  
ფორმა რესპუბლიკის დამს. არტისტმა შოთა

კიკნაძემ. დრამატული სიტუაციების მიუხედა-  
ვად, რეჟისორის მიერ დადგმული ბევრი სცენა  
ხალასი იუმორით იყო გამთბარი. სასიამოვნოდ  
ჯღერდა სპექტაკლში მუსიკის მონტაჟი.

კარგად აქვს გააზრებული რეჟისორის სპექ-  
ტაკლის ფინალი, რომელიც არ იწვევს უიმედო-  
ბას და ოპტიმისტურად არის წარმოდგენილი.

მაყურებელთა გულწრფელი მოწონება დაიმ-  
სახურა მსახიობთა უმეტესმა ნაწილმა. ა. ლა-  
ფაჩი ჩინებული მსახიობია სახალხო თეატრები-  
სათვის. უჩა დიდიძის როლში მას კარგად აქვს  
გაღმოცემული გაცივრა ადამიანის სულისკვე-  
თება. ხასიათის სწორი ინტერპრეტაცია მისცა  
შ. ჯანიაშვილმა ასლანის როლს.

ნ. ლაცაბიძემ განასახიერა ეკას როლი, რომე-  
ლიც თუმც ეპიზოდურია, მაგრამ მსახიობმა მკა-  
ფიო ფერებით დაგვიხატა იგი.

მ. ობოლაძე კარგად ანსახიერებს ჭორიკანა  
აკვირინეს სახეს. მან მკვეთრად გამოხატა მოზ-  
ვენებითად კეთილი, სინამდვილეში კი მატყუარა  
ქალის ყველა მანიერება.

ორი შემსრულებელი ყავს ანტიფოს როლს:  
რესპ. დამსახ. არტისტი დ. ჯანჯალაშვილი და  
ჯ. გორგაია. ორივე მსახიობი სხვადასხვაგვარად  
წარმოგვიდგენს ანტიფოს სახეს.

სპექტაკლში სოფლის მცხოვრებთა სხვა სა-  
ხეებიც არის წარმოდგენილი. მართალია, ეს სა-  
ხეები ესკიზურია, მაგრამ პიესაში მათ გადა-  
წყვეტი ფუნქცია აქვთ მინიჭებული. ა. მელელა-  
შვილმა, ალ. კუპრაძემ, ლ. გვიშიანმა და სხვებ-  
მა კარგი ეპიზოდური სახეები შექმნეს სპექ-  
ტაკლში.

წარმოდგენა მხატვრულად გააფორმა გ. დანკ-  
ლიანმა. სცენაზე შექმნილია სრულიად ბუნებ-  
რივი გარემო. მონერხებულად არის გამოყენე-  
ბული სცენის სივრცე, სადაც გამოხატულია  
სოფლის კოლორიტული პეიზაჟი, წინა პლანზე  
ოდა სახლი და სხვ.

სამწუხაროდ სპექტაკლს ჰქონდა ტექნიკური  
ხარვეზები. მაგალითად, გაუმართავი განათება,  
ტექნიკურად უხარისხო მონტაჟი, რომელიც  
რამდენადმე აქვეითებდა წარმოდგენის ესთეტი-  
კურ დონეს და რომლის გამოსწორება არც თუ  
ისე რთული საქმე იყო.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავად  
სხვადასხვაგვარი დაბრკოლებებისა დადგმა მა-  
ინც მთელი სახალხო თეატრის კოლექტივის პა-  
სუხისმგებლობითა და თეატრისადმი სიყვარუ-  
ლით არის აღბეჭდილი. მაყურებლებით გაჭე-  
დილ დარბაზში სპექტაკლი გულთბილად იქნა  
მიღებული.



## „ურიელ აკოსტა“

### კუპური გოგიაშვილი

კობე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“-ს მარჯანიშვილისეული დადგმა აღადგინა. ეს საბატიო და მეტად რთული საქმე იქონია და ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა. ქართული სცენის სასიქადულო ოსტატმა ვერიკო ანჯაფარიძემ.

ახლად აღდგენილმა პიესამ ბევრი სიხარული განმცდევინა და მომაგონა... მომაგონა თეატრში გატარებული ჩემი სიცოცხლის განუმეორებელი წლები, მაშინდელი დასის დაუზარელი ხალხი, მთელი შემოქმედებითი კოლექტივი.

უპირველეს ყოვლისა, თმაშევერცხლილი კოტე თავისი ცეცხლოვანი თვლებით და პაპიროსის ბოლში გახვეული სახით!

პიესის დაწყებისას მუსიკის ხმაზე თვალწინ დამიდგა კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი, თავისი განთქმული ძაღლით „ბულკა“-თი. დეკორაციებმა მომაგონეს ჩუმი და უნიჭიერესი მხატვარი პეტრე ოცხელი. ხოლო ცეკვების დროს — ქორეოგრაფი და პიანისტი, ენერგიული და თეატრისათვის მეტად საჭირო ადამიანი დავით მაჭავარიანი. ჩემს თვალწინ გაიელვა მაშინდელი მოკარნახის, ამჟამად მესხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ მემარიაშვილის დიმილით აღსავსე სახემ, რომელმაც ერთხელ „ურიელ აკოსტას“ წარმოდგენის დროს საკარნახო ჯიხტრში „ურიელის“ ნაცვლად შეცდომით პიესა „ცხვრის წყარო“ ჩაიტანა, მაგრამ არ დაბნეულა, მთელი პირველი მოქმედება ზეპირად უკარნახა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში დავდიოდი ქუთაისის თეატრში, გატაცებული ვიყავი წარმოდგენებით. ბევრჯერ მიტირია „ორი ჯიბიგირის“ თუ „ორი ობოლის“ ნახვისას. განსაკუთრებით დამამახსოვრდა „ურიელ აკოსტა“. ამ სპექტაკლში ურიელის როლს ასრულებდა იმ დროს სახელგანთქმული მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, ხოლო ივლითს — ნადია სირბილაძე.

მოგონებებმა შორს გამიტაცა და სჯობს დაწებულ საქმეს დავუბრუნდეთ.

1928 წელს კ. მარჯანიშვილის ჩამოსვლამ და მეორე სახელმწიფო ქართული თეატრის დაარსებამ ქუთაისში მთელი ინტელიგენცია ააფორიქა. მაყურებლები, ვიდრე სეზონი გაიხსნებოდა,

ჯერ კიდევ ქუთაისის, თუ კათოლიკური ეკლესიის ბაღში ეცნობოდნენ ბედნიერ ვარსკვლავზე ჩამოსული რეჟისორის ჯადოქრობას. კოტე კინოსურათ „კომუნარის ჩიბუხს“ იღებდა და მოზღვავებული ხალხი კმაყოფილებით ადევნებდა თვალს გადაღებებს, კოტეს რჩევა-დარიგებებს, მის ტემპერამენტთან მიხვრა-მოხვრას.

ამავე წელს შემოდგომაზე თეატრთან დაარსებულ იქნა დრამატული სტუდია, სადაც ოცდაათამდე ახალგაზრდამ მოიყარა თავი. ჩვენ, სტუდიელები კმაყოფილნი ვიყავით ბედით, რომელმაც ასეთ შესანიშნავ კოლექტივთან დაკავაყავშირა და, ცხადია, თვითეული ჩვენგანი ცდილობდა გვესარგებლა ამ ბედნიერი შემთხვევით და ბევრი რამ გვესწავლა მათგან.

1929 წელს რეჟისორმა გრიგოლ სულიაშვილმა დაიწყო „ურიელ აკოსტას“ რეპეტიციები. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამ სპექტაკლის სხვა გამომჩინილ მსახიობებთან ერთად მასობრივ სცენებში დაკავებულნი იყვენენ:

გ. შავგულიძე, ალ. ბეგალიშვილი, რ. თოდუა, მ. სანიკიძე, კ. წერეთელი და სხვები. მასობრივ სცენებში მეც ვმონაწილეობდი. (ვასრულებდით მოცეკვავეებისა და რაბინთა როლებს).

თავისუფალ დროს, ვიდრე ჩვენი გამოსვლა მოაღწევდა, ფრთხილად შევიპარებოდით პარტიის კუნჭულში, ან ქანდარზე ავკვრებოდით და გასუსულნი დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს მგზნებარე უშანგის ურიელს, ნარნარ ვერიკოს ივლითს. ბრძნულად მოაზროვნე შ. ლამბაშიძის დე-სილვას, საგონებელში ჩავარდნილ შ. გომელაურის მანასეს, ალ. იმედაშვილის (შემდეგ გრიგოლ კოსტავაც თამაშობდა) მრისხანე დე-სანტოსს, ა. მურუსიძის შეუბრალებელ ვაჰარ ბენ-იოხანს.

ეპიზოდურ როლებში მეტად დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიდნენ და იუმორთან შეზავებულ ფერებში შესანიშნავად გამოიყურებოდნენ ს. ჟორჯოლიანი და აკ. კვანტალიანი ბენ-აკიბას და ვან-ებდენის როლებში.

უმართებულო იქნება აქვე არ აღვნიშნოთ ს. ჟორჯოლიანის და ა. კვანტალიანის უბადლო თამაში. მათმა ვირტუოზულობამ კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა და ხელი შეუწყო სპექტაკლის წარმატებას. თითქოს ახლაც მესმის ყურში ს. ჟორჯოლიანის გაბრაზებული მოხუცის



ჩიფჩიფი: „როგორ! ახერი არ არსებობსო? შენ ხომ არსებობ, მამასადამე ახერიც იყო!“ და აკ. კვანტალიანის როლის ერთადერთი ფრაზა: „პირდაპირ გვითხარ, აკოსტა, რა გწამს!“

ჩვენში განუზომელ ცრემლს იწვევდა ურიელის სცენა დედასთან (მსახ. ანეტა ქიქოძე) და უშანგის შვექარე ხმით წამოძახილი სიტყვები: „ო. გვედრები, დედაჩემო, ეგ. უსინათლო თვალნი დახუჭე. კმარა, მივიღივარ, მივიღივარ!“.

მახსოვს თვითონ კოტე რამდენჯერ ასულა სცენაზე, რეპეტიციისა თუ სურათის დასასრულს რამდენჯერ გადახვევია უშანგისა თუ ვერიკოსს და ყველას, ვინც მონაღმებელი იყო თავი გამოეჩინა დიდი რეჟისორისა და მსახურების წინაშე.

მეოთხე მოქმედებაში თავისუფალნი ვიყავით. ჩვენ. ჯერ ისევ სულ მთლად ჭაბუკებს, შუქის ფარები გვეჭირა ხელში და ვანათებდით ურიელის თუ ივლითის სახეებს.

ძალიან ადრე ვიკავებდით ადგილს და სულგანაბულნი ვუცდიდით მეოთხე აქტის დაწყებას. ამას ვაკეთებდით ქვეშარტი სიყვარულით და დიდი მონაღმებით, რათა ჩვენი ალალი წვლილი შეგვეტანა სპექტაკლის წარმატებაში.

ერთხელ მესამე მოქმედებაში, რაბინების სცენის დროს კოტემ, დინახა რა მისი დავალება პირნათლად შეევსრულეთ, სცენაზე ამოვარდა და ყველა შეგვაქო, გავგამხნევა, წავგახალისა.

ამ სცენას შემდეგ მსახურებლები არა თუ საქართველოში, მოსკოვსა და უკრაინაში გასტროლების დროსაც მუდამ ტაშით ხვდებოდნენ.

დაუვიწყარია ჩემთვის ერთი დღეც. როცა

თბილისში გასტროლების დროს ოპერის სახელმწიფო თეატრში „ურიელ აკოსტა“ მიდიოდა, არაჩვეულებრივი ამბავის მოწმენი ვაგხდით: მეორე მოქმედებაში წყევლის სცენის ჩატარებისას დე-სანტოსის როლის შემსრულებელმა სახელმოხვეჭილმა მსახიობმა, ალექსანდრე იმედაშვილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან ისეთი განწყობილებით ჩაატარა მთელი სცენა, რომ არა თუ ჩვენ, თვითონ მთავარი როლების შემსრულებლებიც კი ვაოცებით შესცქეროდნენ და დიდათ აღტაცებულნი დარჩნენ...

სპექტაკლის შემდეგ ქუჩაში მომლოდინე მსახურებლები ხელში ატაცებულ ვერიკოსს და უშანგის აქეთ-იქით დაატარებდნენ.

რა სასიხარულოა, როცა კოტე მარჯანიშვილის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით თეატრმა აღადგინა ეს მარად უკვდავი სპექტაკლი და ამით უდიდესი პატივი სცა დიდი მსახურებლის ნათელ ხსოვნას, ამ სპექტაკლში ადრე მონაწილე ქართული თეატრის გამოჩენილ ოსტატებს და მსახურებლებს.

ჩვენი ვალა არასოდეს არ დავივიწყოთ ისინი და ახალი ტალანტებით უზრუნველყოთ ქართული თეატრის ხვალისდელი დღე — დღეული მომავალი.

განუმეორებელი ხელოვანის მიერ ბრწყინვალედ დადგმული წარმოდგენა „ურიელ აკოსტა“ მარად უნდა ცოცხლობდეს სახელოვანი რეჟისორის, ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

და ჩვენც, მსახურებლებს, მაღლობის მეტი აბა რაღა გვეთქმის!

## კონკურსი

**ლირსუპანინუნაპი** თარიღის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი აცხადებს კონკურსს მომხრე რესპუბლიკების ლიტერატურულ ნაწარმოებთა (პროზა, ლექსი) მხატვრულ კითხვაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 30 წლის ასაკამდე ახალგაზრდებს, მათ შორის პროფესიონალებს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 5 პრემია.

ერთი — პირველი პრემია;

ორი — მეორე პრემია;

ორი — მესამე პრემია.

კონკურსი მოეწყობა 15-16-17 ნოემბერს, „მსახიობის სახლში“. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას უკანასკნელი ვადაა 1972 წლის 30 ოქტომბერი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ყოველგვარი ცნობის მიღება შეუძლიათ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში (კიროვის ქ. № 11 ა).

საპარტეზლოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი.



# პირობითობის საკითხისათვის სახვით ხელოვნებაში ოთარ ფირალიაშვილი

**ჩვენში** არა გვგონია თითებზე არ ჩამოთვალოს ისეთი ადამიანები რომლებსაც ხელოვნება ცოცხალი სინამდვილის ასახვად არ მიაჩნდება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ხელოვნების არსებითი დამახასიათებელი თვისებები ყველასათვის ერთხაირად ცნობილი და ნათელი იყოს. კიდევ მეტიც, არა თუ მაყურებელთა ფართო წრეებისათვის, თვით პროფესიონალ მხატვრებისათვისაც ყველა საკითხი არ არის ნათელი. ერთ-ერთი მათგანია პირობითობის საკითხი ხელოვნებაში, რასაც აქ საგანგებოდ შევეხებით.

მხატვრობა და ქანდაკება, როგორც ცოცხალი სინამდვილის გამომხატველი დარგები, სახვითი ხელოვნების სახელით სარგებლობენ, მაგრამ შეიძლება ბევრი ჩვენგანი არც კი დაფიქრდეს, რომ ეს დარგები შეიცავენ ისეთ სფეროებსაც, რომელთა ფუნქციას სრულებითაც არ შეჰდგენს ცოცხალი სინამდვილის უშუალო ასახვა. ასეთია ამ დარგთა დეკორატიული განხორციელება: შენობის ფასადების ორნამენტებით მორთვა, ოთახის კედლების აფერადება, კერამიკული ჭურჭლის ზედამირი და წიგნის მორთულობანი. ესენი არ გვიხატავენ სინამდვილეში არსებულ საგნებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებას. კიდევ მეტიც. სწორედ მაშინ არიან უფრო მიმზიდველი როდესაც საგნებს უშუალოდ არ ანსახებრებენ.

მართალია დეკორატიული ნაწარმოებები სინამდვილეს იმეორებენ, ყოველ შემთხვევაში მაშინ იმპულსური კონტაქტების გარეშე არ იშვებინან, მაგრამ პირწმინდათ გამოჩაგონი არიან და ამიტომ ამ სფეროებს, პირობითად, არასახვითი ხელოვნების სახელით გამოარჩევენ.

ამდენად სახვითი მხატვრობისა და ქანდაკების პარალელურად არსებობს არასახვითი მხატვრობისა და ქანდაკების სფერო, რომლის არსებობით ნიშნის მორთულობითი პირობითობა წარმოადგენს. მას არსებობის ყველა უფლება და პირობა გააჩნია, რამდენადაც ადამიანის ცხოვრების გალამაზებას ემსახურება. მის არსებით ნიშანს არა ობიექტურად არსებული საგნების ასახვა, არამედ პირობითი მხატვრული კომბინაციების თხზვა წარმოადგენს. იყვნენ ყველაფერი სერიოზული ამბის მაძიებლები, რომლებიც დეკორატიული ნაწარმოების „უშინაარსობას“ აღმაცკარად უყურებდნენ. იგი ხელოვნების „უიდეო“ სახეობად იჩვენებოდათ და ანგარიშს ვერ უწყევდნენ იმ გარემოებას, რომ პირადი და საზოგადოებრივი საზრუნავით დატვირთულ ადამიანს ესთეტიკური საამოვნების მომგვრელი დეკორატიული „სიმსუბუქე“ ესაჭიროება. იგი ფიზიკურსა და ინტენსიურ გონებრივ ცხოვრებას მხატვრული ემოციების პაუზად უნდა მოეკლინოს. ეს ერთგვარი ჰელონისტური ფუნქცია დეკორატიული ხელოვნების თანდაყოლილი თვისებაა. ნაყოფიერი შრომის შემდეგ ისეთ ოთახში ვერ დაისვენებ, რომლის კედლებზეც

რთული სოციალური შინაარსის სურათება ჰქონდა. მშვიდად ვერც ისეთ ხალისაზე წასთვლემ, რომელზეც მსუბუქი რიტმის ფერითი ლაქების ნაცვლად, რთული ამბები და საგნები იქნება წარმოდგენილი. სამაგიეროდ ნიჭიერად შეხატული ფერითი ლაქებით გამოწვეული სიამოვნება უბრალო გასართობი კი არა, ისეთი ესთეტიკური ტკბობაა, რომელსაც მშრომელი ადამიანისათვის სერიოზული მორალურ-ესთეტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მისი იდეური და შინაარსობრივი გამართლებაც სწორედ ასეთ ზემოქმედებაში გამოხატება.

დეკორატიული ხელოვნების წარმატება დიდათაა დამოკიდებული ხელოვნანის ტაქტსა და ზომიერების გრძობაზე... ცნობილია, მაგალითად, რომ ის ეფექტი, რაც აღმოსავლეთი საქრისტიანოს ვრცელ ხელოვნების ორლამენტის ე. წ. პალეოლოგიურ რენესანსამდე ახასიათებდა, აღარ შერჩა მას შემდეგ, როდესაც მესამე განზომილებისა და საგნების მიბაძვისადმი ინტერესის ნიადაგზე ორნამენტს სიბრტყითი პირობითობა დააყლდა და ნატურისებური რელიეფურობა დაეკყო. საგნისადმი მიბაძვა დეკორატიული ხელოვნების ყველაზე სახიფათო გზაა.

ამდენად, დეკორატიული, ანუ არასახვითი ხელოვნების წარმატება საგნისაგან ნიჭიერად დაშორების ტაქტსა და გამომგონებლობაზეა დამოკიდებული. მაგრამ აქ წარმატების საწინდარი მართო ეს არ არის. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ გამოგონილი და პირობითი სახეების ისეთ რიტმულ აკონძვას, სადაც პაუზასაც რიტმული ზომიერება განაპირობებს.

რა თქმა უნდა დეკორატიული ხელოვნების სათავეც ცოცხალი სინამდვილეა, მაგრამ არა უშუალოდ განმეორების, არამედ იმპულსური დამოკიდებულების თვალსაზრისით. მას აქვს როგორც უპირობო ისე პირობითი თვისებები. იგი უპირობოა როგორც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების გალამაზების მსახური და როგორც ნაყოფიერი ფიზიკური და გონებრივი ცხოვრების აუცილებელი ემოციური გაუზა. მისი იდეური ფუნქცია სწორედ ესაა. რაც შეეხება ცოცხალ სინამდვილეში არსებულ საგნების ასახვას — ეს დიდი ტაქტის, დეკორატიული სიბრტყითი პირობითობის და ფაქიზი გამომგონებლობის გარეშე მხატვრული ლირებულების დაქვეითებას იწვევს.

რაც შეეხება სახვით ხელოვნებას, მასში ესთეტიკური სიამე ცოცხალ სინამდვილესთან რთულ მიმართებასთანაა დაკავშირებული. მართალია გამოჩაგონი მასშიც ბევრია, მაგრამ იგი დეკორატიული ხელოვნების ძალით არ შორდება საგნობრივ სამყაროს. პირიქით მისი ამოსავალი სწორედ ის დამოკიდებულებაა, რაც ხელოვნანსა და საგნობრივ სამყაროს შორის არსებობს. მაგრამ ყოველივე ეს მასში არც ისე მარტივად არის, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ.



სინამდვილის ასახვის ფუნქციაში ბევრი ჩვენგანი ობიექტურად არსებულ საგნებისა და მოვლენების პირდაპირ გარეგნულ გადმოცემას ჰგულისხმობს და მხატვრის როლს მათს მხოლოდ „გავსათეიერებამა“ ხედავს. ამ თვალსაზრისს ჩვეულებრივ სამწიხარო შედეგს მოსდევს: ჭეშმარიტ სილამაზეს „შელამაზებულობა“ სცვლის, გულწრფელ გრძობას — სიყალბე.

სიღად მრდის საგანთა მიბაძვის ჩვეულება ამას აქვს რამდენიმე წინაპირობა, რომელთაგან ჩვენ შევეხებით მხოლოდ ორს. ერთი და მთავარი გამოწვეულია შემდეგი აუცილებლობით: მხატვარი ბუნების ამა თუ იმ მოვლენის მიმართ თავის ემოციას ვერ გამოხატავს, თუ ემპირიულ გზით, თვითონ მოვლენა არ შეისწავლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოცხალი სინამდვილის შესწავლა, რასაც მომავალი ხელოვანი ყოველ სამხატვრო სასწავლებელში ღებულობს, აუცილებელი პირობაა შედეგში. მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაკემად ეს ფაქტორი ყოველთვის არსებობდა და ახლაც რჩება ძალაში, როგორც შემოქმედებითი მიზნების გადმოცემის საშუალება. მაგრამ ხელოვნებაში ნატურალისტურმა მიმდინარეობამა მას თვითმიზნური ღირებულება დააკისრეს. ობიექტურად არსებულ საგანთა და მოვლენათა მიბაძვა ხელოვნების ყოვლისშემძველ პრინციპად გამოცხადდა. ამას წინ უძღვოდა გარკვეული თეორიული საბუთიანობა, რაც ამ მოვლენის მეორე სერიოზული წინაპირობათაგანია.

იგი დაეფუძნა არისტოტელეს ე. წ. „მიმეზისას“ მცდარ გაგებას, რომლის მიხედვითაც „მიმეზისი“ ახსნილი იქნა, როგორც ხელოვნებაში სინამდვილის „მიბაძვის“ კანონი, რაც საბედისწერო გამოდგა სახელოვნო თეორიული აზროვნების მრავალსაუკუნოვან მანძილზე. უკანასკნელ ხანებში, ამ საკითხში არისტოტელეს მრავალსაუკუნოვან გაყალბებაზე წერენ, რომ არისტოტელეს „მიმეზისი“ ნიშნავს არამიბაძვას, არამედ წარმოსახვას, რითაც ამ ცნებას სინამდვილისადმი პასიური ასპექტის ნაცვლად აქტიური ასპექტი აღუდგა (იხ. ვილჰელმ გირნიუსი, ორი ათასი წელი არისტოტელეს პოეტიკის გაყალბებისა, მნათობი, 1970, № 2).

მართალია, საღი რეალისტური მიმდინარეობები სინამდვილისადმი აქტიურ დამოკიდებულებას არისტოტელეს „მიმეზისაგან“ დამოუკიდებლადაც შესანიშნავად იჩენდნენ, მაგრამ ნატურალისტური ტენდენციებისათვის არისტოტელეს ავტორიტეტისადმი ამოფარებასაც, რომ დიდი ძალა ჰქონდა, ესეც ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ დაუფრუნდეთ ძირითად თემას. სერიოზულ შეცდომას უშვებს ვინც ფიქრობს, თითქოს ხელოვნების არის ცოცხალი სინამდვილის, საგანთა და მოვლენათა განმეორება წარმოადგენს.

უმთავრესი არის არა ობიექტურად არსებული საგნის გარეგნობა, არამედ ხელოვანის იდეურ-ემოციური სამყარო და მისი საგნობრივ სამყაროსთან დამოკიდებულება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ დედისა და შვილის თემა ველათის ღვთისმშობლის ტაძრის მოზაიკის ავტორისათვის, პეტრუჩინოსათვისა და რენოლდსისათვის ერთი და იგივე ასპექტში უნდა გადაწყვეტილიყო.

სახვითი ხელოვნების ფუნქციები და თვისებები ძირითადად საზოგადოებრივი შინაარსითა და მიზანსწრაფვით ხასიათდება. ხელოვანი თა-

ვისი საზოგადოებრივი ინტერესების მონაწილე გზის. მაგრამ ამას რომ მიადწიოს, თავისი მხატვრული მეტყველების შთამაგონებლობისა ჯერ თვითონ უნდა სჯეროდეს. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი საზოგადოებრივი იდეების მქონე უდიდესი ტალანტები ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ სწორედ შთამაგონებელი ფორმის ძიებაში. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავისხენოთ მიქელანჯელოს შავალით, რომელიც მხატვრული იდეა-ფორმის სრულყოფისათვის წვაში ტანსაცმლის გახდისათვისაც კი თვევით ვერ იცლიდა.

რატომ იტანჯებოდა იგი ასე? ნიჭი აკლდა თუ დიდი გრძობის შესაფერისი ახალი ფორმის ძიების უნარი? მცირე გრძობის გადმოცემა ხომ გატკეპნილი ხერხებითა და ფორმებითაც ხერხდება! მაგრამ ჰინების ლუტცელერის სიტყვით რომ ვთქვათ: „ვისაც ხელოვნებაზე უბატონია, ხელოვნებაში უძღვრებაც სწორედ მასვე შეუძენება ხოლმე“ (იხ. მისი ხელოვნებაში „დაუსრულებელის“ თეორიისათვის, გვ. 243)

მიქელანჯელო ფეოდოლოვის წიაღში აღმოცენებული ბურჟუაზიის, როგორც იმ დროისათვის პროგრესული ძალის მებრტყე. ახალი ადამიანის სიდიადის ქადაგებისთვის იღწვოდა. მაგრამ ისეთი ადამიანების გამოხატვით როგორც ბუნებას შეუქმნია, ამ შთამაგონებელი იდეის გადმოცემა ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ თხზავდა ისეთ არსებებს, რომლებიც ადამიანის ანატომიის ნორმებს დიდთ სცილდებოდნენ. ამ გზით იგი არსებულის ტრანსფორმაციას ეწეოდა (რასაც მოდერნიზმის დეფორმაციასთან არაფერი საერთო არა აქვს). ასე, ჩვეულებრივი ადამიანის ტრანსფორმაციით ეპოქალურ გოლიათთა განსახიერებების მიღება უძილო თვეების გარეშე ვერ ხერხდებოდა.

ამრიგად, დიდი გულისთქმის გამოსატყეველად, საგნობრივი სინამდვილის დიდი გადატყეობლობა ლოგიკური აუცილებლობითაა შეპირობებული.

ერთი წუთითაც თუ დაუშვებთ, რომ სახვითი ხელოვნების ძირითადი ფუნქცია არის მხოლოდ საგნებისა და მათ შორის დამოკიდებულებას ისე გადმოცემა, როგორც ბუნებაშია მოქმედი, დიდი უნიჭობით ავსხსნილი მიქელანჯელოს გაწამებულ თვეებსა და წლებს. მაგრამ ეს ასე არ არის.

ხელოვნების სინამდვილისადმი დამოკიდებულების მსოფლმხედველობითი ტენდენცია არის ის ძირითადი შემაპირობებელი ფაქტორი, რომლისთვისაც სივრცეში ემპირიულად განფენილი საგნები არსებობს, მასალად მოქმედების ასპარეზად გადაიქცევიან ხოლმე. ხელოვანი სახეს უცვლის მათ ისე, რომ სათქმელი ათქმევინოს, დიდი უნიჭობით ავსხსნილი მიქელანჯელოს გაწამებულ თვეებსა და წლებს. მაგრამ ეს ასე არ არის.

„მსხვერპლნი“ ხდებიან. მეცნიერმა რომ თქვას XVIII საუკუნის ესპანეთში სახედრებს სტომატოლოგიურ მჭერნალობას უტარებდნენო ცხადია სიცილს დააყრიან, გოიას კი არავინ დასცინავს ამის გამო. ვეფხისტყაოსნის არცერთ ჰეკლათამყოფელ წამკითხველს არ მოუფა თავში სერო-



ზულად იფიქროს თითქოს XII საუკუნეში მართლა არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ცრემლის ღენით მდინარის გაჩენა შეეძლოთ. ამ პირობითობას მკითხველი ისე აღიქვამს როგორც მხატვრულ აუცილებლობას.

ლადო გულიაშვილის შემოქმედებაში ხშირად შეგხვდებით ცხოველის მავგარი ისეთი არსებანი, რომლებსაც მსოფლიოს ვერცერთ ტყესა, მინდორზე და ზოოპარკში ვერ იხილავთ. მხატვარი ამ შეთხზული ცხოველების საშუალებით თავის გულის ნადებს გიზიარებთ, მაგრამ მათს შემყურეს განა მოუვა თავში იფიქროს, თითქოს ასეთი ცხოველები პირადად გუდიაშვილს ჰყავდეს სადმე ნახული?

ან ვის უნახავს ცხოველები ისე ლაპარაკობდნენ და იქცეოდნენ, როგორც ეს ეზოპეს, სულხან საბა ორბელიანის, ან კრილოვის იგავ-არაკებშია?

ანტიკური ეპოქის ბერძნებს კენტავრების გამოქანდაკება უყვარდათ და ამ თემაზე არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები შეუქმნიათ. განვიხილავთ მოუვა თავში იფიქროს, თითქოს მაშინ ათიკის ველ-მინდვრებში ადამიანის ტანისა და თავის შქონე ცხენები დარბოდნენ.

კონ განაცხადებს სერიოზულად თითქოს აპულეის ეპოქაში თესალიაში დაფნისა და კამის ნაყენით ადამიანის გადაქცევა ფრინველად ან სახედრად შეიძლებოდა. აპულეი კი მაგიის ძლევაში იღვწის დასარწმუნებლად და მხატვრული შთამბეჭდაობისათვის გიამბობთ ვითომ თითონ განეცადოს სახედრად გარდაქმნის სავალალო თავგადასავალი, რასაც დიდი ღელვითა და ემოციით მკითხველსაც განაცდევინებს.

ხელოვნებაში პირობითობას საოცარი მრავალფეროვნება ახასიათებს. იგი დამოკიდებულია დარგსა და ქანზე, მასალასა და დროზე, სუბიექტსა და სტილზე, ერთი სიტყვით მისი საზღვრები ძალზე ფართო და მრავალფეროვანია. მოქანდაკე თიხის ფერში გამოიყვანს ულამაზეს თეთრკანიან ქალს, მაგრამ არავითარ უხერხულებას არ განიცდი. გრაფიკოსი ფერ-ხორციით სავეს ადამიანს მარტო შავი კონტურის მოსმით გიხატავს, მაგრამ არა თუ არ გეჩოთირებათ, პირიქით დიდ ესთეტიკურ და მორალურ სიამოვნების მონაწილე ხდებით. ფერმწერი მრავალკილომეტრიან სივრცეს ბრტყელ ტილოზე გამოგვეცემს და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

ემპირისტული თეორეტიკოსები ხელოვნების ნაწარმოების რაობას მასში წარმოდგენილი საგნებს-ს ბუნებაში მოცემულ საგნებთან ქვანტიტატიური შედარებით საზღვრავენ. ასეთი მიდგომა მხატვრული ქეშმარიტების ბუნებას არ ემ-

ყარება. მათი შეხედულებით მხატვრულ ქეშმარიტებასა და ობიექტურად მოცემულ საგანს შორის თანაფარდობის ნიშანი იგულისხმება. მათ მატერიალური ყოფიერების კანონზომიერება მექანიკურად გადააქვთ ხელოვნებაზეც. არ ითვალისწინებენ, ან საკმარისად ვერ ითვალისწინებენ, რომ ხელოვნების კანონზომიერებას მართავს არა ბუნებაში მოცემული საგანი თავისთავად. არამედ ხელოვნის სულიერი ცხოვრება, მისი მისწრაფებები. მისი სოციალური, საზოგადოებრივი ინტერესები და ტენდენციები. მ. კაგანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რამდენადაც ხელოვნების მიზანს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი ცხოვრების შემეცნება, მატერიალური ცხოვრების სამყაროს შემეცნება კი მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა, ამდენად, ადამიანების აზრთა და გრძნობათა, განწყობილებათა და განცდათა ხელახალყოფას უნდა ჰქონდეს უპირობო ხასიათი, ანუ უნდა იყოს ადექვატური. რაც შეეხება მოვლენის მატერიალურ გარეგნობას, მის ფიზიკურ კანონზომიერებასა და ბიოლოგიურ ყოფიერებას, იგი უპირობოა და არაადექვატური უნდა იყოს, იმდენად, რამდენადაც ეს დაეხმარება ადამიანის სულიერი ცხოვრების მკაფიო და ძლიერად განსხეულებას“.

ამ ქეშმარიტების გათვალისწინების გარეშე ხელოვნების ბუნების შემეცნება შეუძლებელია. საკმარისია ხელოვნების ამოსავალ პირობად საგანი აქციო, ისე როგორც იგი ემპირიულად არსებობს, რომ ხელოვნება სულიერი ცხოვრების მაღალი ამოცანებიდან საგანთა აღმრიცხველის დონემდე დაუშვა და ნატურალიზმს ან მხოხავ ემპირიზმს აზიარო. ამდენად სინამდვილის ტრანსფორმაცია, (და არა მოდერნისტული დეფორმაცია), რაც ესოდენ დამახასიათებელია ყოველი დიდი ხელოვნის შემოქმედებისათვის, ხელოვნების სუნთქვაა. მაგრამ მისი ბუნების უკეთ შემეცნებისათვის, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რატომ აბრუებს ქეშმარიტი ხელოვნების სუნთქვის მომჭადოებლობა, არა მარტო თანადროულობას, არამედ საუკუნეებდამორებულ თაობებსაც, რომელთა სოციალურ ყოფას, შედეგების შემქნელთა ყოფაცხოვრებასთან, არაფერი საერთო არა აქვს. ამ საიდუმლოს გარკვევა კარგა ხანია, რაც მარქსმა ანტიკური ხელოვნების ემოციურ ზეგავლენის საკითხთან დაკავშირებით ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების წინაშე დააყენა. მის ამოხსნას ალბათ კიდევ საკმაოდ დროსა და ენერჯის მიძღვნა დასჭირდება.



# ქერნალი „იმედი“ თეატრის შესახებ

## გივი ჯაფარიძე

ქურონალი „იმედი“ ხალხოსნური მიმართულების ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო შინაარსის ორგანო იყო. გამოდიოდა 1881—1883 წლებში. პირველი ორი წლის განმავლობაში გამოვიდა ქურონალის 12-12 ნომერი, ხოლო 1883 წელს კი — 5 ნომერი<sup>1</sup>.

„იმედის“ თანამშრომლები იყვნენ დ. აბდუშელიშვილი, გ. იმედაშვილი, დ. ქართველიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, ან. ფურცელაძე, ნ. ხიზანიშვილი, სოფრ. მგალობლიშვილი, გ. ჭანაშვილი, დ. ბაქრაძე, კ. მაჭავარიანი და სხვები.

ქურონალი უმთავრესად აშუქებდა ქართველი გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას. რაც შეეხება ერის სულიერი კულტურის სფეროს, კერძოდ ქართული თეატრის მდგომარეობას, მხოლოდ ერთხელ შეეხო, 1882 წლის № 1-ში ეს გახლავთ ცნობილი ხალხოსნისა და პუბლიცისტის სტეფანე ჭრელაშვილის ვრცელი სტატია „ქართული თეატრი“.

როგორც ავტორი სტატიის შესავალში გვაუწყებს, ქურონალის რედაქციას ბევრი საყვედური მიუღია მკითხველისაგან იმის გამო, თუ რატომ სდუმდა „იმედი“ თეატრის შესახებ. იქნებ არაფრად მიიჩნდა თეატრი და ამიტომაც არ იწუხებდა თავს მასზე ლაპარაკით?

სტ. ჭრელაშვილი ამ კითხვას, ქურონალის სახელით, ასე პასუხობს: თუკი ვინმე ასე ფიქრობდა, „ეს მეტად შემცდარი აზრია“. პირიქით მას მიიჩნია, რომ თეატრი არის „აუცილებელი კუთვნილება ცხოვრების განათლების გზაზე“, მეტადრე ქართველი ხალხისათვის, რომელიც ისიც იყო მაშინ იწყებდა გამოფხიზლებას: „თეატრი არის უკეთესი სასწორი, რითაც იგი სწონავს კარგსა და ავსს, აიღებს და დაიღებს, რომ თა-

ვისი შეხედულება ცხოვრებაზე ააშენოს საფუძვლიან საძირკველის ჩაგდების შემდეგ“.

პუბლიცისტი გულისტკივილით ამხელს ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელიც მიიღებს კერძო ინტერესებზე დაფუძნებული ცხოვრებისაკენ, ცხოვრების მოვლენებს უყურებს ვიწრო, პირადული ინტერესებით, ვერ გარკვეულა საზოგადო მნიშვნელობის მოვლენებში.

ასეთ ვითარებაში სტ. ჭრელაშვილს თეატრი მიიჩნია ადამიანის აღზრდის, მისი მორალურ-ზნეობრივი შეხედულებების გამაკეთილშობილებელ ტრიბუნად. თეატრი ადამიანში ხვეწს ზნეობის უფაქიზეს გრძობებს, წარმოშობს მრავალ წმინდა თვისებას, რასაც „ყველაზე უჭვირფასესი ადგილი უჭირავს ქვეყანაზე“.

სტ. ჭრელაშვილი თეატრის მიზანსა და დანიშნულებას საზოგადოებრივ განვითარებაზე ხალხოსანთა შეხედულების თვალსაზრისით განიხილავს, ხალხოსანთა იდეალებსა და პრინციპებს უკავშირებს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საშუალო გრძობებით აღჭურვილ, საზოგადოებრივ ასპარეზზე ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოღვაწე პირს, მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ხალხში გავსვლის იდეას, „საქვეყნო აზრების ქადაგებას“, რაც გამოაფხიზლებს ხალხს. აღძრავს მათ გულში ლტოლვას საყოველთაო ბედნიერებისაკენ.

ცხოვრების გარდაქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად კრიტიკოსს თეატრი მიიჩნია. მისი აზრით „თეატრი ბევრჯერ თითქმის კიდეც აღმატება“ კულტურის ხელოვნების სხვა დარგებს.

თავისი მიმართულებით ქურონალ „იმედი“ დემოკრატიულ-ხალხური იდეების მატარებელია. ამიტომაც იგი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა „მუშა ხალხის“ — გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამოცანას. სტ. ჭრელაშვილს, იზიარებს რა ქურონალს პოზიციას, მტკიცედ სჯერა, რომ გაუნათლებელ, მდაბიო ხალხზე წაყითხული ისე ძლიერ ეფექტს არ მოახდენს, როგორც თვალთ დანახული. სიტყვა რაგინდარა ლახათიანად, მაღალიდგურად გამართლებული ნათქვამიც არ უნდა იყოს ყოველთვის ვერ იკვალავს გზას კაცის გულში მისაღწევად. თეატრში კი „კაცს შეუძლიან აშკარად დაინახოს თუ რომელი აზრი უფრო აღ-

<sup>1</sup> დღემდე ცნობილი იყო, რომ ქურონ. „იმედი“ 1883 წ. სამ ნომერზე მეტი არ გამოსულა. მაგრამ ეს ასე არ არის. 1883 წელს მე-4 და მე-5 ნომრებიც გამოსულა. ეს ნომრები დაცულია ლენინგრადის სალიტერატურო-მეცნიერების სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილებაში (იხ. გაზ. „თბილისი“, 1961 წლის 14 იანვრის ნომერში ჩვენს წერილი. ცნობა აღებულია ე. ჩაღდულის წიგნიდან — ქურნ. „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1961 წ. გვ. 7).



ვილად გაივლის ხალხში, რომელი მიმართულე-  
ბა უფრო ადვილად გასაგებია მისთვის, რომელს  
უფრო დიდ პატივსა სცემს ხალხი და რას  
უფრო გულგრილად ეკიდება, რომელი მოვლენ-  
ის დახატვას შეუძლიან მისი შეერთება და რომ-  
ლისათვის უფრო უცემს გული? ეს ზომაც უნდა  
მოგახსენოთ. ბევრი შეადილებს მოქმედ კაცს  
საზოგადო საქმეს. შეგიძლიან თუ გაქვს ნიჭი,  
თეატრის ასპარეზზე გახდე მართლა სასარგებ-  
ლო კაცი, მოიტანო მთელი ის სარგებლობა,  
რაც კი შენი მომხადებულობით შეგიძლიან“.

სტ. ჭრელაშვილის შეხედულებანი თეატრის  
დანიშნულებისა და მისი მნიშვნელობის საკით-  
ხზე მთლიანად გამოდინარეობს იმ პრინციპები.  
დან, რომელსაც ემყარება ამავე საკითხში თვით  
ეურნალი „იმედი“. პუბლიცისტი აცხადებს, რომ  
„იმედის“ აზრი თეატრზე სრულებით არ არის  
ისეთი განურჩეველი, როგორსაც გვაწერენ.  
„იმედსა“ ჰგონია, რომ თეატრი შეადგენს დიდ  
საჭიროებას ჩვენი საზოგადოებისათვის და ად-  
ვილად. შეასრულებს თავის მისიას, თუ მას  
ქნება მიქცეული ყველაფერი უფრადღება“.

სამიოდე წლის ადღგენილი ქართული თეატრი  
რეპერტუარის კრიზისს განიცდიდა. ქართველი  
მწერლები ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რაფ.  
ერისთავი, გ. წერეთელი, ა. ყაზბეგი, პ. უმიკა-  
შვილი და სხვები თეატრისათვის სპეციალურად  
წერდნენ პიესებს. მიუხედავად ამისა მდგომარე-  
ობა მაინც მძიმე იყო.

ასეთ ვითარებაში ქართულ სცენაზე 1880  
წლის იანვარში გაიღვა ორმა ქართულმა პიე-  
სამ. ერთი იყო ალ. ყაზბეგის „არსენა“, რომე-  
ლიც დაიდვა ავტორის საბენეფისოდ 2 იანვარს,  
ხოლო მეორე — ოცი დღის შემდეგ დადგმული  
დ. ერისთავის „სამშობლო“. ამ ორი პიესის  
დადგმა მნიშვნელოვან მოვლენად არის ცნობი-  
ლი ქართული თეატრის ისტორიაში. ამ პიესე-  
ბის დადგმას მთელი ერი აღდგასწაულობდა.  
ეურნალმა „იმედმა“ თავისი აზრი თამამად გა-  
მოთქვა.

„...ჩვენის აზრით ეხლა დაგვიდგა ეს ბედნიე-  
რი დრო, — წერდა სტ. ჭრელაშვილი, — ქარ-  
თულ თეატრს გაუთენდა კარგი ახალი წელიწადი.  
თუმცა ვერ სისრულე შორს არის, მაგრამ  
დასაწყისში ისეთი მავარი და ბარაქიანი საძირ-  
კველი გამოიჩინა, რომ უიმედობას დღეის იქით  
აღარ აქვს ადგილი. ეხლა შეიძლება იმედიანად  
შეპყუროს კაცმა ქართული თეატრის ბედ-  
ბალს. ეს ბედნიერი დასაწყისი გახლავთ ორი  
ჩინებული პიესა, რომელიც ამ ცოტა ხანებში  
ორ-ორჯერ დაიდვა ქართულ სცენაზე და ორ-  
ჯერვე ნამდვილ აღტაცებაში მოიყვანა პუბლი-  
კა. ერთს პიესას ჰქვიან სახელათ „ყაჩაღი არსე-  
ნა“ და ეკუთვნის ა. ყაზბეგის ახალგაზრდა კა-  
ლამს, მეორე — „სამშობლო“, რომლის ვადმო-

კეთებელი არის უფრო გამოცდილი მწერალი  
უ. დ. ერისთავი.

„არსენას“ შეფასების საკითხში ხალხოსნური  
პრესა ორად გაიყო. ვაზეთმა „შრომამ“ უსამარ-  
თლო კრიტიკით მიწასთან გაასწორა მოხევეს  
დრამა. „იმედმა“ კი პირიქით — შეაქო. სტ. ჭრელა-  
შვილის სიტყვით ა. ყაზბეგის პიესა „თვალის  
წინ აცოცხლებს იმ სახალხო გმირ არსენას, რო-  
მელზედაც ასე გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის  
ყოველ კუთხეში მესტიური ლექსი. იმ ომე-  
ლაშვილ არსენას, რომელსაც იხსენებს ყოვე-  
ლი ქართველი კაცი... რომელსაც ვერც ერთი  
ჩვენგანი ვერ მოეკიდება გულგრილად“.

სტ. ჭრელაშვილის დახასიათებით ამ ორი პიე-  
სის გამოჩენამდე ქართული თეატრი წარმოად-  
გენდა „უღლეო მოვლენას“, იმყოფებოდა „სა-  
ცოდვე მდგომარეობაში“, „იგი ჰვავდა უძღურს..  
მომაკვდა მათხოვარს“, და თუ იგი სრულიად  
არ აღიგავა მიწისაგან პირის და სიკვდილს ვა-  
დაურჩა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას გააჩნდა  
ზოგიერთი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალ-  
ული პირი, რომელიც დაიარებოდა თეატრში  
არა ესთეტიკური სიამოვნებისათვის, ან ცხოვ-  
რების ავ-კარგის ვასაცნობად, არამედ დახმარე-  
ბის მიზნით, შემოსავლის გაძლიერებისათვის,  
რათა როგორმე ეშველა თეატრის მიმქრალ მა-  
ჯისციებისათვის“.

რა მიანდა სტ. ჭრელაშვილს ქართული თეატ-  
რის ასეთი მდგომარეობის მიზეზად? იქნებ აქ-  
ტიორთა ძალების უნიჭობა?

არა! პირიქით. მსახიობები ძალიან ნიჭიერი  
და შრომისმოყვარენი არიან. მიზეზი რომლითაც  
ვერ შესძლო თეატრმა მყურებლის დაინტერე-  
სება და მიზიდვა — ეს იყო უგემოვნოდ შერ-  
ჩეული რეპერტუარი, ქართული პიესების უქონ-  
ლობა. „ჩვენ აქტორებს რომ აქამდისინ ჰქონო-  
დათ ცოტათი მაინც რიგიანი რეპერტუარი —  
წერს ჩვენი პუბლიცისტი — მაგათ თითქმის  
შეეძლოთ თავიანთი ნიჭით ქართული თეატრი  
მართლა ფეხზე დაეყენებინათ“. რეპერტუარის  
მდგომარეობის ასეთ შეფასებაში ავტორი მარ-  
თალი იყო. სარეპერტუარო კრიზისიდან თეატ-  
რის დახსნის მიზნით ჩვენი დიდი მსახიობები  
დრამატულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, სწერ-  
დნენ და თარგმნიდნენ, აქართულებდნენ პიე-  
სებს.

სტ. ჭრელაშვილს „სამშობლოს“ უნახველობა  
დიდ დანაშაულად მიანდა: „რომელ ქართველ  
კაცსაც კი მოეპოვება ცალთვალა მანათი და არ  
წავა თეატრში „სამშობლოს“ სანახავათ, იმ ქარ-  
თველ კაცზედ მე შემიძლიან ვსთქვა, რომ მას  
არ გამოუცდია ქვეყანაში უდიდესი სიამოვნება“.

რეცენზენტის აზრით „არსენა“ და „სამშობ-  
ლო“ სასიამოვნო მოვლენაა როგორც ქართული  
თეატრის რეპერტუარისათვის, ისე მწერლობი-



სათვის. ამ ორი პიესით ქართულმა თეატრმა უკვე გამოიხატა თავისი საკუთარი გზა, მეტად ვრცელი და განიერი, გზა უწყინდესი, რომლის გავლითაც იგი მიადწევს ბრწყინვალე გამარჯვებას. ამ გამარჯვების მისაღწევად კრიტიკოსს აუცილებელ პირობად მიაჩნია ორიგინალური, ეროვნული თემატიკით გაშუქებული დრამატურგის განვითარება და განმტკიცება: „ქართულ პიესებში უნდა გაყვანილი იყოს აუცილებლად ისეთი მსოფლმომართულება. რომელიც თითონ ჩვენ ცხოვრებას შეეფერება, გასაგებია ჩვენი ხალხისათვის“.

სტ. ჭრელაშვილი რეპერტუარიდან არ გამოიციხავს ევროპულ კლასიკურ დრამატურგიას. ამ უკანასკნელს, მისი აზრით, მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც თეატრს ექნება მოძებნილი თავისი მიმართულება, გზა. თუმცა ორი და სამი პიესით ამ გზის გაღება შეუძლებელია, მაგრამ ერთი ნათელია, — „ამ ორმა პიესამ აშკარათ დაგვანახა, რომ ჩვენი საზოგადოების ძარღვში გამჭდარა ორნაირი სურვილი ბრძოლისა — ბრძოლა ხალხის ეკონომიური სამართლიანობის დასაფუძნებლად და ბრძოლა უსამართლობასთან“.

რევოლუციურ-ხალხოსნური მრწამსით აღგზნებული სტ. ჭრელაშვილი მოუწოდებს ქართულ თეატრს სოციალური უკუღმართობის და უსამართლობის ასალგაგვად მტკიცე, შეუპოვარ ბრძოლისაკენ.

სტ. ჭრელაშვილის დრამა „სამშობლო“ იშვიათი ლიტერატურულ ნაწარმოებად მიაჩნია. იგი ყველაზე მეტად მოხიბლულია იმ დიდი რეზონანსით, რომელიც მის წარმოდგენას ახლდა. „სამშობლომ“ საზოგადოებას გაუღვიძა ეროვნულ-პატრიოტული გრძნობები, თვალნათლივ იხილა თავისი წარსული ცხოვრების ნათელი სურათები.

ცნობილია, რომ შვარჯშელმა კატკოვმა თავის გაზეთში „მოსკოვის უწყებანი“ ადგილი დაუთმო ანონიმურ წერილს, რომელიც ეხებოდა „სამშობლოს“ მიერ ქართველ საზოგადოებრიობაში გამოწვეულ პატრიოტულ აღტაცებას. წერილის ავტორი ცინიკურად ურჩევდა ქართველ ხალხს, რომ დროა თქვენი ეროვნული დროშები ცირკს მიჰყიდოთ პანტომიმისათვის გამოისყენებლად.

ქართველი ერის ღირსების შეურაცხოვამ დიდად აღაშფოთა მთელი ქართველი საზოგადოება. დიდმა ილიამ საკადრისი პასუხი გასცა მეფის ამ სატრაპს თავის მახვილგონიერებითა და საზრიანობით დაწერილი წერილით.

სტ. ჭრელაშვილი ძლიერ აღშფოთებულია ამ ინციდენტით.

სტ. ჭრელაშვილი თავის წერილში ეხება „სამშობლოს“ ნაკლოვანებებსაც. მართალია ამ პიესამ

სამ საზოგადოებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იგი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. კრიტიკოსს აქცენტი გამაზვილებული აქვს მხატვრის მიერ ცხოვრებასთან სიახლოვის პრობლემაზე. მაგრამ სპექტაკლის ნაკლოვანებაზე დაწვრთვებით მსჯელობა უსარგებლოდ მიაჩნია, ვინაიდან ქართველი მაყურებელი არც თუ განებივრებული იყო კარგი სპექტაკლებით და ვაი თუ სპექტაკლის უარყოფით მხარეებზე მსჯელობას გული გაეტეხა, როგორც მსახიობებისათვის, ისე მაყურებლისათვის. რაც შეეხება პიესას. იგი დრამატურგისაგან მოთხოვს უფრო მეტ გულისხმიერებას, ცხოვრების დრამა ცოდნას, ვინაიდან დრამატურგიული ნაწარმოები მხურვალედ უნდა ეხმაურებოდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს, ეპოქის სულისკვეთებას, განუჩრჩველად იმისა, თუ რომელი დროის და ერის ცხოვრებაა შიგ ასახული.

სტ. ჭრელაშვილი ავტორს შეახსენებს სალი, ობიექტური კრიტიკის სარგებლიანობას, შემდეგ კი შენიშნავს: „ავტორის ყურადღება, ტყუილუბრალოდ და შეცდომილებით, გაფანტულა სხვადასხვა მასალის ძიებაში და მათ გამორჩევაში, უმთავრესი თემა მეტად შევიწროვებულა და საცოდავი გმირები მხოლოდ რეზონიორბენ, ფრაზიორბენ. საქმის მაგივრად იმათ გააქვთ ტყბილი ლაპარაკი თბილ-თბილი სიტყვებით: „ახნეტაი კი სამშობლოსათვის მოვიკლა ჩქარა თავიო“, გაიძახის ხიშიაშვილი, „საყვარელო სამშობლო, შენი საქმე ჩემ საქმეზედ წინ მიმყავსო“, ამბობს ლეონიძე და სხვა“.

რეცენზენტი უწუნებს დ. ერისთავს პიესაში სხვადასხვა „უბედურებათა“ ჩართვის შესახებ. მისი აზრით ეს სხვადასხვა დეტალები არა თუ ეხმარებიან მთავარი სიუჟეტის განვითარებას, არამედ ხელს უშლიან მის გამოკვეთას.

ასევე სამართლიანად აღნიშნავდა თუ როგორი უანგარო და საამაყო გრძნობაა სამშობლოსათვის თავისდაღება. გმირი არა მარტო ლამაზი ფრაზებით უნდა გამოხატავდეს სამშობლოს სიყვარულს, არამედ საქმით. კეხნა, ტრაბახი, ქადილი ნამდვილი გმირის ბუნებისათვის უცხოა, შეუფერებელია: „ნამდვილი გმირი მოშორებულია ამისთანა — თუ უკაცრაოდ არ ვიქნებით — ყბედობასო“ — დასძენს პუბლიცისტი. ამ ნაკლოვანებებს იგი არა მარტო „სამშობლოში“, არამედ „არსენაშიც“ ამჩნევს.

სტ. ჭრელაშვილი რწმენით, დრამა „სამშობლომ“, ამ ლიტერატურული ნაკლოვანებების მიუხედავად, უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ასეთია მოკლედ ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე ქართული თეატრის შესახებ გამოქვეყნებული სტ. ჭრელაშვილის ვრცელი სტატიის აზრი.



## სამხავერო აკადემიის ლაბაზებს სილაქზე უბრუნდება

სიგონ ნაციონალი

**ოდესღაც** თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის ულამაზესმა დარბაზებმა და ინტერიერმა დროთა განმავლობაში დაკარგეს თავისი პირვანდელი წარმტაცი ხუროთმოძღვრული იერი და ბევრი მათგანი მწყობრიდან სრულიად გამოვიდა.

ბუნებრივია, რომ სამხატვრო აკადემიას ეს დარბაზები თანდათან უნდა აღედგინა. პირველად ეს საჭირო ღონისძიება ჩატარდა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში; სწორედ ამ პერიოდში ხუროთმოძღვრების მიერ აღდგენილი იქნა მაღალისროვანი და მრავალწახნაგოვანი თაღებიანი დიდი დარბაზი, სადაც გენიალური პოეტის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. აქ მუდმივ ექსპოზიციაში გამოფენილია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-დამლომანტთა ის უნიკალური ქმნილებები, რომლებიც შექმნილია აკადემიის არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე. დღეს ეს მუზეუმი თბილისის კალინინის რაიონის ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა. მიმდინარე წლის ბოლოსათვის სამხატვრო აკადემია ემზადება თავისი არსებობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღთან დაკავშირებით მხატვართა სამკედლოში დიდი მზადებაა. ახლახან დღის წესრიგში დადგა აკადემიის ძველი კორპუსის კიდევ ორი უნიკალური დიდი დარბაზის აღდგენა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ამ დარბაზების ხუროთმოძღვრული იერის აღდგენისათვის სათანადო თანხა გამოჰყო.

ამ საოცრად რთული და საინტერესო სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებისათვის აკადემიის რექტორმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა პროფ. ა. ქუთათელაძემ მოიწვია საბჭოთა კავშირში ცნობილი მხატვარი-რესტავრატორი თბილისელი გ. ხალატოვი.

ინტერესმოკლებული არაა აღინიშნოს, რომ მხატვარ-რესტავრატორს გ. ხალატოვს უნიკალური არქიტექტურული ორგანიზმების ფასადების, ინტერიერების, ექსტერიერების, მონუმენტური და დაზღვრი ფერწერის, ჰორელიეფების, ბარელიეფების და არქიტექტურული ელემენტების აღდგენის დიდი გამოცდილება აქვს. მან როგორც მხატვარ-რესტავრატორმა მონა-

წილეობა მიიღო ლენინგრადის ზამთრის სასახლისა და მოსკოვის კრემლის სასახლის „სამხედრო დარბაზის“ ინტერიერების და ექსტერიერების აღდგენაში.

მხატვარი-რესტავრატორი გ. ხალატოვი დიდი სიყვარულით და ენერგიით შეუდგა სამხატვრო აკადემიის ორი უნიკალური დიდი დარბაზის მავრიტანულ სტილში აღდგენას.

სარესტავრაციო სამუშაო — ეს დიდი და რთული ხელოვნება მოითხოვს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების პრინციპების ღრმა ცოდნას, მათ ორგანულ სინთეზს, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი რესტავრატორის შემოქმედებისათვის. იმ მიზნით, რომ პირვანდელი პროექტის შესატყვისად ყოფილიყო აღდგენილი, მან არქივში მონახა სარესტავრაციო დარბაზების გეგმები, ჭრილები, ორნამენტარიის, ხატოვნების, დეკორის ყველა ნახაზი. საარქივო ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე შექმნა ყველა ჭერის, კედლების, კარ-ფანჯრებისა და სხვა ელემენტების ვარიანტული ესკიზები, ივი დაამზადა ჭერ ვატმანის ქალაღზე და შემდეგ კი თაბაშირში შესარულა, დეტალები მხატვრულად დახვეწა პროექტის შესატყვისად, აღადგინა მიკროფილების სახით და შემდეგ დარბაზის კედლებზე მძივებით ააწყო.

აკადემიის დარბაზების აღდგენაში დიდ და სერიოზულ მონაწილეობას იღებენ სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის სარესტავრაციო განყოფილების უფროსი კურსის სტუდენტები.

ამჟამად სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის არქიტექტურულ-კონსტრუქციული რესტავრაცია სამხატვრო აკადემიის ისტორიაში არნახული დიდი მასშტაბით ტარდება. აღსდგება გრანდიოზული სარკიანი სადარბაზოები: სამხატვრო აკადემიის დიდი საბჭოს სხდომებისა, საბჭოთა და საზღვარგარეთის საპატიო სტუმრების მისაღები (ფართით 300 კვ. მეტრი), პროფესორ-მასწავლებელთა და დიპლომანტ სტუდენტთა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ფანრის ქმნილებების გამოფენისათვის (ფართით 350 კვ. მეტრი), ორი მცირე სარკოვანი დარბაზი (ფართით თითოეული 50 კვ. მეტრი), სადაც მოეწყობა არქიტექტურის, ინტერიერის ხის,



ლითონის, მანქანების კონსტრუირების მხატვრული დამუშავების წარჩინებული დიპლომების პროექტები და მათი საილუსტრაციო გრაფიკული მასალები, ბიბლიოთეკის დარბაზი (ფართით 200 კვ. მეტრი) მოწყობილი იქნება უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის თანამედროვე საბიბლიოთეკო სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამ სათავსოების კიბის უჭრადის კედლები ფერწერულად მოიხატება. ინტერიერში ჩამოიკიდება აკადემიის ფუძემდებელთა ფერწერული პორტრეტები, რომელსაც წერენ სამხატვრო აკადემიის საუკეთესო პორტრეტისტები, აქვე დაიდგმება ეროვნული და კლასიკური სასალონე ჟანრის ქანდაკებები.

წარმტაცი და მიმოიღველი იქნება სტუდენტთა რესტორანი-კლუბი, რომელიც შედგება შესავალი ინტერიერისა და 5 დარბაზისაგან და რომლის კედლები მოიხატება აკადემიის რექტორის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის პროფ. ა. ქუთათელაძის კომპოზიციებით თემებზე: ეროვნული ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების ჯგუფური კომპოზიციებით, რესტორანი-კლუბის დარბაზის კედლები კი მოიხატება თემატურად: „თამარის ნადირობა“ (მოხატა პროფ. კ. მახარაძემ), „შოთა რუსთაველი“ (მოხატა დოც. დ. გაბიტაშვილმა), „მედეა“ (მოხატა დოც. მოვალეობის შემსრულებელმა ი. მეჩეაბიშვილმა).

დარბაზი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე დეკორაციული მინიატურებო მოხატეს პროფ. გ. თოთბაძემ, პროფ. კ. მახარაძემ და პროფესორის მოვალეობის შემსრულებელმა მ. ხახუტაშვილმა.

რესტორანი-კლუბის დანარჩენი კედლები კი აღდგენილია ეროვნული ფორმის აგურის წყობით. ყველა სათავსოს იატაკი, კიბეები მოპირკეთებულია ეროვნული სხვადასხვა ტონალობის მარმარილოთი და გრანიტით, სარდაფის მიწის-

ქვეშა დარბაზების კედლები, მათი მრავალწახნაგოვანი და მაღალსროვანი თაღები კი მორთულ-მოკაზმული იქნება ხის, ლითონის ეროვნული მხატვრული მოტივების ელემენტების გამოყენებით (შემსრულებლები — გამოყენებითი ხელოვნების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ერგემლიძე და მოქანდაკე მ. კახიშვილი).

აკადემიის ეზოში მუდმივ ექსპოზიციით დიციქვეშ სათანადო მონუმენტურ კვარცხლბეკზე აღიმართება ფრიადოსან დიპლომანტ სტუდენტთა მიერ შექმნილი 16 სხვადასხვა სიუჟეტის სკულპტურული ფიგურები. ეზოში აღსდგება ქართული აივნები, გაჩნდება მთავარი სკვერი, რომლის ცენტრში იქნება შადრევანი.


ამასთან ერთად აღდგენილი იქნება სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის მთავარი ფსადი.

რესტორანი-კლუბი სწავლის დაწყებიდან სწავლის დამთავრებამდე მოემსახურება აკადემიის პერსონალს, ხოლო საღამოს საათებში „ჭიქა ჩაიზე“, „ჭიქა ლულზე“ ერთმანეთს შეხვედებიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, გაიმართება საუბრები, დისპუტები. მოხსენებები, როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, არქიტექტურის პრობლემებზე, ისე პოეზიის, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და კინოს პრობლემაზე.

ეს დღე არც ისე შორსაა. ამჟამად სარესტავრაციო სამუშაოები დიდი ტემპით მიმდინარეობს, ზოგი დარბაზი უკვე დამთავრებულია. მთლიანად სარესტავრაციო სამუშაოები დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ასე, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ნოემბრის დღესასწაულს, თავის ნახევარ საუკუნის და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ზეიმს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს განახლებული სახით შეხვდება.





## ჭიჭიკო აბაკელია ენოვ ქიქობია

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჭიჭიკო კონსტანტინეს ძე აბაკელია თეატრალურ წრეებში მეტად პოპულარული პიროვნებაა და დამსახურებული საერთო პატივისცემით სარგებლობს. მან საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მთელი გატაცებით ემსახურებოდა თეატრალურ ხელოვნებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისი განვითარების საქმეში როგორც მსახიობმა და ნიჭიერმა ადმინისტრატორმა.

ჭიჭიკო აბაკელია დაიბადა 1897 წელს, ქუთაისში, სწავლობდა საქალაქო სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში. მისი ყრმობის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როცა თეატრალური ცხოვრება ქუთაისში დღედა და მაგნიტივით იზრდებოდა ახალგაზრდობას. ჭიჭიკოც გულგრილი ვერ დარჩა, ადრინდვე გაიტაცა სასცენო ხელოვნებამ, 1913 წელს, 16 წლის ყმაწვილი ქუთაისის თეატრში სტაჟორად შედის, აკვირდება დიდი მსახიობების მუშაობას, მონაწილეობს მასობრივ სცენებში. ასრულებს ეპიზოდურ როლებს, თანდათან წელს იმაგრებს, ეუფლება სცენის ხელოვნებას და აი, 1916 წელს, 19 წლის ჰაბუკი უკვე ბათუმის თეატრის პროფესიულ დასშია და სახელმწიფო მსახიობების მხარდამხარ ეწევა შემოქმედებითი შრომის რთულ ჰაპანს. მას შემდეგ ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე განუწყვეტლივ მუშაობდა ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, ზუგდიდის, ბოლოს თბილისის თეატრებში და მაყურებლის დამსახურებულ ყურადღებას იქცევდა.

ჭიჭიკო აბაკელიას მრავალი საყურადღებო სცენური სახე შეუქმნია. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე, რომ ნათელი გახდეს მისი აქტიორული შესაძლებლობის სიფართოვე. „ღალატში“ უთამაშია აღრახაკი, ბესო და ერეკლე, „სამშობლოში“ — დიდიანი, „პატარა კახში“ — რევაზი და ბააღური, „სამანიშვილის დედინა-

ცვალში“ — კირილე, „ქრისტინეში“ — იაზონი, „ლატავრაში“ — ინკუბუსი და ბეჭარი, „ქაიუს გრაკში“ — გრაკი, „გუშინდელში“ — ქოლორდავა, „არსენაში“ — მოურავი, „ხატიჯეში“ — დილიკო, „ანათთ ვარსკვლავნო“-ში — ვასია, „მიუხედავად პიროვნებისა“-ში — პროინი, „ჰამლეტი“ — როზენკრაცი, „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“-ში — როტმისტრი და მრავალი სხვა.

მსახიობური მოღვაწეობის პარალელურად ჭ. აბაკელია 1923-27 წლებში ქუთაისში კოოპერაციის, ებრაელთა და სკოლის დრამატული წრეების რეჟისორად მუშაობდა. 1927 წელს მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით, კ. დოლონაძესთან ერთად, ქუთაისში ყალიბდება ავტო-თეატრი „წითელი სარკის“ სახელწოდებით. ამ თეატრმა ოთხი წელი იარსება და დიდი წარმატებებით ატარებდა გასტროლებს საქართველოს ქალაქებსა და დაბებში.

სამამულო ომის წლებში (1941—1945 წ.) ჭ. აბაკელია ხელმძღვანელობს საშეფო მხატვრულ ბრიგადას, რომელიც კონცერტებს მართავდა ჰოსპიტლებსა და ჯარის ნაწილებში. ამ შრომისათვის იგი დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისა“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

ჭ. აბაკელია ადრე ანებებს თავს მსახიობის პროფესიას და 1932 წლიდან მუშაობას იწყებს ქუთაისის თეატრში მთავარ ადმინისტრატორად. 1934-35 წლებში გადადის ქუთაისის წითელი არმიის სახელობის თეატრში დირექტორად, შემდეგ ორი სეზონი სტალინის თეატრის დირექტორის მოადგილეა. 1937 წლიდან თბილისში გადმოდის და ჯანსაჯიკომის თეატრში იკავებს დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

1938 წლიდან 1960 წლამდე მუსკომედის თეატრში კვლავ დირექტორის მოადგილედ ეხედავთ.



ჭიჭიკო აბაკელია ყველგან, სადაც კი უმუშავია, ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მის პირად არქივში შეზღვევით მადლობის მაუწყებელ მრავალ დოკუმენტურ მასალას, რომლებიც აბაკელიას უანგარობასა და შრომისმოყვარეობაზე, კეთილსინდისიერებასა და ადამიანურ ღირსებებზე მეტყველებენ.

1956 წლის 6 თებერვალს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა ჭიჭიკო აბაკელიას მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაუმართეს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა შალვა დადიანმა, მოხსენება გააკეთა ბ. გამრეკელმა. ამ საღამოს ბევრი გულთბილი და გულწრფელი სიტყვა ითქვა.

დიდმა მწერალმა და თეატრალურმა მოღვაწემ შალვა დადიანმა თავის შესავალ სიტყვაში ქება შეასხა აბაკელიას უანგარო შრომას, მას თეატრისათვის თავდადებას და პატიოსნებას. მომხსენებელმა შეაქო მისი გაუნელებელი პათოსი და კოლეგიალობა. ყველასთან ერთნაირად გულთბილი მეგობრობა. რუსთაველის თეატრის კოლექტივის სახელით გამოსული პ. კანდელაკი აღნიშნავდა, რომ ჭიჭიკო აბაკელია ახალგაზრდობიდანვე პოპულარული, ნიჭიერი მსახიობი იყო და შემდეგ იგი ასევე კარგი, უნარიანი ადმინისტრატორი შეიქნა, წარმატებით უძღვებოდა ამ რთულსა და საბასუხისმგებლო დარგს.

პ. კობახიძემ და აკ. კვანტალიანმა ლექსები მიუძღვნეს. შ. მილორაგამ და რ. ყენიამ კი — სიმღერები.

ქუთაისის თეატრის სახელით გამოსულმა შ. ხონელმა სთქვა: „შენ გაახარე-გაამართლე იმ ადამიანთა ნდობა-რწმენა, რომელთაც კარგად ახსოვთ შენი თითქმის მოკლე შარგლით მოსვლა ქუთაისის სცენაზე, რისთვისაც მშურ, მეგობრულ მადლობას გიძღვნი. ჩვენთვის საამაყოა შენი ვეჟიკური საქმიანობა“.

როგორც უკვე ვთქვით, ჭიჭიკო აბაკელიამ ბავშვობიდანვე შეიყვარა თეატრი და შემდეგ ყველაფერი, რაც გააჩნდა, დაუზოგავად მისცა მას. მსახიობის ხელოვნებასაც და ადმინისტრაციულ მოვალეობასაც ერთნაირი გატაცებით, ერთნაირი შემოქმედებითი შთაგონებით ეძლეოდა

და ეძლევა. როცა თეატრალურ საზოგადოებაში მოვიდა და მსახიობის სახლის მშენებლობის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო მოვალეობა იკისრა, ხანდაზმულობის მიუხედავად, მის შრომას პათოსი და გატაცება არ აკლდა. იგი ზუსტად და იშვიათი მონდომებით ანხორციელებდა პრეზიდენტის მითითებებს, ამ დიდ საქმეში მხარში ედგა პრეზიდენტის თავმჯდომარეს და მისი ხელმძღვანელობით ძალღონეს არ იშურებდა, რათა ეს დიდი საქმეარი თეატრალურ საზოგადოებრიობას დროზე მიეღო.

ამიტომაც თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა ქართული თეატრის დღეს სახუმარო ლექსით ასე მიულოცა დღესასწაული:

თუკი აშენდა, დამშვენდა  
მსახიობების კერია,  
დიდი წვლილი და ამაგი  
მიუძღვის აბაკელიას.  
იმდენად კარგი აშენდა,  
შიშობს არ მოსტრან ხელია,  
სახლიდან აღარ გამოდის  
ჭიჭიკო აბაკელია.

ეს არ არის იმერული ხუმრობა, რომელზეც ამბობენ, სანახევროდ მართალიაო! ეს მთლიანად მართალია. მართლაც, მის ადმინისტრაციულ გამოცდილებაზე, ოპერატიულობაზე, შრომის მოყვარეობასა და ენერჯიაზე ბევრად იყო დამოკიდებული მსახიობის სახლის მშენებლობის პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვა. და ჭიჭიკო აბაკელიაც ახალგაზრდული სიმხნევით, ენთუზიაზმით შეუდგა დაკისრებულ საქმეს. დღეს, როცა აშენებულსა და დამშვენებულს ხედავენ „მსახიობის სახლს“ — ჭიჭიკო აბაკელიას სახელსაც მაღლიერებით იხსენიებენ.

ვინც ჭიჭიკო აბაკელიას ყოველდღიურ საქმიანობაში ხედავს, აუცილებლად დაგვემოწმება, რომ 75 წელს მიღწეული მოხუცის ჭაბუკურ გატაცებას არაფერი დაჰკლებია. მისი ენერჯილობა დღესაც ბევრ ახალგაზრდას შემურდება.

ვისურვებდით, რომ თეატრზე ფანატიკურად შეყვარებული მოხუცი მრავალ წელს გვენახოს გახარებული, ჭაბუკურად მხნე და შემოქმედებად შთაგონებული.

## ხელოვნების სიყვარულით

თამაზ ანთაძე

იგი ხშირად დასეირნობს სახლის მახლობლად მდებარე სკვერში. ყვავილებითა და მარადმწვანე მცენარეებით შორთული ეს პატარა სკვერი, რომელიც ალიოშა ჭავჭავაძის სახელს ატარებს, მის სულიერ სამყაროში უცნაურის ძალით

აღვივებს წარსული ადამიანებისადმი მოკრძალებასა და ღრმა პატივისცემას.

ღიახ, იგი ჩამოჯდება ცისფრად შეღებილ სკამზე, ესაუბრება თავის შვილიშვილებს სამშობლოს შესანიშნავ წარსულსა და ბედნიერ



აწმყოზე, ესაუბრება მათ გატაცებით, გასაგებად, ისე რომ უცხო თვალიც კი იოლად შენიშნავს, — ეს მამაკაცი საკმაოდ განათლებული პიროვნებაა.

მართლაც, შემოქმედების საინტერესოა გზა განვლო სერგო ზარაფიანმა, აგერ უკვე დაბადების 75 წელი შეუსრულდა მავრამ, დაღლა არ უვარძენია.

სერგომ შრომითი საქმიანობა სახელოსნოში მუშით დაიწყო. სწავლას მოწყურებულმა 1920 წელს დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, 17 წლის შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიპლომი მიიღო, მუშაობდა უფროს აგრონომად, იყო მარნეულის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი.

ს. ზარაფიანმა არსებული სამოქალაქო და სა-მამულო ომის ქარცეცხლაც გამოიარა, მიიღო მთავრობის ჯილდოები, მუშაობდა „დღისაფის“ რესპუბლიკურ კომიტეტში და პოდპოლკოვნიკის ჩინით პენსიაში გავიდა.

ერთი საბუთი მაქვს, რომელსაც ძალზე ვაფასებ, — ამბობს ს. ზარაფიანი, — 1956 წელს „დღისაფის“ „აქტიური მუშაობისათვის“ დამაჯილდოვეს, ამ საბუთზე ხელს აწერს ს. ბულიონი.

ასე თუ ისე, ს. ზარაფიანმა ყველაზე საინტერესო გზა მიიწეა მუშაობის სახელობის სახელმწიფო თეატრში მუშაობისას განვლო. დიდი ღვაწლი დასდო აგრეთვე სომხურ, ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ თვითმოქმედებას. ბევრი შემოქმედი არზარდა პროფესიონალურ მსახიობად, ბევრს მისცა კეთილი რჩევა და დარიგება. ახლა ისინი სახელოვანი ადამიანები არიან.

ს. ზარაფიანი თბილისში დაიბადა, აქვე აღიზარდა და დაეაყვადა. ერთხელ მისმა მეგობარმა არტაშ მხითარაიანმა, რომელიც სომხური დრამის თეატრში სტატისტად გამოდიოდა, უჩიჩია — წამოდი ჩვენთან, თეატრში იმუშავეო. ისიც სიამოვნებით დათანხმდა.

თეატრში ჯერ ფეხიც არ ჰქონდა ხეირიანად შედგმული, მაშინვე სცენაზე გამოიყვანეს. ხელში ეჭირა ბუტაფორული ხმალი და ვაოცებული ადევნებდა თვალს ცნობილი სომეხი მსახიობი ქალის სირაჩუიშის ჰამლეტის გარდასახვას. აქედან დაიწყო მისი მოღვაწეობა. ვადაწყვიტა რა-დაც არ უნდა დაჯდომოდა თვითონაც ეთამაშა რაიმე როლი „ცოდნა, მხოლოდ ცოდნა საჭირო როლში ნიჭიერად გარდასახვისათვის“ — ფიქრობდა იგი და შემთხვევას ელოდა ჩარიცხულიყო სასწავლებელში. და აი, კვლავ მეგობრები დაეხმარნენ, წაიყვანეს იგი და შესანიშნავი ხელოვანის ოვანეს აბელიანის პროლეტარულტის სტუდიაში ჩარიცხეს.

ამ სტუდიაში ასწავლიდნენ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები სტიფანე ჭავჭავაძის, არკად ბურჯულიანის, ვართან აფემიანის, ვაჰრამ ფაფაზიანის, მკრტიჩ სანაშიანის, ჰაპარე და სხვები. მასთან ერთად მსახიობის ოსტატობას ეუფლებოდნენ ამჟამად სახელოვანი აქტიორები არტემ ლუსინიანი, გეორგი აშულიანი, არტემ ფაშაიანი და ლოვა ფიდანიანი.

სტუდიის დამთავრების შემდეგ ს. ზარაფიანი ერთხანს სომხური დრამის თეატრში გამოდიოდა. იმხანად თეატრში იდგმებოდა შექსპირის „ვენეციელი ვაჰარი“ და „ოტელო“. ლოპე დე ვეგას „მებალის ძალი“, სადაც ახალბედა მსახიობი მეორეხარისხოვანი როლებში გამოდიოდა.

თეატრში მუშაობის პარალელურად ს. ზარა-

ფიანი, თვითმოქმედებაშიც მოღვაწეობდა, ე. წ. „ბერძენ ქველმოქმედთა საზოგადოების“ დარბაზში დაღვა წარმოდგენები ნ. კორეცკის „პირველი შთაბეჭდილებით“, მ. მატევესიანის „ჩვენ, მომავლის გმირები“, რომელზეც დიდალი მამულებელი ემსრებოდა. მისი რეჟისორობითა და მონაწილეობით დაიდგა აგრეთვე ა. აბელიანის პიესა „შემოღობი მინასი“, შემოიღეს თვითონ სერგო თამაშობდა. ი. ტურბინის ვოდევილი „დენიკმა მოატყუა“ ივანე დენიკის როლში გამოდიოდა, ხოლო ა. გაზარაიანის ვოდევილ „აილისტში“ ახალგაზრდა ვაჰარის ბარსეგ აგარონიანის როლი განასხიერა.

1916 წელი ს. ზარაფიანმა დაღვა ლისენკო-კონიჩის „შეშინებული საცოლე“ და ამერიკიანის ვოდევილი „ორი მშვირი“. ერთ-ერთი მშვირის ფრანცის როლში სერგო თვითონ გამოდიოდა. მაყურებელი დაძაბული ადევნებდა თვალყურს მის მოქმედებას, თუ როგორი ხრიკებით ატყუებდა იგი მედღეძნეს.

იუმორის წარმოსახვის შესანიშნავმა თვისებაში ს. ზარაფიანს მალე მოუპოვა აღიარება. განსაკუთრებით ხიზლავდა მაყურებელს „ორი მშვირის“ ის ეპიზოდი, სადაც მშვირის ფრანცი ბლონდით თვალს აუხვევს მედღეძნეს და ეტყვის: ამ ოთახში მყოფვან ვისაც დაიჭერენ, ფულს ის გადაიხდისო. დარბაზში ხშირად გაისმოდა მჭეხნარე ტაში ს. ზარაფიანისა და გ. ტოხმაჩიანის (მეორე მშვირი) მისამართით.

ს. ზარაფიანის შემოქმედების ადრეულ წლებს მიეკუთვნება აგრეთვე მის მიერ დადგმული ვ. მადათიანის ვოდევილი „ქათამი“. აღნიშნული დადგმა მან განახორციელა აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე. დადგმაში იგი მურად ალს როლში გამოდიოდა.

1917 წელი. ძმები ზუბალოვების სახალხო სახლში. ცნობილი სომეხმა მსახიობმა სევეშიანმა იუშევიჩის „მეფის“ დადგმა განახორციელა (თარგმანი თ. ოვანესიანის) ერთ-ერთ წამყვან როლს აქ ს. ზარაფიანი ასრულებდა. შემდეგ იმავე სევეშიანმა დაღვა შილერის დრამა „ყაჩაღები“, სადაც სერგომ თავზუნელაღებული მოქიფი ახალგაზრდის, შემდეგ ბანდიტი შუფტერლეს როლი განასახიერა, მონაწილეობდა „ოილიანო მეფეში“ (ქურაში), ვ. ვალაიანის პიესაში „ეჩიმი“ — თამაშობდა ოსეთას როლს.

1920 წლიდან 1940 წლამდე თვითმოქმედებას მიუძღვნა. მისანიკოვის სახელობის კლუბში ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე დგამდა წარმოდგენებს, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ წრეს. გაზეთ „პროლეტარის“ 1929 წლის 26 ოქტომბრის ნომერში ასლანიანი მისანიკოვის სახელობის კლუბის სცენაზე განხორციელებულ „პეპოს“ მაღალ შეფასებას აძლევს.

მისანიკოვის სახელობის კლუბის პარალელურად ს. ზარაფიანი ავტორის ქარხანაშიც მოღვაწეობდა კულტმუშაკად. ამავე დროს ავჭალის აუდიტორიაშიც გამოდიოდა როგორც მსახიობი, დგამდა წარმოდგენებს. მისი ხელმძღვანელობით აქ დაიდგა მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოებები „მ მარტი“, „პარისის კომუნა“, „შოი-თანი“. რუსულიდან სომხურად თარგმნა პიესები, მათ შორის „წითელი გენერალი“.

ამავე პერიოდში დიდი მოწონება ხვდა მისანიკოვის სახელობის კლუბში მის მიერ განხორციელებულ დადგმებს „პროლეტარკას“, „ხათაბალას“. წარმატებით სარგებლობენ აგრეთვე



ბიესები „ავი სული“, „ნამუსი“, „პატიოსნებ-  
სათვის“, მუსიკალური კომედია „სჯობს გვიან,  
ვიდრე არასდროს“.

ავჭალის აუდიტორიაში ს. ზარაფიანი 1922  
წელს გამოდის ოპანას როლში („სჯობს გვიან,  
ვიდრე არასდროს“), ანსახიერებს სულთანბეგს  
(„არშინ მალ-ალან“), ქმნის მამუტის იუმორით  
აღსაესე სახეს („მამუტი იბად“). მაყურებლის  
დიდ მოწონებას იმსახურებს მისი როსტომ ბეგი  
(„ნამუსი“), საღათელა („პატიოსნებისათვის“),  
ხოჯა საპაკ და კინტო მანუკი („ყარბ აშული“)  
და სხვა.

ავჭალის აუდიტორიაში დაიდგა აგრეთვე  
„ნამუსი“, „სჯობს“, „ავი სული“, „ხათაბალა“,  
მირზაანის ოპერეტა „პოლ პული“ (ლიბრეტო  
ა. თუმანიანის. ყველა ამ დადგმებში მთავარ  
როლში ს. ზარაფიანი გამოდიოდა. განსაკუთრე-  
ბული მოწონება ხვდა ოპერეტა „პოლ პულს“,  
სადაც მსახიობი ჯერ მამას, შემდეგ კი ვაჟს ან-  
სახიერებდა. ავჭალის აუდიტორიის ამ მაღლიან  
დარბაზში რამდენჯერმე გაიმართა სერგოსადმი  
მიძღვნილი საღამოები.

ს. ზარაფიანმა თბილისის გარდა დიდი ღვაწ-  
ლი დასდო ბაქოს თეიმოქმედებას. ჯერ კიდევ  
1916 წელს დადგა ხაჩატურ აბოვიანის „ერევ-  
ნის ციხე-სიმაგრის დანგრევა“, სარუნის პიესა  
„ზეითუნელი გმირები“, ა. აბელიანის „დაღუპუ-  
ლი ოჯახი“ (რომელიც უღირსი შვილის ამბავს  
ასახავს), იმავე ა. აბელიანის ერთმოქმედებიანი  
პიესა „ნავთის შადრევანი“ და სხვა.

თბილისში პროფესიული თეატრის სცენაზე  
ს. ზარაფიანი 1926—1935 წლებში მუშაობს  
როგორც მსახიობი და რეჟისორის თანაშემწე.  
„ნამუსი“ ასრულებს ჰაირაპეტას, „პეპოში“ —  
კაკულის, „ავ სულეში“ მოციქულს, „დეზერ-  
ტირკაში“ მილიციელს...

1935 წლიდან 1940 წლამდე ს. ზარაფიანი  
სომხური მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსა-  
ხიობია. ს. ზარაფიანმა ჩვენს თეატრში თავი  
გამოიჩინა როგორც კარგმა აქტიორმა და საზო-  
გადოებრივ საქმიანობაში აქტიურმა მუშაკმა, —  
წერს თეატრის დირექტორი ვ. ელიბეკიანი. ამ  
ენერგიული მუშაობისათვის ბევრჯერ დავაჯილ-  
დოვებთ იგი, ხოლო ამ უკანასკნელ ხანს მივანი-  
ჭებთ სტახანოველის საპატიო წოდებას.

1940 წელს, როგორც ინჟინერი, მთავრობის  
დადგენილებით იგი მიავლინეს ქალაქ რუსთავის  
ახალშენებლობაზე. შემდეგ კვლავ თეატრს და-  
უბრუნდა.

და აი, ახლა, როცა წლებმა განვლეს, ს. ზა-  
რაფიანი გულდაგულ ათვალეირებს მრავალრი-  
ცხოვან აფიშებსა და პროგრამებს, რომლის  
მიღმა ხმაურიანი, მაგრამ ტკბილად მოსაგონარი  
დრო-ჟამი ამოფარა. სწორედ ეს აფიშები დარ-  
ჩა შემოქმედის ცოცხალ მემკვიდრედ.

## ბიორები ჟამთარაჟი მხაგვარი მუხა

ლალო გულიაშვილს

და... როცა ქარი უნდა დახატონ,  
ტოტებგადახრილ ხეებს ხატავენ.

ვანტანზ ჯავახიანი

ლამეს ეგონა:  
არ მოვა ქარი,  
(გზის პირას მდგარნი  
სდუმდნენ ხეები დამორჩილებით).  
წამოდგა ლამე — შავი მხატვარი,  
გაჰყვა, დახატა შავი ჩრდილები.

არ ჰხრიდა ტოტებს ღუმლით მთვრალი  
ხეების ჯარი,  
არ იყო ქარი...

უცებ დაიძრა გაბოროტებით  
და აიშალნენ ხეთა ტოტები,  
ააშრიალა ტყე ბობოქარი,  
მოვარდა ქარი.

მიუხტა რისხვით ტოტებმძლავრ მუხას,  
ის იდგა ბრძენი, განმარტოებით,  
ელიმებოდა, ფიქრობდა, სწუხდა,  
ქედს არ იხრიდნენ მუხის რტოები.

არ ასვენებდა ფრთებბობოქარი,  
„არ დახატონ“, — სასჯელს უსჯიდა  
და იდგა მარტო მუხა-მხატვარი  
ფიქრით, წვალებით, რტოთა ფუნჯითა.

მზე ბრდღვიალებდა მოსარკულ ცაზე,  
მუხის ფოთლებში კი ვერ ატანდა,  
ცისარტყელების ფერებით საესე  
ჩრდილი-ხალიჩა ქვეშ დაეხატა.

ქარი ქარია,  
რა დაამუნჯებს?  
მოვარდა ზათქით, გაგულისებით,  
ცაზე უსვამდნენ მწვერვალთა ფუნჯებს  
ცამდე ასული კიპარისები.

მოვარდა ქარი,  
გაჰყვა გზაშარას,  
ხეების მტერი,  
ჩრდილების მტერი დაუძინარი,  
გაჰყვა გზაშარას  
და სულ წაშალა  
მხატვარი ღამის ნაცოდვილარი.

მუხა-მხატვარი კი მუხად დარჩა,  
არც ქარს, არც ქუხილს არ მოერიდა,  
დაუფენია ჩრდილი-ხალიჩა  
ცისარტყელების უკვდავ ფერითა.



# ჩვენი კულკასია

## შალვა დადიანის პიისკოლაკული მემკვიდრეობიდან ალექსანდრე ჩავლიიზვილი

1940 წლის პირველ დეკემბერს გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შალვა დადიანს გავუგზავნე პირადი ბარათი, სადაც ვწერდი, რომ ლექციების კითხვის დროს ჩემს სტუდენტებს ვეუბნები: თეატრში დრამატურგს შეაქვს იდეოლოგია. თუ პიესა კომუნისტური იდეით არის გამსჭვალული, სპექტაკლიც საბჭოური იქნება. ასე რომ, თეატრს პოლიტიკურ ორიენტაციას დრამა აძლევს და ამდენად იგი თეატრის ერთ-ერთ მთავარ და წამყვან ელემენტად უნდა ჩაითვალოს-მეთქი. ამ დებულების დასამტკიცებლად მომყავდა ამონაწერი თვით შალვა დადიანის ერთი სტატიიდან, სადაც იგი წერდა: „მცირე თეატრს სახელი და დიდება გოგოლმა, ოსტროვსკიმ, შილერმა და ლოპე დე ვეგამ შეუქმნა. სამხატვრო თეატრს — ჩეხოვმა, გორკიმ და სხვებმა. მდებალი ხარისხის პიესები რეჟისორსაც და მსახიობსაც ფარხმალს დააურევინებს ხოლმე (შ. დადიანი „თეატრი და დრამატურგია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ. 10/11).

ბატონ შალვას ვთხოვდი განემარტა ჩემთვის ეს საკითხი. იმავე წლის 9 დეკემბერს მივიღე მისი პასუხი. ვფიქრობთ, ამ წერილს გარკვეული მნიშვნელობა აქვს შალვა დადიანის თეატრალურ შეხედულებათა შესასწავლად და ამიტომ აქვე ვაქვეყნებთ მას:

**პატივცემულო ახსანაგო!** მომიტყევთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ, მაგრამ ეს მიაწერეო ჩემს დიდს მოუტყელობას სწორედ ამ დღეებში.

სრულიად მართალი ბრძანდებით, რომ თქვენი ინტერპრეტაცია არ ეწინააღმდეგება ჩემს განმარტებას, რომ თქვენ თეატრის იდეოლოგიურ კრედოზე ლაბარაკობთ და მე კი ამ კრედოს სცენური შესრულების შესახებ. ეს ასეც უნდა გაეგო თქვენს სტუდენტთა ჯგუფს, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი:

შესრულებამ ზოგჯერ შეიძლება შესცვალოს დრამატურგის იდეოლოგია. მაგალითისათვის შორს არ წავალ. გვიხსენით ჩვენს თეატრებში დადგმული (რუსთაველისა და მარჯანიშვილის) ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. ეს თითქმის მონარქისტული პიესა რევოლუციურ ნაწარმოებად იქცა შემსრულებელთ ხელში.

მამ საქმე ინტერპრეტაციაში ყოფილა, ე. ი. ამჟამად მსახიობში და არა მანინდამანინც დრამატურგის იდეოლოგიურ წამყვანობაში.

ამიტომ მე სჭიროდ მიმაჩნია, რომ თეატრი მსახიობს მივაკუთვნოთ და ესე ავუხსნათ სხვებსაც. დრამატურგი, რეჟისორი და სხვები მისი დამხმარებელი უნდა გახდნენ, თუ გნებავთ მისი მიმართულების მიმცემნი (იდეოლოგია).

მაგრამ იდეოლოგიას საერთოდ იძლევა გარკვეული ეპოქა და ამ გარკვეულ ეპოქის იდეებს ჰქადაგებს დრამატურგი. ასე რომ გვცხვეთ მივალთ იქამდე, რომ თეატრშიც მთავარი და წამყვანი არის მაგ. ამჟამად ჩვენი კომუნისტური პარტიის იდეოლოგია.

რაც შეეხება ჩემ წერილს, სადაც ვამბობ, რომ „მცირე თეატრის სახელ-დიდება გოგოლმა, ოსტროვსკიმ, შილერმა და სხვ. შეუქმნაო,“ რასაკვირველია მართალია, მაგრამ ეს იმდენად რამდენადაც აქ მე დრამატურგის ვენებოდი და ვებებოდი სწორედ თეატრის „იდეოლოგიურ კრედოს“, თორემ, ცხადია, მე კარგად მახსოვს, რომ მცირე თეატრის ნამდვილი ბურჯები ისეთი მსახიობები იყვნენ, როგორც შიეპკინი, სამარინი, ერმოლოვი, ფედოტოვა და სხვ. და სწორედ მათ გაუთქვეს სახელი მცირე თეატრს.

სამხატვრო თეატრში კი სულ სხვაგვარ მოხდა. მე იმავე წერილში სრულიად მართებულად ამ თეატრის დრამატურგებად ჩეხოვი და გორკი ვახსენე, მაგრამ აქაც აშკარაა, რომ ამ თეატრს სახელი სტანისლავსკიმ (მანინც აქტიორმა) და ნემიროვიჩი-დანჩენკომ, ამ ორმა რეჟისორმა გაუთქვა.

და ასეა სულ.

ამიტომ არის, რომ დღეს აქამომდე კამათია ამ საკითხის გარშემო, თუ ვინ არის მთავარი თუ წამყვანი თეატრში: საცა რეჟისორებია ძლიერი, იქ რეჟისორებს ასახელებენ, საცა მსახიობები — მსახიობებს და საცა არც ერთი არ არის ძლიერი, მაგრამ თეატრი მანინც კარგ წარმოდგენებს იძლევა, ცხადია, იქ დრამატურგს გააქვს და ამიტომ დრამატურგი ეჩვენებათ წამყვანად. ამგვარად, პირადი ჩემი დასკვნა ასეთია:

იდეოლოგია არის მუდამ ეპოქისა და მისი გამოთქმელია მწერალი, დრამატურგი, მაგრამ ამის ზორცემსხმელი სცენაზე მსახიობია, მას კი შეუძლიან თვით იდეოლოგიასაც უცვლელს ფერი თავის შესრულებით. აქ იმას ნუ გამოვუდგებთ თუ რამდენად იქნება ეს მისი „ფერისცვალება“ მისაღები.



საქმე ის არის, რომ ძირითადად მსახიობი სცენის ბატონ-პატრონია და ამას ვერას გზით ვერ წაუვალთ.

სალამი და პატივისცემა

შალვა დადიანი

6. 12. 40 წ.

თბილისი, ლენინის ქ. № 85, ბინა 1.

## ნიწო ღავითაშვილის „მხიკე მოგონება“

### ნიწო შვანბერაძე

მართლშეშალვა დადიანმა დააყენა საკითხი (მაშინ იგი საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა), შექმნილიყო ვრცელი მონოგრაფია ქართული თეატრის ამაგდარი მსახიობის ნიწო ღავითაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

წიგნი რამდენიმე თვეში უნდა დაწერილიყო, რადგან, როგორც შალვა დადიანი ვარაუდობდა, ნაშრომის გამოქვეყნება დაემთხვეოდა მსახიობის დაბადების 70 წლისთავის იუბილეს, რომლის ჩატარებასაც საზოგადოების პრეზიდიუმი 1952 წლის შემოდგომაზე ითვალისწინებდა.

მონოგრაფიის დასაწერად გვიხმეს თეატრმცოდნე ელენე შაფათავა და ამ სტრიქონების ავტორი. შეხვედრისას შალვა დადიანმა გაგვიმარტა, რომ ორი ავტორის მოწვევა დროის სამცირითაა გაპირობებული. მანვე დასძინა „ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა ვალშია დიდებული ნიწო ღავითაშვილისადმი“...

მაშინ ახალგაზრდა თეატრმცოდნეებმა სიხარულით მივიღეთ ეს საპატიო დავალება და შევეუდეკით მასალის შეგროვებას. მუშაობის დაწყებისთანავე წამოიქრა სირთულე, — ნიწო ღავითაშვილს ჩვენ მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ქართულ თეატრში მოღვაწეობით ვიცნობდით, მის ადრინდელ შემოქმედებაზე კი არავითარი მასალები არ გავვაჩნდა. ასეთი მასალა არც ნიწო ღავითაშვილის პირად არქივში აღმოჩნდა. ძველი დროის გაზეთები არ იძლეოდნენ ამომწურავ პასუხს მსახიობის შემოქმედების ყველა მომენტზე. ამიტომ ზოგჯერ პირადად მივმართავდით ქ-ნ ნიწოს. მან მრავალი რამ გვითხრა და მცირე, მაგრამ საინტერესო წერილობითი მოგონებები მოგვაწოდა.

ვაქვეყნებთ ნიწო ღავითაშვილის ამ მცირე მოგონებას (შემოკლებით), დედანი ჩემს პირად არქივშია დაცული.

### მცირე მოგონება

ღელა აღრე გარდამეცვალა. მე აღსაზრდელად ბიძამ — ნიწო ღავითაშვილმა გორიდან წრომში წამიყვანა. ნიწოს ვეუოვილები თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ. შემდეგში ისინი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი გახდნენ. აი, ამ ოჯახში შემიყვარდა წიგნი.

ერთხელ, ჩემი ბიძაშვილი მიწო ჩამოვიდა, და თან სემინარიელი ამხანაგი ჩამოიყვანა. ეს ამხანაგი მეტად გულისხმიერი, დიჩვი, სათნო და ქკვიანი ახალგაზრდა იყო. მისი ჩამოსვლა ყოველთვის დიდად მახარებდა ხოლმე. განსაკუთრებით აღბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ჩვენი ერთი შეხვედრა. მაშინ, ხელში ყურნალი „კვალი“ მეჭირა და ვკითხულობდი მოთხრობას კელნერშების ცხოვრებიდან. ახალგაზრდამ მოთხრობის შინაარსი მომაყოლა და შემდეგ მკითხა:

— არ გინდა, შენც კელნერმა გამოხვიდე?!

— ცოტა არ იყოს, მეწყინა, — როგორ თუ კელნერმა-მეთქი!

მიწოს ამხანაგმა ისეთი კეთილი დიმილო მომიგო:

— აქ რა არის საწყენი? რით არ გჯობია კელნერმა, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს, დამოუკიდებელია და სხვას არ შეჰყურებს ხელში.

მე შემრცხვა, მაგრამ ამ შემთხვევამ გამაბედვინა და ჩემი გულისნაღები გავუზიარე, — მეც მინდა ცხოვრებაში ჩემი გზა მქონდეს-მეთქი.

ეს ახალგაზრდა სოსო ჭულაშვილი იყო, რომელმაც მაშინ ისე შთამაგონებლად ამიხსნა ცხოვრებაში დამოუკიდებლობის მოპოვების უპირატესობა, რომ მე, უბრალო სოფლის გოგონას, ის აზრი, რომელიც აქამდე მხოლოდ ბუნდოვნად მიტრიალებდა თავში, ახლა გარკვეულ და ნათელ მიზნად გადამექცა. ეს იყო სურვილი, რაღაც არ უნდა დამქდომოდა, მასწავლებელი გავმხდარიყავი. ამ მიზნით თბილისში გამოვეშურე კიდევ, — აქ, ამ დროს მამაჩემი ცხოვრობდა. მთელი ზაფხული ვემზადებოდი იმისათვის, რომ სასწავლო ოლქში გამოცდები ჩამებარებია.

1903 წლის სეზონის დასაწყისისათვის ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ დანიშნა საგამოცდო წარმოდგენა. მასში უნდა მეთამაშა სონია („ძია ვანო“), ზარალოვის ქალი („გაცრუებული იმედები“). გულისფანტკალით ველოდი ამ დღეს.

ყურბიში ქართული კულტურის დიდი მოღვაწეები იყვნენ. ამ საგამოცდო წარმოდგენას დაესწრო მთელი მოწინავე ინტელიგენცია. დიდმა ილიამ ჩემს საგამოცდო პროგრამა-ფურცელზე



დააწერა: „დავითაშვილის ქალი უძველად უნდა იქნეს დასში მიღებული“. სამწუხაროდ, ეს საგამოცდო პროგრამა დაიწვა თეატრში ხანძრის დროს.

ჩაივრიცხე მსახიობად. ამის შემდეგ, პირველმა სპექტაკლმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემ მხსიერებაში. ხუმრობა ხომ არ იყო, როგორც ნამდვილი მსახიობი, პირველად გამოვიდოდი დიდ სცენაზე და ისიც აკაკის „პატარა კახში“, მთელი საზოგადოების წინაშე. არ არის ისეთი სიტყვები, რომლებითაც ჩემი მღელვარების აღწერა შემეძლოს. არ მახსოვს, როგორ ვითამაშე. ტაშმაც ვერ გამომაფხიზლა. მხოლოდ ერთი რამ დამამახსოვრდა, თვითონ აკაკიმ, ჩვენმა სათაყვანებელმა აკაკიმ მითხრა: „ყოჩაღ, გოგონა, გმადლობ, რომ არ შემარცხვინე! გულწრფელი იყავი! ლექსიც კარგი გაქვს. სიკვდილი ხომ, რალა მეთქმის, პეპელასავით აღმოგხდა სული“ თქვენ თითონ განსაჯეთ, აბა ახალგაზრდა მსახიობს ამაზე დიდი ჭილდოს მიღება შეუძლია?!

ამავე სეზონში ვითამაშე ბიანკა, შექსპირის პიესაში („ჭირვეულის მორჩულება“). ამ სპექტაკლს ლადო მესხიშვილი ესწრებოდა. იგი პირველად მიუყურებდა, რის გამოც განსაკუთრებულად ველავდი. სპექტაკლის დასასრულს დავიმალე, ვაი, თუ როლი კარგად ვერ ვითამაშე, ვაი, თუ ლადოს არ მოვეწონე-მეთქი, მაგრამ ლადომ თვით მომნახა და მითხრა: „კარგია, როცა შენს თავს მკაცრად ეპყრობი, ოღონდ ზედმეტი არ ვარგა, მუშაობის ხალისს დაგიკარგავს, ავისა და კარგის გარჩევაში დაგაბნევს. რატომ მემალეობდი, როლი კარგად შეასრულე და არც შიში უნდა გქონოდა“.

**1904 წლის** 20 იანვარს ოპერის თეატრში ჩვენთვის შეუჩვენველ გარემოში ვითამაშე „დალატი“. წარმოდგენის დღემდე სცენაზე არ შეგვიშვეს. სამონტაჟო რეპეტიცია ამ თეატრში არ გვექონია. ოპერის თეატრის ტექნიკური რეპლიკები ჩვენთვის, დრამატული თეატრის მსახიობისათვის, უცნობი იყო და ამან პირველ მოქმედებაშივე იჩინა თავი. ფარდა უდროოდ იხდებოდა და იხურებოდა. ამავე უცოდინარობის შედეგი იყო, რომ ფინალში მეტეხის ციხე დროზე ადრე აფეთქდა და ისედაც მარცხით დაწყებული სპექტაკლი სამარცხვინოდ დაავკირგვინა. გარდა ამისა, ოპერის სცენას შეუჩვენველ მსახიობები სათანადოდ ვერ მოძრაობდნენ, ხოლო ამ თეატრის აქუსტიკასთან ხმის შეუგუებლობამ ტონის საერთო ადრევა გამოიწვია. მსახიობთა ინტონაცია საოცარ ტუხილებს აკეთებდა, იგი ხან უჩვეულო ყვირილით გამოიხატებოდა და ხან ჩურჩულში გადადიოდა. კულისებში საპანაშვიდო განწყობილება იყო. აღარავის ედო აღამიანის ფერი. ჩემი გამოსვლის დრო რომ

მოახლოვდა, კანკალმა ამიტანა. ვერ ვბედავდი გასვლას..უცებ, ვასო აბაშიძის გამამხნეველები ხმა მომესმა: „ყოჩაღად ქაჯან! ნუ შეგეშინდება. გესმის, სპექტაკლის ტონმა როგორ დაიწია? აბა, შენ იცი, თამამად ვადი. ხმამალა მიაწოდე შენი რეპლიკა, ვინძლო შესძლო ტონის აწევა“. ვასოს სიტყვებმა ფრთები შემასხეს. კი არ გავედი, გავფრინდი სცენაზე, მხიარულად და საჭირო ტონში ვთქვი ჩემი პირველი სიტყვები. მგონი შევასრულე ვასოს დავალება. სპექტაკლის ტონმა მართლაც აიწია. ამის მიზეზი შეიძლება მე არ ვიყავი, მაგრამ ეს კია, რომ როლი, ვგონებ, არ ჩამივდიოდა.

**ოფელიას** შესრულების გამო ერთ-ერთი კორესპონდენტი ჩემს თამაშში ხარვეზს შენიშნავდა. როდესაც რეცენზია წავიკითხე, მეწინა მისი სიტყვები და ყოველი ღონე ვიხმარე, რომ შემდგომ ოფელიას შესრულებაში ეს ხარვეზები დამეძლია.

**1905 წელი**, გასტროლები განჯაში. აქ ჩვენმა თეატრმა დიდი ნივთიერი ზარალი განიცადა. ამ ზარალში მეც მიმიძღინა ბრალი. გასტროლების დაწყების წინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა, მისი სახელი ახლა აღარ მახსოვს. მე მას ჰერ კიდევ იმდროიდან ვიცნობდი, როდესაც 1902 წელს ვემეცადინებოდი ჩემი ბიძაშვილის— მიხეილ დავითაშვილის იმ ახალგაზრდულ ჯგუფში, რომელიც მიხეილმა არალეგალური წრის სპეციალური დავალებით შეკრიბა ჩვენი გათვითცნობიერების მიზნით. ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან და მიხოვა, მოგხმარებოდი სპექტაკლის დროს პროკლამაციების გავრცელების საქმეში.

მე გადაწვეყვიტე მომხებრებმა სპექტაკლის დროს ფარდის დაშვებისას სინათლე გვიან ანთებულებოდა, რათა ხელი შემეწყო პროკლამაციის გადმოყრისათვის. იმავე დღეს, რეპეტიციის დროს, დავიწყე დავალების შესასრულებლად ხელსაყრელი საშუალებების ძებნა. ლადომ შემამჩნია და მკითხა: „უულოკ! (აღერსით ამ სახელს მეძახდა), რას დაწრიალგებ?“

მე ვავანდე ლადოს, ასეთი დავალება მაქვს-მეთქი. ლადომ შემპოე: ყოჩაღ, ქალო! კარგად აღმიზრდიხარ! ოღონდ რატომ უფრო ადრე არ გამანდე? კიდევ კარგი, რომ შეგწინე მღელვარება, თორემ, ვაი, თუ ვერ მოგხებრებინა, მაშინ რას აპირებდიო და იქვე აღმითქვა: მე მოგხმარები, ოღონდ პირველი მოქმედების შემდეგ, რომ პირველი რიგების ვაგნატონები არ შეშინდნენ და ბილეთების ფული უკანვე არ წაიღონო. მეორე მოქმედების დაწყების წინ კი, შუქი რომ ჩაქრება მე თვითონ დავავკიანებ ფარდის აწევას და ღმერთმა ხელი მოუშაროთო.

მართლაც ასე მოხდა. მეორე მოქმედების წინ ლადომ ფარდის ახდა დაავკიანა. სიბნელეში



პარტერს უხვად მოეფინა პროკლამაციები, ვი-  
ლაც „მთავრობის გულშემატკივარმა“ რევოლუცი-  
რი გაქსროლა, ატყდა ჩოჩქოლი, მაყურებელთა  
ნაწილი დაფრთხა, ამ აურზაურითა და სიბნელით  
ისარგებლა რევოლუციურად განწყობილმა მა-  
ყურებელმა და გაისმა შეძახილები: „ძირს თვით-  
მპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას“!

ატყდა საშინელი აურზაური, წარმოდგენა ჩაი-  
შალა. ჩვენი გასტროლებიც შეწყდა. ხარკები  
უკვე გაღებული იყო. შემოსავლის წყარო მო-  
გვესპო. დიდი ზარალი ენახეთ, მაგრამ როდი  
ეწუხებით! ყველას გულისნადები ლადომ ერთი  
სიტყვით გამოხატა: „სამაგიეროდ კარგი საქმე  
გავაკეთეთ“.

უსახსრობის გამო დიდის ვაი-ვაგლახით გა-  
მოგვისტუმრა ლადომ; თვითონ კი გირაოდ დარ-  
ჩა განჯაში, ვიდრე მისი მეუღლე ქუთაისში ლა-  
დოს საბუნებისო საჩუქრებს დააგირავებდა და  
ფულს მიაშველებდა.

**პიესა** „მეზობლებში“ ავტორი კენინა კატოს  
ახასიათებს, როგორც 33-34 წლის ლამაზ და  
ემზიან ქალს, აშიკსა და გაქნილს, რომლის მიხ-  
ვრა-მოხვრა და ლაპარაკი ხან ნარნარია და ხან  
კი ბოროტებით სავსე. ავტორი ხაზგასმით აღ-  
ნიშნავს: კენინა კატო თავზედი დიაცია და მისი  
ყოველი საქციელი ვერაგულიაო. ასეთი როლის  
შესრულება მხვდა წილად. ეს იყო 1905 წელს,  
რევოლუციის აღმავლობისას, იმ წელს, როდესაც  
ასეთი თავხედებისა და ვერაგების წინააღ-  
მდეგ ხალხი საბრძოლველად ქუჩაში იყო გამო-  
სული. ჩვენ, არტისტები იმბო თანავუგრძნობ-  
დით, გულთ და სულით მებრძოლ ხალხთან ვი-  
ყავით. ამიტომ ვადაწვევითე კატოს როლის გან-  
სახიერებაში ჩამეკისოვა მთელი ჩემი სიძულვი-  
ლი გაპარპაშებული „კენინებისადმი“. ეს აზრი  
ლადომ მომიწონა და მითხრა: „დიდებულებმა“  
თავი სამარცხვინო ბოძზე იგრძნონო“. შევუღე-  
ქით მუშაობას და შევეცადეთ არა მარტო ხა-  
ზი გამეხვა კატოს ნაკლოვანებებისათვის, არა-  
მედ, შეძლებისდაგვარად, ეს ნაკლოვანებები  
ყველა „კატოებისათვის“ დამახასიათებელ ხაზებ-  
ში მომეცა და, მგონი, შევძელ კიდევ. ყოველ  
შემთხვევაში. დასში ხუმრობდნენ, ჩვენმა ჯუ-  
ლიეტამ კენინებს უდანოდ გამოსჭრა ყელიო.

**პიესა** ლადო მესხიშვილმა გამიხმო და  
მითხრა:

— ჯულიეტა! მე და შენ დიდხანს ვიმუშავეთ  
ერთად, შენ ჩემს თვალწინ გაიზარდე და მე შენს  
თვალწინ დავბერდი. ბევრი კარგი და ავი დღე-  
ები ერთად გვინახავს. ამიტომ მოგმართავ. სამ-  
ხატკრო თეატრის პრინციპებით მინდა განვა-  
ხორციელო ლ. ტოლსტოის პიესა „მეუფეა  
წყვდიადისა“. ხომ გესმის, რა დიდი მნიშვნელო-  
ბა აქვს ამას ჩვენი საწყალი თეატრისათვის?

ხომ გახსოვს მხატვის სპექტაკლები?! იმისდაგვა-  
რი რამ ჩვენც რომ შევექმნათ, წარმოიდგენია,  
რა გამარჯვება იქნება? აბა, შენ იცი და შენმა  
ქალობამ! ძალღონე არ დაიშურო! ახლა უნდა  
დაამტკიცო შენი სიყვარული ჩვენი თეატრისა-  
დმი, ჩემდამი, ნამდვილი ხელოვნებისადმი. დღე  
და ღამე გავასწოროთ, სხვებს მაგალითი მივ-  
სცეთ!..

სახლში მთვრალივით წავედი. ერთი სურვი-  
ლით ვიყავით მოცული: — ღირსეულად ამო-  
ვუდგე ლადოს გვერდში.

მართლაც, არ დავიშურე ძალღონე და მგონი,  
შედეგიც ურიგო არ იყო. სპექტაკლი კარგი  
გამოვიდა და გახეთქები წერდნენ: წარმოდგენას  
გამოცდილი და დავკვირვებული რეჟისორის  
ხელი ეტყობოდა, აქტიორები კარვად იყვნენ  
მომზადებულნი და მშვენივრად თამაშობდნენო.

**1914 წლის** 25 სექტემბერს დიდი უბედურე-  
ბა დაატყდა თავს ქართულ თეატრს. — ქართუ-  
ლი თეატრის შენობა ხანძარში ჩაიფერფლა...

ამ დროს ქუთაისში ვიყავი. ეს თავზარდამცე-  
მი ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქა-  
ლაქს, აუწერელი იყო ჩვენი წუხილი. ყველა  
სტიროდა და ერთმანეთს ანუგეშებდა. ქუთაისის  
თეატრის მსახიობებს, შეიძლება, არასოდეს უგ-  
რძვნიათ ისეთი გულთბილი დამოკიდებულება  
საზოგადოებისაგან, როგორც იმ ხანებში, ქუთა-  
ისელი მოქალაქეები ყველა მსახიობს ასე გვი-  
ყურებდნენ როგორც ჭირისუფალს. ვგამხნევებ-  
დნენ და შეიძლება ამან შეგვიმსუბუქა პირველი  
დღეების სიმწვავე.

თეატრს დიდხანს მოუხდა უთავშესაფაროდ  
ყოფნა...

როდესაც 1949 წელს ხანძარი მოედო რუს-  
თაველის სახელობის თეატრის შენობას, დასმა  
ერთი წლის თავზე არა მარტო აღდგენილ, არა-  
მედ უკეთეს შენობაში განაგრძო მუშაობა.

მე, საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი პატივი  
დამლო, სახალხო არტისტის საამაყო სახელი მო-  
მანიჭა. ბედნიერი ვიყავი იმ დღეს, მაგრამ არა  
ნაკლებ ბედნიერა ვიყავი იმ დღესაც, როდესაც  
ხანძრის შემდეგ სწორედ ერთი წლის თავზე  
კელავ შევალე კარი ჩემი მშობლიური თეატრი-  
სა. ამ დღეს ჩემი მეორე ზეიმი იყო. თეატრას  
მთელი კოლექტივი უკიდურესად დელავდა. თი-  
თოეული ჩვენგანის ფულში უდიდესი ადგილობის  
გრძნობა ღვივოდა პარტიისადმი. განსაკუთრე-  
ბული იყო ჩემი სიხარული... როდესაც ერთი  
წლის თავზე რუსთაველის თეატრი ფენიქსივით  
აღსდგა ფერფლიდან უფრო ახალგაზრდა და  
უფრო მშვენიერი, სიხარულის ცრემლები დაპა-  
ლუპით მსდიოდა...



## ნიკო შიუკაშვილის არქივიდან გიორგი ჯავახიშვილი

ქართული დრამატურგიის ისტორიაში ნიკო შიუკაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს. შალვა დადიანის თქმით „ნ. შიუკაშვილი გვევლინება ერთ-ერთ დიდ დრამატურგად საქართველოში. მისი ზოგიერთი პიესა დღევანდელობისათვისაც ფერგაუხუნარია და, ცხადია, ის დარჩება ჩვენს თეატრისა და მწერლობის სასარგებლო ფიგურად“.

ნიკო შიუკაშვილის სახელი პირველად 1890 წელს უურნალ „თეატრის“ (№ 2) ფურცლებზე გამოჩნდა. ამ დღიდან მოკიდებული მისი ლექსები, მოთხრობები და პიესები ხშირად იბეჭდებოდა.

ნიკო შიუკაშვილი ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია, როგორც შესანიშნავი დრამატურგი. მის კალამს ეკუთვნის ოცზე მეტი პიესა, რომლებიც სცენაზე წარმატებით იღმებოდა. მართალს წერდა ცნობილი მოღვაწე ივანე გომართელი: „შიუკაშვილი ერთბაშად, მოულოდნელად გამოცხადდა ჩვენს სცენაზე და ერთის დაკვრით მოიხვეჭა სახელი ნიქიერი დრამატურგის“.

ნიკო შიუკაშვილის პიესებიდან პირველად ახალციხის სცენისმოყვარეებმა დადგეს „გამხმარი ფოთლი“, რომელსაც მოჰყვა პიესები „მეგობრობა“, „ციცინათელა“ და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მან დაწერა პიესები „ბერიკაობა“, „სულელი“; (უკანასკნელი ვარიანტი), „ამერიკელი ძია“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვები, ამათგან ზოგიერთი პიესა აშლანგით მიღიოდა ქართული თეატრის სცენაზე.

ნ. შიუკაშვილის პიესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ამერიკელი ძია“ და „სულელი“. ამ უკანასკნელის დადგმის თაობაზე კრიტიკოსი ბესარიონ უღნტი 1938 წელს გაზეთ „კომუნისტში“ წერდა: „პიესა, საერთოდ, სწორად ასახავს ისტორიულ ფონს და აღებული ისტორიული პერიოდის სოციალურ ატმოსფეროს. განსაკუთრებული ძალით არის დახატული თვითმპყრობელობის დამქაშთა სამყარო. პიესაში მოცემულია აგრეთვე მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის მგზნებარე ეპიზოდები“.

ქართული კულტურის უანგარო მსახური, დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი 1938 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა. ნეკროლოგში, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვკითხულობთ: „ნ. შიუკაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს დრამატურგიაში, მის დამსახურებას არასოდეს დავიწყებებს ქართული საბჭოთა თეატრი და საბჭოთა საზოგადოებრიობა. (1938 წ., № 186). შალვა დადიანი და აკაკი ხორავა მოსკოვიდან იწერებოდნენ: „ქართულ თეატრთან ერთად ვწუხვართ თვალსაჩინო დრამატურგ ნიკო შიუკაშვილის გარდაცვალებას, მან დასავსებელი განძი შეიტანა საბჭოთა დრამატურგიაში“ (გაზეთი „კომუნისტში“, 1938 წ., № 187).

სამწუხაროდ ნ. შიუკაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად დღემდის თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული. არ არის გამოცემული მისი პიესები, გაზრეულია დრამატურგის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მოუწესრიგებელია მისი არქივი. მკითხველს ვთავაზობთ თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცულ ნიკო შიუკაშვილთან მიწერილ ივანე გომართელის წერილებს.

ბ-ნო ნიკო! თქვენი წერილი მივიღე და გაახლებთ პასუხს. სარეპერტუარო კომისიამ ორივე პიესა განიხილა და, როგორც სალიტერატურო ნაწარმოები, ორივე ძალიან მოიწონა. სცენისათვის უმეტესობამ ის ნაკლი დაინახა, რომ მოქმედება შიგ ცოტაა. საერთოდ ყველაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა პიესებმა. როგორც ლიტერატურული ნაწარმოებნი, საპატიო ადგილს დაიკავებენ უსათუოდ ჩვენს მწერლობაში. ნამეტნავად ენა პიესებისა საუცხოვოა. პიესების სცენაზე დადგმას გამგეობა ვერა ბედავს იმიტომ, რომ ხალხი ძალიან ცოტა დადის ჩვენს თეატრში, შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს მაშინაც კი, როცა ცნობილი მწერლების პიესებსა თამაშობენ; თქვენ კი ჯერ უცნობი ხართ მწერლობაში. რამდენიმე კაცი ვაპირებთ კრებულის გამოცემას. გოთუაც აპირებს.

თქვენი სურვილიც თუ იქნება, ერთ-ერთ ნომერში ჩვენ დიდი სიამოვნებით დავბეჭდავთ. საზოგადოთ თქვენ ძალიან ნიქიერი მწერალი ჰყოფილხართ და, რომ განაგრძობდეთ, ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის ფრიალ სასარგებლო იქნებით.

თქვენი ივ. გომართელი

29. XI 07.

ბ-ნო ნიკო! უკაცრავად, რომ პასუხი დაგივიანეთ. ჩემის აზრით თქვენ რომ თქვენი პიესის გადაკეთება დაიწყოთ ისე, რომ მეტი მოქმედება იყოს შიგ, რასაც სარეპერტუარო კომისია ითხოვს, ადვილი შესაძლებელია, რომ სახელოვნო ღირსება ამით პიესამ დაჰკარგოს, რადგანაც იქ ყოველი სიტყვა თავის ალავას არის და სხვისი რჩევით შენი ნაწარმოების გადაკეთ-



ბა რამდენათ ძნელია, ეს მე კარგათ ვიცი. მეორე — თქვენს პიესაში მოქმედება საქმაოთ არის. გუნიას მოსწერეთ თქვენ, რომ ეს პიესები წაიკითხოს და, თუ პირველი არა, მეორე მანც სცენისათვის ფრიალ გამოსადეგია ჩემის აზრით, ჩემის ფიქრით თქვენი აქ ჩამოსვლა იმდენათ საჭირო არ არის. გუნიას წერილითაც მოელაპარაკებით. თქვენი მეორე პიესა ბევრს არ წაუკითხავს. მე კი წავიკითხე და სცენისათვის კარგია; როგორც ლიტერატურული ნაწარმოები ხომ მშვენიერია. თქვენ მოსწერეთ გუნიას, რომ წაიკითხოს მალე. რეჟისორი ის არის და პიესის დადგმა მისი საქმეა. კრებულის საქმე თუ მოვალეობა ამ ცოტა ხანში, თქვენს პიესებს დიდის სიამოვნებით დაგებუდავთ. რაც შეეხება მესხიშვილს, ის ჩვენს სცენას ძალიან აკლია, მაგრამ იმის დასაბრუნებლად ფულია საჭირო. ის თვითონაც აღარ დაბრუნდება ისე, თუ არ უზრუნველვყავით. ეს კი დღევანდელს პირობებში შეუძლებელია.

თქვენი გამართელი

1/XII-07

**ბ-ნო ნიკო**

გახსენება თუ არა სეზონი „მეგობრობა“ მალე დაიდგმის. გამგეობის აზრით „სიმახინჯე“ არ არის შემუშავებული. უმთავრესი ის არის, რომ უკანასკნელი მოქმედება იმ ხალხისათვის, რომელიც ჩვენს წარმოდგენებს ესწრება, გაუგებარი იქნებოდა, შთაბეჭდილებასაც სულ სხვას მოახდენს, ვიდრე სასურველია. „სულელი“ გოთუამ წაიღო წასაკითხათ და ჭერ არ გავვიხილავს.

თქვენი ი. გომართელი

(1908)

**ბ-ნო ნიკო**

ეს არის ახლა მივიღე თქვენი წერილი. გამოვიგზავნეთ მალე თქვენი პირველი პიესა და დავაბეჭდვინებ გაზეთში. ერთი კვირის შემდეგ მე მივლივარ აქედან. პეტერბურგს იმიტომ მივლივარ, რომ ჭერ ჩემი საქმე არ გარჩეულა. როცა გარჩევენ, იქნებ მეც ახალციხე ავიჩიო.

თქვენი ი. გომართელი

(1908)

**ბ-ნო ნიკო**

თქვენი ორივე პიესა დრამატული საზოგადოების გამგეობასა აქვს შენახული. კრებულის კომისიას წარვუდგენ თქვენს პიესებს და, მე მგონია, დაბეჭდავენ პირველ ნომერში. მე ერთი წევრი ვარ კომისიისა. ჩვენ გვინდა დროდადრო გამოვცეთ კრებული, თუ კი შეეძელით. წმინდა შემოსავალი (რაც ტიპოგრაფიასა და ქაღალდის ხარჯს გადაურჩება) თანამშრომლების იქნება. ჭერჭერობით მწერლობის მდგომარეობა აქ ისეთია, რომ მატერიალურათ ის ბევრს ვე-

რაფერს მოგცემთ. მთავრობა ყოველიფერსა სდევნის, საზოგადოებაში სრული აპათია სუფევს და მწერლობას გასავალი არა აქვს ამგვარ პირობებში.

მაგალითად ოთხი ათასი რომ ჰყავდა ხელის მომწერი, ახლა ორიათასი აღარა ჰყავს. რასაკვირველია, ეს დრო შეიცვლება, მაგრამ როდის?

ჩემი საქმე საერთო პროცესიდან გამოყოფილია, რადგანაც მე პეტერბურგში არ წავსულვარ. ჩემს საქმეს ხელახლა გაარჩევენ, მაგრამ როდის, არ ვიცი. რაც უნდა იყოს, გაზაფხულზე არ გაარჩევენ და ამიტომ მე ჭერ-ჭერობით თავისუფალი ვარ. თქვენს პირველ პიესას წარვუდგენ მაშ კრებულის კომისიას.

თქვენი ი. გომართელი

(1908)

**ბ-ნო ნიკო**

უკაცრავად, რომ პასუხი დაგიგვიანეთ, თქვენი დრამა მე გადავციე „ამირანის“ რედაქციაში. თქვენი წერილის მიღებისთანავე ვიკითხე და მითხრეს: დაიბეჭდება მალეო. დანარჩენი თქვენი დრამები ჭერ განხილული არ არის და არც განხილავენ შემოდგომამდე. ახალს დრამასაც რომ გამოუგზავნიდეთ კომისიას, ძალიან კარგს იზამთ. ჭერ-ჭერობით რომ აქ ჩამოხვიდეთ, თუ მარტო ამ მიზნით გინდათ ჩამოსვლა, რომ თქვენი დრამების ბედილბალი გაიგოთ, მე არ გირჩევთ: უმეტეს ნაწილს ჭერ წაკითხული არ ექნება, სხვები აქეთ-იქით არიან წასული. თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ შემოდგომამდე — თუ გნებავთ, მე თვითონ შეგატყობინებთ მაშინ, როცა უმჯობესი იქნება თქვენი ჩამოსვლა. როცა დრამა საცენაურო კომიტეტს წარედგინება, იქ გვეტყვიან, რას არ გაუშვებენ, და მაშინ შეიძლება გადაასწოროთ, თუ საჭირო შეიქნა. ახლა კი წერის დროს ამ დაბრკოლებას ყურადყებას ნუ მიაქცევთ.

ამირანის რედაქციას თქვენც შეგიძლიათ შეეკითხოთ.

თქვენი ი. გომართელი

6/VIII-08

**ბ-ნო ნიკო**

დრამატული საზოგადოების გამგეობის მონდობილობით გატყობინებთ შემდეგს: „სიმახინჯე“ საზოგადოებამ არ მოიწონა (უკანასკნელი მოქმედება). „სულელი“ ჭერ არ განხილულა. „მეგობრობა“ მეორეთ დაიდგმება ამ თვის თორმეტს ან ხუთმეტს. რადგანაც გამგეობას ვალდების მეთი არაფერი აქვს, ყოველ წარმოდგენაზე თითო მოქმედებაში ავტორს მისცეს 3-4 მანეთი.

პატივისცემით ი. გომართელი

9/I-09



# საქართველოს თეატრალური საზოგადოება

## საქართველოს თეატრალური საზოგადოება

**14 (2) იანვარი** ქართული თეატრის ტრადიციული დღეა.

მიმდინარე წელს 14 იანვარი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღნიშნა ტელევიზიასთან ერთად.

სალამო მიჰყავდა მსახიობ ჯულიეტა ვაშაყმაძეს.

თეატრალური საზოგადოების მომავალ ამოცანებზე ილაპარაკა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გაიოზ იაკაშვილმა.

ტელევიზიით აჩვენეს სცენები: რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან — „დიდი ხელმწიფე“ და „ხილი“. მარჯანიშვილის თეატრიდან კი „ანტიგონეს“ ნაწყვეტი.

**საქართველოს** თეატრალური საზოგადოების მოწვევით 18 იანვარს მსახიობის სახლის მცირე დარბაზში მოსმენილ იქნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სტანისლავ რავიჩის სა-

ინტერესო მოხსენება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თეატრალური პრესის შესახებ.

**1 მარტს** მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლების დათვალვების შედეგებზე თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო დისპუტი თემაზე; „ახალგაზრდა შემოქმედნი მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლებში“. დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა გ. იაკაშვილმა. მოხსენება წაიკითხა თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა გ. კუპრაშვილმა, თ. თვალაშვილმა, ვ. არეშიაძემ, ე. გელოვანმა, ელ. ასლამაზიშვილმა, ვ. ივანიძემ, ალ. შალტაშვილმა, ვ. ქართველიშვილმა, ნ. წიქორიამ, მ. გოგოლაშვილმა, ა. ღვინიაშვილმა, თეატრის ლიტ. ნაწილის გამგემ მ. ცხომარიამ. რეჟისორებმა თ. მაღალაშვილმა და შ. ვაწერელიამ.

## მიხეილ საჩაველიძის ხსოვნის საღამო სოფალ მუხრანის რაიონში

**მიხეილს** წლის 28 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა და მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონ-მასკომის კულტურის განყოფილებამ, სოფელ მეჯვრისხევის კულტურის სახლში მოაწვეეს ამავე სოფლის მკვიდრის, ცნობილი ქართველი მსახიობის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მიხეილ სარაულის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გორის რაიონ-მასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ი. მაკრახიძემ. მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დ. ჯანელიძე.

მან დამსწრეთ მოუთხოო მ. სარაულის შემოქმედების მოღვაწეობაზე, მის მიერ უხადოდ განხორციელებულ სცენურ სახეებზე, როგორც ნიჭიერ მხატვარ-კარიკატურისტზე და ქართული თეატრისადმი მსახიობის დიდ სიყვარულზე.

სალამოზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: თ. ჩარკვიანი, გ. ტატიშვილი, ვ. კახნიაშვილი და დამსახურებული მასწავლებელი ნიკო ბერიანიძე.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რესპ. სახალხო არტისტებმა: შ. ხერხეულიძემ და ი. ნინუამ; ხელ. დამს. მოღვაწემ გ. აბრამიშვილმა, რესპ. დამს. არტისტებმა: გ. ტატიშვილმა და ვ. კახნიაშვილმა, მსახიობებმა გ. მუხგვარმა, ვ. ფირცხალაიშვილმა და გ. გოგუამ.

საღამოს დაესწრნენ საქ. კ. პ. გორის რაიონის პირველი-მდივანი რ. ბზიშვილი, მეორე მდივანი შ. ლოლაძე, გორის რაიონ-მასკომის თავმჯდომარე ბ. გოცირიძე, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები — გ. იაკაშვილი, ნ. შვანგირაძე, ი. აბაქელია და გორის თეატრის მსახიობები.

მეჯვრისხევის მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ღონისძიებას.





## თეატრალური საზოგადოების დაკვირვებით

### „სახიობა“

**გაომაცემლობა** „ხელოვნებამ“ გამოსცა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის წიგნი „სახიობა“.

ეს არის მეორე წიგნი ნარკვევებისა და წერილებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ავტორმა ისინი შეასწორა, შეავსო ახალი მასალებით და ისე მიაწოდა მკითხველს.

წიგნი შეიცავს ცალკე თავებს: „თეატრის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, „დრამატურგია“, „რეჟისორისა და მსახიობის ხელოვნება“, „თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება“, „თეატრალური ურთიერთობანი“, „მეცხრამეტე საუკუნის თეატრის ისტორიისათვის“, „ძველი სახილველის (თეატრის) და სახიობის ხელოვნების ისტორიის საკითხები“.

ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია დიმიტრი ჯანელიძის, როგორც თეატრმცოდნის, დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ქართული სასცენო ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის. ამ მუშაობის მრავალი წლის მანძილზე მას შეხვედრები და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მსახიობებთან, დრამატურგებთან. „სახიობაში“ შესულია წერილები და მოვლენები კოტე მარჯანიშვილზე, დოდო ანთაძეზე, ვასო გოძიაშვილზე, პოლიკარბე კაკაბაძეზე, გერცელ ბააზოვზე, სერგო ზაქარიაძეზე და ბეგრ სხვაზე, იმათზე, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით შორს გაიტანეს ქართული თეატრის სახელი და დიდება დიმიტ-

რი ჯანელიძის „სახიობას“ ინტერესით წაიკითხავს ყოველი მკითხველი.

წიგნი, რომლის რედაქტორია ერეკლე ქარელიშვილი, მხატვარი ილ. უთურაშვილი, შეიცავს 252 გვერდს და ღირს 1 მან. 64 კაპ.

### „მხატვრული კითხვის ხელოვნება“

**პართულ** თეატრალურ ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნი, პროფესორ მალიკო მრეველიშვილის „მხატვრული კითხვის ხელოვნება“. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

მ. მრეველიშვილის წიგნი მეცნიერული კვლევის ხასიათის ნაშრომია. იგი საინტერესო შენაძენია როგორც მხატვრული კითხვის ისტატივისათვის, ასევე თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსებისა და ისტორიკოსებისათვის, სცენური მეტყველების სპეციალისტებისათვის.

წიგნი შედგება შესავალისა და თერთმეტი თავისაგან. შესავალში ავტორი იძლევა მხატვრული კითხვის ხელოვნების განმარტებას. პირველ თავში კი მიმოიხილავს მხატვრული კითხვის სპეციფიკასა და ტრადიციებს საქართველოში. მომდევნო თავები შეეხება დრამის, მსახიობისა და მხატვრული მკითხველის საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს. სასცენო სწარმეტყველების ზოგად ტექნოლოგიურ საფუძვლებს და სხვ.

წიგნის რედაქტორია ილია თავაძე, მხატვარი თ. მესხი. ნაშრომი შეიცავს 194 გვერდს და ღირს 80 კაპ.



### „თეატრალური სილუეტები“

„თეატრალური სილუეტები“ — ასე ჰქვია ერემია ქარელიშვილის წიგნს, რომელიც გამოცემლობა „ხელოვნებაში“ გამოსცა. „თეატრალური სილუეტებში“ ავტორმა თავი მოუყარა ქართული მსახიობებისა და სპექტაკლების შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილების ერთ ნაწილს. კრებულში შესულია წერილები ვ. აბაშიძეზე, ვალ. გუნიანზე, კ. მარჯანიშვილზე, ალ. სუმბათაშვილზე, ელ. ჩერქეზიშვილზე, ნ. გოციბოძეზე, შ. დამბაშიძეზე, თ. ჭავჭავაძეზე, გ. დავითაშვილზე, აკ. კვანტალიანზე, ვ. გარიკზე და სხვ.

წიგნის რედაქტორია ვასილ კიკნაძე, მხატვარი, ე. გრიგოლია, წიგნი შეიცავს 236 გვერდს და ღირს 79 კაპ.

### „გრიგოლ კოსტავა“

„ხელოვნებაში“ გამოსცა ნათელა იმედაძის მონოგრაფია „გრიგოლ კოსტავა“.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი გრიგოლ კოსტავა ქართველ მსახიობთა იმ ბედნიერთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებმაც თითქმის თავიდანვე მაცურებლის სიყვარული და აღიარება მოიპოვა. მსახიობმა ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა როგორც ქუთაისის, ასევე დედაქალაქის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

ავტორი დაწვრილებით გვაცნობს გრიგოლ კოსტავას შემოქმედებით გზას, მის მიერ ხორც-შესხმულ ცალკეულ სახეს.

მონოგრაფიის რედაქტორია ნათელა ურუშაძე, მხატვარი ილ. უთურაშვილი. წიგნი შეიცავს 60 გვერდს და ღირს 25 კაპ.

### გულახილი რეჟისორი

ღრამაბუჯი — ჩემი პიესის შესახებ მინდოდა გამეგო თქვენი აზრი.

რეჟისორი — თქვენი პიესა წავიკითხე, აქტუალურია, გამართული ქართულითაა დაწერილი, დიალოგები შესანიშნავია. დამაჯერებელია, ცხოვრებისეულია, ორიგინალურია, მახვილი თვალითაა დანახული გარემო. ორმოქმედებიანია, არაა გაზვიადებული და გადატვირთული სურათებით. დადგმა და ჩაცმაც თეატრისათვის ხელსაყრელი იქნება. სწორადაა გადაწყვეტილი კონფლიქტი, მინიშნებულია ის, რაც დღეს გვაწუხებს, გვაღელვებს და გადაწყვეტას მოითხოვს. მსახიობები საინტერესო როლებს მიიღებდნენ, მაცურებელი მადლობელი დავგვრჩებოდა. სცენა, დარბაზი, ქერი, იატაკი, გადაკეთებას და თეატრი ხელახლა დანგრევას, აშენებას, დაშენებას და მიშენებას გადარჩებოდა. მართალია, საჭირო არ იქნებოდა სცენაზე მაცურებლის აყვანა, დარბაზში მსახიობების ჩამოყვანა და ცოცხალი აქლემების, ავტომანქანების, ბულდოზერების, კომბაინების შემოყვანა, მაგრამ ჯერჯერობით განსახორციელებელი გვაქვს 19 თარგმანი, 17 ინსცენირება, 21 გადმოქართულებული, 13 ხელახლა გადმოკეთებული, 11 ერთმოქმედებიანი, ხუთსაათნახევრიანი, უკრიბო, უტანსაცმოლო, უმუსიკო, უდიალოგო, უხმო, ჩურჩულოვანი სპექტაკლი, რითაც, მართალია, მსახიობები, მაცურებელი, უფროსი, უმცროსი, მომთხონენი, დიდი და პატარა უკმაყოფილონი იქნებიან, მაგრამ თეატრი ძიებაა, ის ცოცხალი ორგანიზმია, ცხოვრობს, ცხოვრება შეცდომების გარეშე არ არსებობს, ჩვენც შეცდომებზე ვსწავლობთ და თუ დაიცვლით, როცა ვისწავლით, იმას რასაც სხვას ვასწავლით, თქვენს პიესას აუცილებლად დავდგამთ. ამჯერად კი ვმადლობთ ყურადღებისათვის და სწერეთ რაც შეიძლება მეტი.

საუბარს ყური მოჰკრა და ჩაისტენოვრამა

ს. ვ.—იპ



## СОДЕРЖАНИЕ

Пленум Правления театрального общества Грузии . . . . .	3
Гастроли Цхинвальского театра . . . . .	6
<b>Гервасий Цхададзе</b> — Кутаисскому кукольному театру 25 лет . . . . .	7
Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР . . . . .	8

### У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

<b>Марго Гоголашвили</b> — Пусть добрым будет ваш приход в новое здание . . . . .	9
<b>Рафизл Мамулашвили</b> — Новый спектакль Горийского театра . . . . .	10
<b>Лия Джлантишвили</b> — «Бидерман и поджигатели». . . . .	12
<b>Элеонора Макарова</b> — Старый театральный город . . . . .	14
<b>Иамзе Гватуа</b> — В Тбилиском грузинском театре кукол . . . . .	15
<b>Наталья Бурмистрова</b> — Народная артистка СССР . . . . .	18
<b>Захария Шеразадишвили</b> — Листопад под ветром . . . . .	18

### В НАРОДНЫХ ТЕАТРАХ

<b>Нуну Гомартели</b> — Театральное прошлое Они . . . . .	19
<b>Ия Абуладзе-Нуцубидзе</b> — «Запертая калитка» . . . . .	22

### К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ КОТЭ МАРДЖАНИШВИЛИ

<b>Кукури Гогнашвили</b> — «Уриэль Акоста» . . . . .	24
Конкурс . . . . .	25
<b>Отар Пиралишвили</b> — К вопросу условности в изобразительном искусстве . . . . .	26
<b>Гиви Джаошвили</b> — Журнал «Имеди» о театре . . . . .	29
<b>Симон Нациашвили</b> — В залы Академии художеств возвращается красота . . . . .	32

### НАШИ ЮБИЛЯРЫ

<b>Нино Кикодзе</b> — Чичико Абакелиа . . . . .	34
<b>Тамаз Антадзе</b> — С любовью к искусству . . . . .	35

### НАША ПУБЛИКАЦИЯ

<b>Александр Чавлеишвили</b> — Эпистолярное наследие Шалвы Дадiani . . . . .	38
<b>Нино Швангирадзе</b> — «Из воспоминаний» Нино Давиташвили . . . . .	39
<b>Георгий Джавахишвили</b> — Из архива Нико Шиукашвили . . . . .	42
В театральном обществе Грузии . . . . .	44
Вечер памяти Михаила Сараули . . . . .	44
Книжная Полка . . . . .	45
Откровенный режиссер (юмор) . . . . .	46



**В Е С Т Н И К**  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
(на грузинском языке)  
Тбилиси — 1972  
№ 2 (66)

ფასი 25 კაპ.  
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 14/IV-72 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-72 წ.  
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 3.

შეკვეთა 1195

უე 03775

ტ. 1.000.

---

საქართველოს თეატრალური საზ-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3